ქართული საზოგადოების მიმართვა გაერო-ს უშიშროების საბჭოსადმი A2 | ევროისტორია A8 | "ხალხის პირისპირ" - ანკეტა B3

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

ხუთშაბათი, 30 იანვარი, 2003 წელი. №28 (240)

ფასი 50 თეთრი

## პოლიტიკა

### უპერსპექტივო პერსპექტივა

როცა სუსტი, კორუმპირებული, კრიმინალური და ლამის არშემდგარი სახელმწიფოს პრეზიდენტი ხარ, მაშინ საკმარისი უკვე ნამდვილად აღარ არის წლების წინ მოპოვებული საერთაშორისო აღიარება და დიდი დიპლომატის სტატუსი.

A3

## ეკონომიკა

### ნავთობსადენთან რუსული სამხედრო ბაზები არ უნდა იყოს

საქართველოს მთავრობის მრჩეველი მილსადენების საკითხებში მაიკლ კაუგელი აცხადებს, რომ ახალქალაქის მარშრუტის უარყოფა იმ საშიშროების გამო მოხდა, რასაც იქ არსებული რუსული სამხედრო ბაზები ქმნიან.

A4

## უცხოეთი

### ჯორჯ ბუში: მე დავიცავ ამერიკელების უსაფრთხოებასა და თავისუფლებას

ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ერაყში შეჭრა უკვე გადაწყვეტილია. ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს კონგრესის წინაშე პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის გამოსვლიდან.

A5

## საზოგადოება

### აჭედილი კარები და ნაღებული ბეჭედი

გუშინ, ვაჟა ფშაველას გამზირზე მდებარე 26-ე პოლიკლინიკის თანამშრომლებმა ქუჩა გადაკეტეს. უკვე ერთი კვირაა, რაც პროტესტს გამოვხატავთ, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ, ამიტომაც გამოვედით ქუჩაშიო, – თქვეს მათ.

A6

## სამართალი

### გიორგი სანაიას ოჯახის წევრები სასამართლოს უნდობლობას უცხადებენ

"გიორგი სანაიას მკვლელი გრიგოლ ხურცილავა არ არის. მთავარი დამნაშავეები - მკვლელი და მკვლელობის დამკვეთი - ჯერ კიდევ დაუსჯელნი არიან. სასამართლო პროცესის ჩატარებას არანაირი აზრი არ აქვს, რადგან საქმე გახსნილი არ არის. შეთითხნილი საქმის მასალების განხილვით სასამართლოზე ჭეშმარიტება არ დადგინდება," – აცხადებენ გიორგი სანაიას ოჯახის წევრები და სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღებაზე უარს ამბობენ.

A7

## ამინდი

| | |
|---|---|
| თბილისი | 11 |
| ქუთაისი | 13 |
| ბათუმი | 15 |
| სოხუმი | 12 |
| ფოთი | 13 |
| თელავი | 10 |
| ზუგდიდი | 12 |
| გორი | 8 |
| ახალქალაქი | 9 |
| ქიათურა | 9 |
| გაგრა | 12 |
| სამტრედია | 13 |

### უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი

ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.1801 |
| ევრო | 2.1760 |
| გირვანქა სტერლინგი | 3.5893 |
| რუბლი | 0.0686 |

# კიევის სამიტი: რითიც წავიდნენ, იმითვე ჩამოვიდნენ



REUTERS

საქართველოს პრეზიდენტი კმაყოფილია.

შოთა უტიაშვილი

კიევში, დსთ-ს არაფორმალურ სამიტზე გამგზავრების წინ, პრეზიდენტ შევარდნაძის დღის წესრიგში სამი მტკივნეული საკითხი იდგა: სოჭი-სოხუმის სარკინიგზო მიმოსვლა, აფხაზეთში რუსული პასპორტების დარიგება, სამშვიდობოთა მოქმედების ზონის გაფართოება და მასში მთელი გალის რაიონის მოქცევა.

გამგზავრებამდე რამდენიმე დღით ადრე, პრეზიდენტი აცხადებდა, რომ თუ ეს საკითხები არ მოგვარდებოდა, მას შეიძლება აღარ მოეწერა ხელი რუსული სამშვიდობო ძალებისათვის მანდატის გაგრძელებაზე.

ეს მუქარა რომ არარეალური იყო, არც ქართველებისათვის წარმოადგენდა საიდუმლოს და არც რუსებისათვის. მანდატის გაგრძელების საკითხი ყოველ ექვს თვეში ერთხელ ისმება და ყოველთვის დადებითად წყდება, რადგან საქართველო რუსი სამშვიდობოების ყოფნას "ნაკლებ ბოროტებად" მიიჩნევს.

გაგრძელება A3 გვერდზე

## „დამღუპველია, რომ საქართველოს სურს აფხაზეთის პრობლემის მისებურად გადაწყვეტა„

მიიჩნევს რუსეთის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფონდის - „პოლიტიკის" პრეზიდენტი ვიაჩესლავ ნიკონოვი და დასძენს:

**„კიევის არაფორმალური სამიტი სინამდვილეში სულაც არ ყოფილა დსთ-ს ლიდერების უშუალო და გულითად გარემოში შეხვედრის ასპარეზი. ამ სამიტზე რუსეთისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხები გადაწყდა."** მისი თქმით, არაფორმალურ გარემოში, რუსეთის საგარეო პოლიტიკამ გაიმარჯვა.

პოლიტოლოგის აზრით, **„მოსკოვმა, პუტინის წყალობით, კიდევ ერთხელ აგრძნობინა დსთ-ში ინტეგრაციის მსურველ რესპუბლიკებს, რომ მათაც ევალებათ რუსეთისთვის ანგარიშის გაწევა, შესაბამისად, რუსეთისაგან სასარგებლო რჩევების მიღებაც არავის აწყენდა"**. რაც შეეხება დსთ-ს ერთიან სავაჭრო-ეკონომიკურ სივრცეში შესვლის მოწინააღმდეგეებს, პოლიტოლოგი მათ ურჩევს, გაითვალისწინონ დღეს ევრაზიის კონტინენტზე შექმნილი სიტუაცია, რეგიონში გეოპოლიტიკური სურათის შეცვლის პერსპექტივა და მოსალოდნელი მოვლენები (ნიკონოვს ერაყში საომარი მოქმედებების დაწყება აქვს მხედველობაში).

**„დღეს მთავარია ის, რომ, საქართველოსთან მთელი რიგი სადავო პრობლემების გადაწყვეტისას, მოსკოვს აქვს პოლიტიკური ნება და ეკონომიკური საშუალებებიც,"** - აცხადებს პოლიტოლოგი.

**„ჩვენ დღეს ყველანაირად ხელი უნდა შევუწყოთ ამიერკავკასიაში სარკინიგზო მიმოსვლის განახლებას, ტექნიკურად რაოდენ რთულად**

გაგრძელება A3 გვერდზე

# ლაკმუსი ხელისუფლებისთვის

### თბილისის საკრებულო მუნიციპალურ სკოლებს აფუძნებს

*თბილისის საკრებულო, რომელიც ცენტრალურ ხელისუფლებას დროდადრო უჩვეულო გამოცდებს უწყობს, გუშინ მუნიციპალური სკოლების დაფუძნებაზე შეთანხმდა. ქალაქის პარლამენტმა გადაწყვეტილება ხანგრძლივი მსჯელობისა და ხმაურიანი შეხლა-შემოხლის შემდეგ მიიღო. საკუთრივ იდეა და მისი განხორციელების აუცილებლობა სხდომაზე ეჭვქვეშ არავის დაუყენებია, დავის საგანს პროცედურული საკითხი წარმოადგენდა.*

მაკა ჯაიანი

ლეიბორისტებმა კატეგორიულად მოითხოვეს, გადაწყვეტილება იურიდიულ საკითხთა კომისიის ვიზირების გარეშე არ განხილულიყო. "24 საათთან" საუბარში ამ კომისიის თავმჯდომარემ კახა ძაგანიამ განაცხადა, პროექტი თვალით არ გვინახავს, გასარკვევია, რამდენად ითვალისწინებს იგი მოქმედ კანონებს, იუსტიციის სამინისტროს აუცილებლად მივწერთ, გადაწყვეტილება ჩვენი დასკვნის გარეშე რომ მიიღეს და მას რეგისტრაციაში არ გაატარებენო. მოგვიანებით კი იურიდიულ საკითხთა კომისიას პროექტის განსახილველად და დასკვნის გასაკეთებლად სულ რამდენიმე საათი ეყო.

დასკვნის მიხედვით, განათლების შესახებ კანონის თანახმად, თვითმმართველობის ორგანოებს შეუძლიათ ზოგადსაგანმანათლებლო დაწე-

გაგრძელება A2 გვერდზე



საკრებულო თბილისის სკოლებში ინსტიტუციონალურ რეფორმას იწყებს.

## სახელმწიფო ბიუჯეტი და ნაწილ-ნაწილ საყვარელი საქართველო

გიორგი ასანიშვილი

*სახელისუფლებო ფრაქციების დამსახურებით, 2003 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი ნაბიჯ-ნაბიჯ უახლოვდება ოფიციალურ დოკუმენტად გაფორმების უკანასკნელ სტადიას. ცხადი ხდება ისიც, რომ ოპოზიცია ისეთი შემართებით აღარ იბრძვის, როგორც პირველი მოსმენის დროს. საბიუჯეტო პოლემიკამ ინტრიგა რომ დაკარგა, ამას სხდომათა დარბაზში კანტიკუნტად მყოფი დეპუტატების განწყობაც ადასტურებს: ფინანსთა მინისტრის მისამართით ისმება შეკითხვები, პასუხები კი თავად შეკითხვის დამსმელებსაც აღარ აინტერესებთ. თუ რატომ მიიღო განხილვამ ფორმალური ხასიათი, ძნელი მისახვედრი არ არის - უკვე გადაწყვეტილია, რომ ბიუჯეტის პროექტში არსებითად არაფერი შეიცვლება და პარლამენტი მას იმ სახით მიიღებს, როგორიც აღმასრულებელ ხელისუფლებას სურს.*

**"ეს ბიუჯეტი ყველაზე დამანგრეველი შედეგების მომტანი იქნება საქართველოს ბოლო წლების ისტორიაში, მაგრამ მასში კორექტივებს რომ ვერ შევიტანთ, ამას უკვე შევეგუეთ"**, - როგორც ხედავთ, ფრაქცია "აღორძინების" ხელმძღვანელმა ჯემალ გოგიტიძემ თეთრი დროშაც კიააფრიალა.

მიუხედავად "პარაჟენცული" განწყობისა, გუშინ დილიდან დაწყებული და გვიან ღამემდე გაგრძელებული მეორე მოსმენის დროს,

გაგრძელება A2 გვერდზე

# „მოვითხოვეთ მაქსიმუმი, მივაღწიეთ ბევრს"

*"საკონსტიტუციო სასამართლომ რევოლუციური გადაწყვეტილება მიიღო", - ამბობს სახალხო დამცველი ნანა დევდარიანი, რომელიც კმაყოფილებას ვერ მალავდა იმის გამო, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ მისი სარჩელის მნიშვნელოვანი მოთხოვნები დააკმაყოფილა.*

სოფიკო ჩხაიძე

გუშინ საკონსტიტუციო სასამართლომ დაასრულა სახალხო დამცველისა და ორგანიზაცია "კონსტიტუციის 42-ე მუხლის" ადვოკატების სარჩელის განხილვა, რომლითაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რიგი მუხლების ანტიკონსტიტუციურად ცნობას ითხოვდნენ. სასამართლოს გადაწყვეტილებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ანუ არ იქნა გაზიარებული მოსარჩელეების რამდენიმე პრეტენზია. კერძოდ, ეს ეხება საპროცესო კოდექსის იმ მუხლს, რომელიც მხარეს ავალდებულებს, რომ ბრალდებას წარუდგინოს ალტერნატიული ექსპერტიზის დასკვნა. ამით, მოსარჩელეთა აზრით, ირღვევა კონსტიტუცია, რომლის თანახმადაც არავინ არის ვალდებული, მისცეს საკუთარი თავის საწინააღმდეგო ჩვენება. აგრეთვე, მოსარჩელეები ითხოვდნენ, რომ ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს, დაუკანონდეთ ნებისმიერი, პროცესის მწარმოებელი ორგანოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სასამართლოში გასაჩივრების უფლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩეჩნების მალულად ექსტრადირების მსგავსი მოვლენების თავიდან აცილება შეუძლებელი იქნება. საკონსტიტუციო სასამართლომ არც ეს დებულება მიიჩნია მართებულად.

გაგრძელება A7 გვერდზე

# პერსპექტივა: კავკასიის ენერგეტიკული ინტეგრაცია

*დღეს საქართველოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა ანკარაში გაემგზავრა. თურქეთის დედაქალაქში იგი თავის თურქ კოლეგას შეხვდება. ერთ-ერთი ძირითადი საკითხი, რის შესახებაც საქართველოსა და თურქეთის ენერგეტიკის მინისტრებს ექნებათ საუბარი, ფარავნის ტბაზე თურქული ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობაა, რაც თურქეთის ტერიტორიაზე მდებარე ქართულ ძეგლებს დატბორვის საშიშროებას უქმნის. თუმცა, ელექტროსადგურის მშენებლობის გარდა, ორი მინისტრის ძირითადი სასაუბრო თემა თურქეთში ელექტროენერგიის ექსპორტისა და კავკასიის ერთიანი ენერგოსისტემის შექმნის საკითხებიც იქნება.*

მაია ურუშაძე

ზაფხულობით, იაფი ჰიდროენერგიის მოჭარბების დროს, საქართველო თითქმის ყოველწლიურად აწარმოებდა ელექტროენერგიის ექსპორტს თურქეთში. საქართველოსთვის ეს საკმაოდ მომგებიანი საქმიანობა 2002 წლის 1 აპრილიდან შეწყდა, ვინაიდან ქვეყანაში განვითარებულმა ეკონომიკურმა კრიზისმა თურქეთს დენის იმპორტის საშუალება არ მისცა. ახლა ექსპორტის განახლება ქართულ მხარეს საშუალებას მისცემს, საბოლოოდ გათავისუფლდეს თურქეთის ვალებისგან. სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დავით მირცხულავა მიიჩნევს, რომ **"ზაფხულში საქართველოს ერთი მილიარდი კილოვატსაათი ჭარბი ელექტროენერგია აქვს. ამ დროს ნებისმიერი ფასით ნებისმიერ ბაზარზე შეგვიძლია შესვლა."**

გაგრძელება A4 გვერდზე

A2 ინფორმაცია | A3 პოლიტიკა | A4 ეკონომიკა | A5 უცხოეთი | A6 საზოგადოება | A7 სამართალი | A8 ევროისტორია

B2 კულტურა | B3 ანკეტა | B4 სპორტი | B5 სპორტი | B6 განცხადებები | B7 სტილი | B8 სხვადასხვა

## საბიუჯეტო ბატალიებიდან, მოცალეობის ჟამს

პარლამენტის შენობის წინ მიმდინარე საპროტესტო აქციას გუშინ თავად საკანონმდებლო ორგანოშიც გამოეხმაურნენ. **"მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამ აქციის ჩატარება თვითმიზნად იქცა და მისი მონაწილენი გარკვეული ძალების მიერ იმართებიან. თუ მდგომარეობა არ შეიცვლება, ვიტყვი, საიდან იღებს ყოველივე ეს სათავეს"**, - აცხადებს პარლამენტის თავმჯდომარე. ნინო ბურჯანაძის აზრით, აღმასრულებელი ხელისუფლების ზოგიერთი წარმომადგენელი მოთმინებიდან მის გამოყვანას ცდილობს და გათვლას იმაზე აკეთებს, რომ მიტინგი პარლამენტის თავმჯდომარის მითითების საფუძველზე აღიკვეთოს.

**"ტყუილად ფიქრობენ, რომ ამას მიაღწევენ. რაც არ უნდა მოხდეს, ამას მაინც არ გავაკეთებ"**, - დასძენს პარლამენტის სპიკერი, რომელიც შექმნილ სიტუაციასთან დაკავშირებით მთელ პასუხისმგებლობას ფრაქცია "მოქალაქეთა კავშირის" თავმჯდომარეს ვიტალი ხაზარაძეს აკისრებს. მართლაც, როგორც ცნობილია, მომიტინგეებთან მოლაპარაკებების წარმართვა თავდაპირველად ეროვნული შერიგების კომისიას (თავმჯდომარე ვასილ მაღლაფერიძე) დაევალა, მაგრამ, სახელისუფლებო ფრაქციის თავკაცის დაჟინებული მოთხოვნით, ეს მისია მან პირადად თავის თავზე აიღო და მომიტინგეებთან დიალოგის გამართვის მიზნით შექმნილი ჯგუფის ხელმძღვანელობა იკისრა. იმის დასანახად, თუ როგორ გაართვა ამოცანას თავი ენთუზიასტმა ხაზარაძემ, რუსთაველის პროსპექტზე ერთხელ გავლაც საკმარისია.

■ ■ ■

**"თუ პრეზიდენტი შევარდნაძე რუს სამშვიდობოებს მანდატს გაუგრძელებს, საკონსტიტუციო სასამართლოში ვიჩივლებთ, რადგან საქართველოს პარლამენტს მიღებული აქვს დადგენილება აფხაზეთის კონფლიქტის ზონიდან რუსი "ცისფერჩაფხუტიანების" გაყვანის შესახებ"**, - განაცხადა პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე დეპუტატმა გოჩა ჯოჯუამ.

■ ■ ■

ფრაქცია "აღორძინების" თავმჯდომარის ჯემალ გოგიტიძის თქმით, ცენტრალური ხელისუფლება მის კონსტიტუციურ უფლებებს არღვევს. **"ჩემს სახლთან დგანან ავტომანქანები, საიდანაც საუბრები ისმინება. გვისმენენ ყველგან - სახლში, სამსახურში, მობილურ ტელეფონზე... გამორიცხული არ არის, საქმე ჩემს ფიზიკურ ლიკვიდაციამდეც მივიდეს"**, - აღნიშნავს ბათუმური ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი და "მის წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში" შინაგან საქმეთა სამინისტროსა და დაზვერვის დეპარტამენტის ხელმძღვანელობას ადანაშაულებს.

გოგიტიძე შეახსენებს პარლამენტარებს, რომ შოთა კვირაია ნოდარ გრიგალაშვილის სატელეფონო საუბრების მოსმენისთვის მოხსნეს და ითხოვს, ან ხელისუფლებამ მიიღოს გადამჭრელი ზომები, ან **"ძალოვან სტრუქტურებს მოსმენის უფლება დაუკანონდეთ"**.

## სახელმწიფო ბიუჯეტი და ნაწილ-ნაწილ საყვარელი საქართველო

პირველი გვერდიდან

მიკროფონებთან მაინც ოპოზიციური ფრაქციების წარმომადგენლები დომინირებდნენ. წამოჭრილ საკითხთა სპექტრი ძალიან ფართო იყო - კონსერვატორიის უკეთ დაფინანსებიდან დაწყებული და "ვინდოუსის" პროგრამების ქართულ ენაზე თარგმნისთვის სახსრების გამოყოფით დამთავრებული. ფინანსთა მინისტრთან მთელი დღის განმავლობაში გაჩაღებული დისკუსიის მიუხედავად, ოპოზიციისთვის ბევრი რამ მაინც გაურკვეველი დარჩა. მაგალითად, თუნდაც ის, თუ რატომ უნდა ფინანსდებოდნენ პრეზიდენტის რწმუნებულები და მათი აპარატი სახელმწიფო ბიუჯეტიდან და არა პრეზიდენტის 11-მილიონიანი ფონდიდან.

**"რწმუნებულების ინსტიტუტი გადავსვათ პრეზიდენტის ფონდში, სახელმწიფო ბიუჯეტში გამოთავისუფლებული სახსრები კი შესაბამის რეგიონებს გადავცეთ"**, - ჯემალ გოგიტიძის ამ ინიციატივას ფინანსთა მინისტრი დუმილით პასუხობს, ოღონდ ეს ის შემთხვევა არ არის, როდესაც დუმილი თანხმობის ნიშანია.

"აღორძინებისთვის" და, საერთოდ, ბათუმური ალანსისთვის ისიც გაუგებარია, რატომ არ ფინანსდება ასლან აბაშიძე, როგორც პრეზიდენტის რწმუნებული და რატომ უნდა ეძიოს მან სამივლინებო თანხები სხვაგან, მაშინ, როდესაც მისი "კოლეგებისთვის" ამაზე სახელმწიფო ბიუჯეტი "ზრუნავს". მირიან გოგიაშვილი ამჯერად უფრო "მოწყალე" აღმოჩნდა და გარკვეული შეპირებები გასცა: **"მზად ვართ, ბატონი ასლანის ვიზიტები სარეზერვო ფონდიდან დავაფინანსოთ"**. თუმცა, მისი პასუხი რწმუნებულების გამოცანას ბოლომდე მაინც ვერ სცემს პასუხს და ახალ კითხვას ბადებს - რატომ უნდა ხდებოდეს რწმუნებულების დიფერენცირება და რატომ უნდა



„თუ ვიღაცას მოსვლა დაეზარა, ეს მისი პრობლემაა და არა ჩემი".

ფინანსდებოდნენ ისინი სხვადასხვა წყაროებიდან: ერთი - სარეზერვო ფონდიდან, სხვები კი - ცენტრალური ბიუჯეტიდან?

ბიუჯეტის პროექტში თანხების გადანაწილების პრინციპი არც პარლამენტის თავმჯდომარეს მოსწონს. **"რაღაც სულელურ კოლოქვიუმებს რომ ვაფინანსებთ ბიუჯეტიდან, უკეთესი იქნება, ეს სახსრები აფხაზეთში მებრძოლებს მივცეთ"**, - სთავაზობს ნომერ პირველი პარლამენტარი ნომერ პირველ ფინანსისტს.

მთელი გუშინდელი დღის განმავლობაში ჩრდილში მყოფი სახელისუფლებო ფრაქციათა წარმომადგენლები მხოლოდ მაშინ გამოცოცხლდნენ, როდესაც ტრანსფერტებთან დაკავშირებული მუხლების განხილვა დაიწყო - არა, უმრავლესობის წევრებს და მით უმეტეს, ხელისუფლებასთან შეხმატკბილებულ მაჟორიტარებს ტრანსფერტების საკითხში სასაყვედურო არაფერი ჰქონდათ. პირიქით, მიკროფონებთან ისინი მხოლოდ მადლობის სათქმელად მივიდნენ.

სამაგიეროდ, ოპოზიცია განაგრძობდა "კბენას": "დემოკრატი" მიხეილ მაჭავარიანი შეეცადა, დაედგინა ის პრინციპი, რომლის საფუძველზეც ტრანსფერების განაწილება მოხდა. კერძოდ, რა არის იმის მიზეზი, რომ, ბიუჯეტის პროექტის მიხედვით, მნიშვნელოვნად იზრდება ცენტრალური ბიუჯეტიდან იმ რაიონების ინვესტირება, რომელთა მაჟორიტარებიც ხელისუფლების მხარდამჭერები არიან, ხოლო ოპოზიციონერი მაჟორიტარების რაიონების დაფინანსება იგივე რჩება ან, უკეთეს შემთხვევაში, უმნიშვნელოდ იმატებს.

**"ეს ოხერი საქართველო ნაწილ-ნაწილ გიყვართ?"** - ხათუნა ხოფერიას ეს შეკითხვაც ტრანსფერების არაპროპორციულად განაწილებიდან მომდინარეობდა.

**"ჩვენ ყველანი ერთად დავსხედით და ერთად გავანაწილეთ ტრანსფერები. თუ ვიღაცას მოსვლა დაეზარა, ეს მისი პრობლემაა და არა ჩემი"**, - ფინანსთა მინისტრის ასეთი პასუხი, რბილად რომ ვთქვათ, გაოცებას იწვევს: დეპუტატის პოლიტიკურ ორიენტაციაზე ან თუნდაც რაღაც შეკრებაზე მის მისვლა-არმისვლაზე რატომ უნდა იყოს მიბმული ამა თუ იმ რაიონის ფინანსურ-ეკონომიკური განვითარების საკითხი?

აღმასრულებელი ხელისუფლების ტენდენციურობასთან ერთად, გუშინ კარგად წარმოჩნდა ისიც, როგორი "რჩეულები" ჰყავს საკანონმდებლო ორგანოში საქართველოს მოსახლეობას.

**"ბიუჯეტში საერთოდ ვერ ვერკვევი. წარმოდგენა არა მაქვს, რას ნიშნავს "ტრანსფერი", "დეფიციტის ზღვრული ნორმა" და სხვა"**, - ამას თავად აღიარებს დეპუტატი, რომელიც, უკვე რვა წელია, პარლამენტში საქმიანობს, ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ კანონმდებლად ითვლება და პატრიოტულ რიტორიკაში ბადალი არა ჰყავს. თუმცა, რას ვიზამთ, უნაკლო ქმნილება ხომ ჯერ არ შობილა ამ ქვეყნად - სამშობლოს სიყვარულში "ჭიპმოჭრილ" კანონმდებელს, ალბათ, ეპატიება, ძირითადი ეკონომიკური კანონის პროექტი (თხა და) გიგოსავით რომ უჭირავს.

**P.S.** კანონმდებლობის სრული იგნორირებით და რეგლამენტის დარღვევით, ნაშუალამევს პარლამენტმა მესამე მოსმენით მიიღო კანონი სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ. პროცედურა იმდენად უკანონო იყო, რომ თავად როსტომ დოლიძე მოუწოდებდა უმრავლესობას, ეს არ ჩაედინათ, მაგრამ ხელისუფლების ერთგული „თემატიკოსებისთვის" მთავარი აღმოჩნდა არა კანონი, არამედ – მონური ერთგულება.

### კულუარები

## გადაადგილებები საპარლამენტო ფრაქციებში

*არჩევნების წელს ფრაქციებსა და პარტიებს შორის დეპუტატების გადაადგილება, შიდაპარტიული განხეთქილებები და პარტიათაშორისი ალიანსები თითქმის ყოველკვირეულად ხდება. ამ მხრივ არც მიმდინარე კვირაა გამონაკლისი.*

თამარ ხორბალაძე

"24 საათთან" გუშინდელ ინტერვიუში "ახლების" ლიდერმა დავით გამყრელიძემ პირველად გააცხადა, რომ დოდო შელიამ ბიუჯეტის მხარდაჭერისა და ფრაქციისა და პარტიის დატოვების გადაწყვეტილება ერთდროულად მიიღო.

მანვე განაცხადა, რომ, იმავე ბიუჯეტის მხარდაჭერის გამო, ირაკლი ბათიაშვილს თავად მოუწევდა არჩევანის გაკეთება პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეობასა და "ახალი მემარჯვენეების" პარტიის თანათავმჯდომარეობას შორის.

გუშინ "24 საათი" შეეცადა, ირაკლი ბათიაშვილთან დაედგინა, რომელ პოსტზე აპირებს დარჩენას და აღმოაჩინა, რომ პარლამენტარისთვის ასეთი არჩევანის წინაშე დგომა სიურპრიზი გახლდათ.

ირაკლი ბათიაშვილმა "24 საათს" განუცხადა, რომ ამ თემაზე დავით გამყრელიძესთან საუბარი ჰქონდა, თუმცა პარტიის თანათავმჯდომარის ბედი პარტიის მთავარი საბჭოს გადასაწყვეტია. მან თქვა, რომ საკუთარი პოზიციის ასახსნელად საკუთარი არგუმენტები აქვს და მთავარმა საბჭომ უნდა გადაწყვიტოს, გაიზიარებს თუ არა ამ არგუმენტებს, ულტიმატუმებით საუბარი კი თანაპარტიელებს შორის ურთიერთობის სწორ ფორმად არ მიაჩნია.

პარლამენტში ამ დღეებში საუბრობდნენ იმაზეც, რომ ყოფილი "ახალი" მაია სიმონიძე, რომელიც დღეს დამოუკიდებელი დეპუტატია, პარლამენტის სხდომებზე, ძირითადად, "დემოკრატების" ტერიტორიაზე ტრიალებს და, როგორც ამბობენ, მისი სიმპათიებიც ამ მიმართულებით იხრება.

ეს სიმპათიები, ჯერჯერობით, ოფიციალურ ხასიათს არ იღებს, სამაგიეროდ, გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გოჩა ჯოჯუა, რომელიც ფრაქციის ფორმირებისთვის კაცნაკლულ "ნაციონალთა" ფრაქციას "მაშველ რგოლად" ჯერ კიდევ კაკო ბობოხიძის მოსვლამდე უნდა მოვლენოდა, ამ ფუნქციის შესრულებას ახლა აპირებს.

ამბობენ, რომ "ტრადიციონალისტთა" და "ნაციონალთა" ფრაქციების გაერთიანების პროცესი დროში ისე გაიწელა, რომ ეს საგაზაფხული სესიის გახსნამდე, შესაძლოა, ვერც მოესწროს. ამიტომ "ნაციონალებს," ფრაქციის შესანარჩუნებლად, დამატებითი ხმა აუცილებლად სჭირდებოდათ და გოჩა ჯოჯუამაც, "24 საათის" ინფორმაციით, ფრაქციაში გაწევრიანების შესახებ განცხადება უკვე დაწერა.

## ევროსაბჭო შანსს აძლევს ევროკავშირის მიღმა დარჩენილ ქვეყნებს

გუშინ ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის სესია ჩეჩნეთის საკითხზე მსჯელობდა.

რუსეთის დელეგაციას ამჯერადაც ევროპარლამენტართა სერიოზული თავდასხმების გადატანა მოუხდა. სესიაზე გამომსვლელთა უმრავლესობა აცხადებდა, რომ რეფერენდუმის ჩატარება დღევანდელ ჩეჩნეთში, სადაც დგას ჯარი და გამოცხადებულია სამხედრო მდგომარეობა, სრული ფიქცია იქნება.

ქართული დელეგაცია, რომელმაც ორშაბათს აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით რუსეთის დელეგაციასთან ჩვენი მხარისთვის საკმაოდ მომგებიანი შინაარსის შეთანხმებას მოაწერა ხელი, გუშინ სესიის სხდომის მიღმა აქტიურობდა. ზურაბ ჟვანია შეხვდა ევროსაბჭოს გენერალურ მდივანს ვალტერ შვიმერს. შეხვედრის მთავარი თემა მომავალი საპარლამენტო არჩევნები და მისი დემოკრატიულად ჩატარების აუცილებლობა გახლდათ.

ვალტერ შვიმერმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ ევროსაბჭო სერიოზული მონიტორინგის წარმოებას აპირებს, როგორც საქართველოს საარჩევნო კანონმდებლობის დახვეწის, ისე თავად საარჩევნო პროცედურების განხორციელებაზე.

გუშინვე საქართველოს მეგობართა ჯგუფმა ევროსაბჭოში ჩაატარა სპეციალური შეხვედრა, რომელიც მიეძღვნა იმ ქვეყნებს, რომლებიც არ არიან გამოცხადებული ევროკავშირის წევრობის კანდიდატებად. ასეთ სახელმწიფოებს (მათ შორის – საქართველოს) უნდა ჰქონდეთ შესაძლებლობა, რათა სამომავლოდ შეძლონ ევროკავშირთან შეერთება. ამ შეხვედრაზე მიღწეულ იქნა შეთანხმება, რომ ეს ჯგუფი მიიღებს მუდმივ სახეს და ევროსაბჭოს ყველა სესიაზე ჩატარდება კონსულტაციები.

*"24 საათი"*

### მოკლედ

**თბილისი.** საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის განხილვას საერთაშორისო სემინარი ეძღვნება. გუშინ ორდღიანი სემინარი მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის და ლატვიის საერთაშორისო საქმეთა ინსტიტუტის ორგანიზებით სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" ოფიციალურად გაიხსნა. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ნატო-ს მომდევნო კონფერენცია "ახალი გამოწვევები სამხრეთ-აღმოსავლეთ რეგიონისათვის", რომელიც ამ დღეებში იტალიის ქალაქ ნეაპოლში გაიმართა, მიმდინარე წლის შემოდგომაზე თბილისში იგეგმება. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ საქართველოს განსაკუთრებულ საქმეთა მინისტრმა მალხაზ კაკაბაძემ რუსეთის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი საქართველოში ვლადიმერ ჩხიკვიშვილი მიიღო. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი.** როგორც საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის შტაბის უფროსმა კორნელი სალიამ განაცხადა, თებერვალში საქართველო-რუსეთის საზღვრის დაღესტნის მონაკვეთზე ეუთო-ს მონიტორინგის 4 პუნქტს გახსნის. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი, რომლის ხელმძღვანელობით ოთხშაბათს, რუსეთის დედაქალაქის მერიის წარმომადგენლობითი დელეგაცია ორდღიანი ვიზიტით ბათუმს ეწვევა, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მეთაურს ასლან აბაშიძეს პირისპირ შეხვდა. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** პანკისის ხეობაში მყოფი ჩეჩნეთიდან ლტოლვილები, გაეროს დევნილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატის სამმართველოს საქართველოს წარმომადგენლობას ჰუმანიტარული ტვირთების მიტაცებაში მონაწილეობას აბრალებს. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** "ზვიადისტურ ორგანიზაციებში" არ არსებობს ერთიანი აზრი შემოდგომაზე დაგეგმილ საპარლამენტო არჩევნებისათვის გაერთიანების შესახებ. **პრაიმ-ნიუსი**

■ ■ ■

**ერევანი.** ევროსაბჭოს გენერალური მდივანი ვალტერ შვიმერი აცხადებს, რომ მიმდინარე წელს, სომხეთსა და აზერბაიჯანში დაგეგმილ საპრეზიდენტო, ხოლო მომავალ წელს საქართველოში დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებს სასიცოცხლო მნიშვნელობა ენიჭება დემოკრატიის განმტკიცებისა და რეგიონის მშვიდობიანი გზით განვითარებისათვის. **პრაიმ-ნიუსი**

## ლაკმუსი ხელისუფლებისთვის

პირველი გვერდიდან

სებულებების დაფუძნება, მაგრამ არა მოქმედი სკოლების ბაზაზე, რომლებიც დღეისთვის კანონდარღვევით, დებულებისა და წესდების გარეშე, მოქმედებენ. ამ წინააღმდეგობრივი დასკვნის მიუხედავად, გუშინ საკრებულომ მუნიციპალური სკოლების დაფუძნების შესახებ გადაწყვეტილება მიიღო. მას ხმა მისცეს ლეიბორისტებმაც, რომლებიც მოგვიანებით კულუარებში აცხადებდნენ, სხვა გზა არ გვქონდა, სახელმწიფო კანცელარიასთან ალიანსში დაგვადანაშაულებდნენო.

მუნიციპალური სკოლები თვისობრივად ცვლის განათლების სისტემას დედაქალაქში და ქმნის ერთგვარ პრეცედენტს მთელი საქართველოსთვის. იგი რეალურად დამოუკიდებელს ხდის სკოლას და მასში მართვის დემოკრატიულ პრინციპებს ნერგავს. პროექტის მიხედვით, სკოლებში იქმნება მოსწავლეთა თვითმმართველობები, მშობელთა სათათბიროები, პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოები. ეს არჩევითი ინსტიტუტებია. მათგან განსაკუთრებული როლი ცხრაკაციან სამეურვეო საბჭოს ენიჭება. სწორედ მასში არჩეული ხუთი მშობელი და ოთხი მასწავლებელი განსაზღვრავს, როგორ უნდა დაიხარჯოს სკოლისთვის ქალაქის ბიუჯეტის მიერ გამოყოფილი თუ შემოწირულობებით დაგროვილი თანხები, როგორი პროგრამით უნდა ხორციელდებოდეს სწავლება სკოლაში და ვინ უნდა იყოს მისი დირექტორი. ამგვარი ცვლილებების წინააღმდეგ წასვლა გუშინ არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ უცდია.

ძირითადი წინააღმდეგობა, რომელიც საკრებულოს გადაწყვეტილებას, ალბათ, შეხვდება, დირექტორების არჩევითობაა. განათლების შესახებ კანონის მიხედვით, დირექტორს სახელმწიფო სკოლაში განათლების მინისტრი ნიშნავს. განათლების სამინისტროში ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით კომენტარს ჯერ არ აკეთებენ, თუმცა იგრძნობა, რომ ეს ცენტრალური ხელისუფლების მთავარი კოზირი იქნება. დამოუკიდებელ ექსპერტებს ამაზე ერთი ლოგიკური არგუმენტი აქვთ: შევიტანოთ ცვლილება კანონში, ბოლოს და ბოლოს, კანონები ხალხისთვის იწერება.

**"შეიძლება ჩამოვთვალოთ ბევრი ქვეყნები, სადაც სკოლის დირექტორებს სამეურვეო საბჭოები ირჩევენ, შეიძლება ჩამოვთვალოთ ქვეყანები, სადაც მათ თვითმმართველობები ნიშნავენ, შეიძლება ჩამოვთვალოთ, ასევე, რამდენიმე ქვეყანა, სადაც დირექტორებს განათლების მინისტრი ნიშნავს. ეს უკანასკნელნი, ძირითადად, პოსტსაბჭოური ქვეყნებია,** - ამბობს ანტიკორუფციული საბჭოს წევრი, ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტის სოციოლოგიის კათედრის გამგე გიგი თევზაძე, - **მთავარია, რას იღებს ქვეყანა ამით. საკრებულოს ამ გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, ხდება სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუციონალიზება. მშობლები და მოსწავლეები სკოლის უშუალო გამგებლები ხდებიან, მნიშვნელოვანი ფიგურა ხდება დირექტორი, რომელსაც ეზრდება ხელშეუხებლობის გარანტიები, ისევე, როგორც პასუხისმგებლობა. გარდა ამისა, ხდება სისტემის ფინანსური დეცენტრალიზება. როგორი კარგი სკოლებიც არ უნდა გვქონოდა აქამდე, ისინი ავტორიტარული იყო და, დასამალი არ არის - კორუფციული. საკრებულოს გუშინდელი გადაწყვეტილება ყოველივე ამას ცვლის. ახალი სისტემა მოსწავლეს, რომელსაც დღემდე არჩევანის უფლება მხოლოდ ორ შემთხვევაში აქვს, მაშინ, როცა IX და XI კლასს ამთავრებს, და ორივე შემთხვევაში იმას წყვეტს, სად გააგრძელოს სწავლა, არჩევანის თავისუფლებას პირველივე კლასიდან აჩვევს. რაც შეეხება კორუფციას, ანგარიშვალდებულების გამჭვირვალე სისტემა, რომელიც სკოლაში მოქმედ სუბიექტებს შორის ამუშავდება, მას, პრაქტიკულად, გამორიცხავს. ამ არგუმენტების გათვალისწინებით, საეჭვოა, საკრებულოს გადაწყვეტილებას ვინმემ წინააღმდეგობა გაუწიოს, თუმცა "კანონებით ომი", რა თქმა უნდა, იქნება. მასწავლებელთა კორპუსი მრავალრიცხოვანია, მთავრობა ყოველთვის იყენებდა მათ არჩევნებში და ამჯერადაც შეეცდება, ხელიდან არ გაუშვას იგი. ამის გამო, შეიძლება, აპელირება განათლების შესახებ კანონზე მოხდეს. თუმცა, თუ პრობლემას მხოლოდ ეს წარმოადგენს, მის მოსაგვარებლად ხელისუფლებას მარტივი გზა აქვს – შეკრიბოს თავისი თემატური უმრავლესობა და დღესვე შეიტანოს ცვლილება კანონში."**

ქალაქის პარლამენტში ვარაუდობდნენ, რომ მუნიციპალური სკოლების შექმნის წინააღმდეგ ადგილობრივი ხელისუფლების ის წარმომადგენლებიც წავლენ, რომლებიც სკოლების დაფინანსების მოქმედი წესით ითბობდნენ ხელს. საიდანაც არ უნდა მივუდგეთ, ხელისუფლებას პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება მოუწევს.

## ქართული საზოგადოების მიმართვა გაერო-ს უშიშროების საბჭოსადმი

*გაერო-ს უშიშროების საბჭო აფხაზეთის საკითხს 31-ის ნაცვლად 30 იანვარს განიხილავს. გუშინ გაცნობეთ, რომ უცხოეთში მცხოვრებმა ქართველებმა უპრეცედენტო დემარში ჩაიფიქრეს - ნიუ-იორკში, გაერო-ს ოფისის წინ, და ევროპის რამდენიმე ქალაქში, აფხაზეთის კონფლიქტის მოწესრიგებისადმი საერთაშორისო თანამეგობრობის პასიურობას გააპროტესტებენ. გთავაზობთ მათი მიმართვის ტექსტს.*

### გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ყველა წევრ-ქვეყანას

ჩვენ, ამერიკის შეერთებულ შტატებში და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებში მცხოვრები ქართველები დიდ აღშფოთებასა და პროტესტს გამოვთქვამთ რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიის განახლებული მცდელობის წინააღმდეგ.

საერთაშორისო საზოგადოების მიერ ნდობით აღჭურვილი "მშვიდობისმყოფელების" ნიღაბსამოფარებული რუსეთის ჯარები გასული ათი წლის მანძილზე სრულ და დაუფარავ დახმარებას უწევენ აფხაზ სეპარატისტებს. ტრაგიკული შედეგი სახეზეა: საკუთარ ქვეყანაში გადასახლებაში იმყოფება უსახლკაროდ დარჩენილი და ადამიანის ელემენტარული უფლებებჩამორთმეული 300 000 ადამიანი, მაშინ როდესაც, აფხაზი სეპარატისტები და სხვა ადგილობრივი ეთნიკური უმცირესობები, რომელთა მთლიანი რაოდენობა 150 000-საც ვერ აღწევს, შორს გამიზნულ და ფრიად მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს იღებენ ამ ძირძველ ქართულ მიწაზე. რუსი ჯარისკაცი კი დღესაც მტკიცედ დგას ამ ფარსის "საგუშაგოზე".

რუსეთმა, გათამამებულმა საერთაშორისო საზოგადოებრიობის უუნარობით, ბოლო მოუღოს მშვიდობის დაცვის იდეის ამ უპრეცედენტო დამახინჯებას, უკანასკნელ ხანს გადადგა რიგი ისეთი ნაბიჯებისა, რომლებიც არა მხოლოდ ამ სულისკვეთებას, არამედ საერთაშორისო კანონით თუ მორალით გათვალისწინებულ ნებისმიერ ნორმასაც ეწინააღმდეგება. მათგან ყველაზე უფრო შემაშფოთებელი და შორს გამიზნულია აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობისათვის რუსული პასპორტების მასიური გაცემა. ანექსიისათვის გამიზნულ ამ დაუფარავ და ცინიკურ ქმედებას უმალ თან მოჰყვა სარკინიგზო მიმოსვლის განახლება აფხაზეთის დედაქალაქ სოხუმსა და რუსეთის ქალაქებს შორის, რაც საქართველოს სახელმწიფოს საზღვრის სრული იგნორირებისა და უგულებელყოფის აშკარა დაფიქსირებაა. ეს აქტები გაგრძელებაა რუსეთის მიერ საგულდაგულოდ დაგეგმილი პროცესისა, რომელიც ადრე გამოიხატა აფხაზეთისა და სამაჩაბლოს მოსახლეობისათვის ვიზების მოთხოვნის გაუქმებაში. ყოველივე ამან აშკარა გახადა რუსეთის ზრახვები და გამოაჩინა მისი ნამდვილი სახე, რომელიც აქამდე თითქოსდა განუხრელად უჭერდა მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობასა და სუვერენიტეტს.

უკვე ათი წელი გავიდა მას შემდეგ, რაც საქართველომ თხოვნით მიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციას, დახმარება გაეწია მისთვის საკუთარი ტერიტორიის მშვიდობიანი გზით დაბრუნების საქმეში. აფხაზეთის პრობლემა არ წარმოადგენს კონფლიქტურ სიტუაციაში გაერო-ს ყველაზე გრძელვადიანი ჩარევის მაგალითს, მაგრამ ის მაინც გამოირჩევა თავისი უნიკალურობით – ეს ერთადერთი კონფლიქტური სიტუაციაა, სადაც გაერო-ს მეთვალყურეობას არა მხოლოდ რაიმე პროგრესი, არამედ არსებული მდგომარეობის კიდევ უფრო გაუარესება მოჰყვა. ყველაზე დასანანი ის არის, რომ ამ გაუარესებასთან ერთად, გაერო-ს ისედაც განუხორციელებელი მიზანი კიდევ უფრო ბუნდოვანი და მიუღწეველი ხდება. საქართველოსათვის ეს უბედურებისა და ქართველი ხალხისათვის იმედების გაწბილების მომასწავებელია.

ჩვენ გვესმის, თუ რამდენად ძლიერია გაერო-ს მუდმივი წევრის ზეგავლენა უშიშროების საბჭოს საქმიანობაზე; იმასაც ვითვალისწინებთ, თუ რა საერთაშორისო პოლიტიკური ვითარებაა დღეს მსოფლიოში; და მიუხედავად ამისა, კიდევ ერთხელ მივმართავთ თხოვნით გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოსა და პირადად მის თითოეულ წევრს, მათ შორის რუსეთის ფედერაციას, რომ შეაჩერონ და პირი უქციონ ამ აგრესიას და ანექსიას და დაეხმარონ ქართველ ხალხს მისი მრავალტანჯული მიწის მთლიანობის აღდგენაში. იმისათვის, რომ ხელი შეეწყოს ამ პროცესს და მსგავსი უსამართლობა აღარ განმეორდეს, ჩვენ, ასევე, ვითხოვთ, რომ უშიშროების საბჭომ მიიღოს გადაწყვეტილება მრავალეროვან სამხედრო კონტინგენტზე დაფუძნებული გაერო-ს სამშვიდობო ოპერაციის დაწყებაზე. იმისათვის, რომ ზემოაღნიშნული რეალობად იქცეს, ჩვენ თხოვნით მივმართავთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წევრ-ქვეყნებს, კეთილი ნებით გამოყონ ჯარების კონტინგენტი ამ ოპერაციის შესასრულებლად.

ჩვენ, ქართველებს, გვჯერა, რომ საერთაშორისო საზოგადოების ერთიან ნებას წინ ვერაფერი დაუდგება. ჩვენ კვლავაც გვწამს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სიძლიერისა და სამართლიანობისა. საქართველოს გასაერთიანებლად თქვენ მიერ მიღებული გადამწყვეტი ზომები მომავალში კიდევ უფრო გაგვიმტკიცებს ამ რწმენას.

*ნიუ იორკი*
*2003 წლის 31 იანვარი*

გამომცემელი რუსთავი 2 პრინტი. მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), ვახტანგ ნადირაძე (გამომშვები რედაქტორი), ირაკლი ლეჟავა (პასუხისმგებელი რედაქტორი). დამატებები: დედაქალაქი - დავით მაღრაძე, ლიტერატურა - მალხაზ ხარბედია, სამყარო - ქეთევან სადღობელაშვილი, სამართალი - ნიკოლოზ რურუა, სტილი - ბიძინა მაყაშვილი, მედიცინა - ზაზა ფაჩუაშვილი, ბიზნესი - გიორგი კალანდაძე, საბავშვო - ვალერი ჯინჭარაძე. ფოტო: ლევან ყიფიანი (რედაქტორი), ბესო გულაშვილი (მენეჯერი). დიზაინი: გიორგი კოკილაშვილი, გიორგი ხმალაძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, ლელა წიქარიშვილი, ბექა ბალარჯიშვილი, დავით გეგეჭკორი, დიმიტრი შალუტაშვილი, ირაკლი ბილაშვილი, ალექსანდრე შათირიშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, თამარ კვაჭანტირაძე, ჯუანშერ ტიკარაძე, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურა ჯაოშვილი.

# „დამღუპველია, რომ საქართველოს სურს აფხაზეთის პრობლემის მისებურად გადაწყვეტა"

პირველი გვერდიდან

**განსახორციელებელიც არ უნდა იყოს იგი. ვგონებ, ამის წინააღმდეგი არც საქართველოს ხელისუფლებაში მყოფი საღი ძალები არიან. რა თქმა უნდა, თბილისთან შეუთანხმებლად ორგანიზაციული გადაწყვეტილებების მიღება მოსკოვის დიდი შეცდომაა, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ, ამ სარკინიგზო მაგისტრალის განახლებით, ტრანზიტს დიდი ეკონომიკური მოგების მოტანა შეუძლია საქართველოსათვის".**

პოლიტოლოგი ამტკიცებს, რომ დღეს რუსეთი მზადაა, მთელი რიგი პრობლემები გადაუწყვიტოს საქართველოს. ნიკონოვის აზრით, **„მოსკოვში ქართველი პარლამენტარების ვიზიტის შემდეგ, კრიტიკული მდგომარეობიდან გამოვედით. რუსეთის ხელისუფლებამ მიიღო საქართველოს მესიჯი მთელ რიგ საკითხებზე, პირველ რიგში, აფხაზეთში დაწყებულ პასპორტიზაციაზე. პრეზიდენტების შეხვედრის წინ ჩვენ ერთად დავაფიქსირეთ ისიც, რომ აფხაზეთში სარკინიგზო მიმოსვლა, თბილისთან შეუთანხმებლად, უკანონო აქციაა, მაგრამ, აქვე, მოწოდებულნი ვართ, დაუყოვნებლივ მოხდეს პროგრესი აფხაზეთის პრობლემის მოგვარებაში".**

**„რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა უკანასკნელი პერიოდის ლოგიკით, კიევში შევარდნაძე არ უნდა ჩასულიყო,"** - აცხადებს პოლიტოლოგი. მისი აზრით, დღეს კონსტრუქციული იქნებოდა, ამიერკავკასიის რკინიგზის ამუშავების პარალელურად, ორი ქვეყნის პოლიტიკოსებსაც მოეხსნათ უნდობლობის ატმოსფერო.

**„დამღუპველია, რომ საქართველოს სურს აფხაზეთის პრობლემის მისებურად გადაწყვეტა. დარეგულირებაში შექმნილი ჩიხის გათვალისწინებით, უნდა ვიცოდეთ, რომ მსოფლიო არასოდეს დაგმობს აფხაზურ სეპარატიზმს და მუდამ მცირე ხალხის უფლებების მხარეზე იქნება. ამიტომ მრჩება შთაბეჭდილება, რომ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დაძაბვა განგებ ხდებოდა ან ამას ხელს უწყობდნენ არაკომპეტენტური ადამიანები. არა მგონია, რომ კიევში პრეზიდენტების შეხვედრით ვითარება კარდინალურად შეიცვალოს, მაგრამ პუტინმა, გაზსადენის აღდგენით, მაინც კარგი ფონი შექმნა,"** - აცხადებს ნიკონოვი.

*საუბარი ჩაიწერა*
*რუსუდან ნიკურაძემ*



*მათ პუტინისგან სასარგებლო რჩევები მიიღეს.*

ეკა კვესიტაძის სვეტი

# უპერსპექტივო პერსპექტივა

გუშინ საღამოს პრეზიდენტის თვითმფრინავი თბილისის აეროპორტში დაეშვა. თუმცა, პასუხი კითხვაზე, რა ჩამოიტანა შევარდნაძემ კიევიდან, ძალიან უიმედოდ ჟღერს – არაფერი.

მართალია, არსებობს გამოთქმა, რომ ორი პრეზიდენტის შეხვედრა წარმატებისათვის არის განწირული, მაგრამ ამ კონკრეტულ შემთხვევაში ამ გამოთქმის მართებულობა, შესაძლოა, ეჭვქვეშ დადგეს.

ბუნებრივია, შევარდნაძე განაცხადებს, რომ ეს ვიზიტი წარმატებული იყო. მაგრამ პრეზიდენტისათვის სიტყვა "წარმატება," უკვე დიდი ხანია, ძირეულ ეტიმოლოგიას დაშორდა და ძალიან ფარდობითი და სპეციფიკური ცნება გახდა. შევარდანაძის ლექსიკონზე დაყრდნობით, ჩვენ წარმატებული ეკონომიკა გვაქვს, წარმატებული კულტურა, წარმატებული საერთაშორისო პოლიტიკა, წარმატებული სახელმწიფო კურსი და ასე შემდეგ, დაუსრულებლად.

ბუნებრივია, პუტინთან შეხვედრა ვერ ამოვარდება ამ საერთო ოპტიმისტური სურათიდან და ისიც, როგორ წესი, შევარდნაძის წარმატებული შეხვედრების რიცხვს მიეკუთვნება.

ამ წარმატებული შეხვედრის კონკრეტულ შედეგებს ხელისუფლება ორი კვირის განმავლობაში დაელოდება, როცა სამუშაო ჯგუფი ყველა პრობლემას დაწვრილებით შეისწავლის. მერე რა, რომ ასეთი სამუშაო ჯგუფების მიერ შესწავლილი პრობლემები და შემდეგ მათი საქართველოს სასარგებლოდ გადაწყვეტა რუსულ-ქართულ ურთიერთობებს ჯერ არ ახსოვს. მაგრამ, მთავარია, რომ ახლაც დიდი პერსპექტივებისა და ნათელი მომავლის გვჯეროდეს.

რეალობა კი ის არის, რომ რუსები არც პასპორტების გაცემას შეწყვეტენ, არც სოჭი-სოხუმის რკინიგზის მუშაობას შეაფერხებენ და, რაც მთავარია, ხელსაც არ გაანძრევენ აფხაზეთში დევნილების დასაბრუნებლად. ისიც ცხადია, რომ, მიუხედავად ყველაფრისა, კონფლიქტის ზონას რუსი სამშვიდობოები კიდევ დიდი ხნის განმავლობაში არ დატოვებენ.

პუტინის ცინიკური განცხადება: "თუ თქვენ იტყვით, ჩვენ მზად ვართ ჯარების გასაყვანად" და შევარდნაძის სასოწარკვეთა: "რა ვქნათ მაშინ, თუ ისინი წავლენ", უკვე ნათლად მეტყველებს ყველაფერზე.

პრეზიდენტის განაცხადი - "მე ჯერ არ მომიწერია ხელი მანდატის გაგრძელებაზე", უბრალოდ, დროის გაყვანის მცდელობაა, მცდელობა, შექმნას ილუზია, რომ დსთ-ს სამიტიდან რაღაცით მაინც დაბრუნდა.

თუმცა, სხვა შედეგებს არც არავინ ელოდა. მოხდა ის, რაც ლოგიკური იყო და რაც უნდა მომხდარიყო.

როცა სუსტი, კორუმპირებული, კრიმინალური და ლამის არშემდგარი სახელმწიფოს პრეზიდენტი ხარ, მაშინ საკმარისი უკვე ნამდვილად აღარ არის წლების წინ მოპოვებული საერთაშორისო აღიარება და დიდი დიპლომატის სტატუსი.

# კიევის სამიტი: რითიც წავიდნენ, იმითვე ჩამოვიდნენ

პირველი გვერდიდან

ბოლო წლებში, ამ საკითხზე გამართული დებატების დროს, ნათელი გახდა, რომ რაც უნდა უხეშად დაარღვიოს რუსეთმა საერთაშორისო სამართლისა თუ ორმხრივი ურთიერთობების ნორმები და რაც უნდა დიდი იყოს ამით საქართველოს გაღიზიანება, სამშვიდობოების ყოფნაზე ეს არ იმოქმედებს, რადგან მათი რეალური ალტერნატივა ქვეყანას არ გააჩნია.

მეორე ბერკეტი, რომლის გამოყენებასაც შეეცადა საქართველოს ხელისუფლება, რუსული სამხედრო ბაზებისათვის კომუნიკაციების გადაკეტვა იყო; თუმცა, ნაკლებად სავარაუდოა, რომ ამას რაიმე შედეგი მოჰყვეს.

სამიტის წინ საქართველოს ხელთ არ ჰქონდა რაიმე საგარეო-პოლიტიკური რესურსიც კი. დსთ-ს ფარგლებში კონფლიქტის გადაწყვეტის საქმეში პროგრესის მიღწევაზე დიდი ხანია, რაც თბილისში ხელი ჩაიქნიეს. გაერო-ს უფრო აქტიურ ჩარევას, რაც ბოდენის გეგმისათვის უშიშროების საბჭოს დოკუმენტის სტატუსის მინიჭებითა და მისი მხარეთათვის გადაცემით იქნებოდა შესაძლებელი, ასევე სისტემატურად ბლოკავს რუსეთი.

რაც შეეხება აშშ-სა და დასავლეთის სხვა მეგობარ ქვეყნებს, მათი ყურადღება სხვა საერთაშორისო კრიზისებისკენაა მიმართული; თანაც, ჯერჯერობით, მათი შესაძლებლობები აფხაზეთის კონფლიქტის მოგვარების საკითხში საკმაოდ შეზღუდულია.

ამიტომაც ქართული დელეგაცია იმით დაბრუნდა კიევიდან, რითიც გაემგზავრა, თუ პუტინის მიერ შევარდნაძისათვის ნაჩუქარ სურათს არ ჩავთვლით.

ორსაათიანი შეხვედრიდან გამოსული პრეზიდენტები აცხადებდნენ, რომ მათი საუბარი დროული და სასარგებლო იყო, რომ ორმხრივ ურთიერთობებში მოუგვარებელი საკითხები არ არსებობს. პრეზიდენტებმა პრესკონფერენციაზე განაცხადეს, რომ მიღწეულ იქნა კომპრომისი, რომლის თანახმადაც, მატარებლის მიმოსვლის აღდგენასთან ერთად, დაიწყება აფხაზეთში ლტოლვილების დაბრუნების პროცესიც. პუტინის დაპირებას, რომ დაგვეხმარება დევნილთა დაბრუნებაში, შევარდნაძემ უნიკალური უწოდა.

თუმცა აშკარაა, რომ არც რუსეთის პრეზიდენტის ეს განცხადება ყოფილა უნიკალური და არც ის იქნება უნიკალური, თუ მოსკოვი დევნილთა დაბრუნებისათვის ნაბიჯსაც კი არ გადადგამს. წლების განმავლობაში რუსეთი ოფიციალურად ისედაც შუამავლად ითვლება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში. გაერო-ს უშიშროების საბჭოს რეზოლუციების თანახმად, მას არაერთხელ აუღია ვალდებულება, ხელი შეეწყო დევნილთა მშვიდობიანი და უსაფრთხო დაბრუნებისთვის

განსხვავება წინა და ახლანდელ დაპირებებს შორის იმაშია, რომ თუ ადრე რუსეთი ასეთ დანაპირებს "მუქთად" იძლეოდა, ამჯერად სანაცვლოდ მატარებლის მიმოსვლაზე, ფაქტობრივად, საქართველოს პრეზიდენტის თანხმობა მიიღო.

არადა, აფხაზეთში ვითარება ჩვენთვის სულ უფრო არახელსაყრელი ხდება. ათი წლის განმავლობაში თბილისში ყველა მიიჩნევდა, რომ აფხაზეთს რუსეთისათვის თავისთავადი ღირებულება არ გააჩნია და რომ მოსკოვისათვის იგი მხოლოდ საქართველოზე ზეწოლის ბერკეტია. ეს შეხედულება, ალბათ, მართალიც იყო, რადგან რუსეთი ამ ხნის მანძილზე არც აფხაზეთის ეკონომიკის აღდგენით დაინტერესებულა და არც მისი ანექსიის მიმართულებით გადაუდგამს ნაბიჯები.

ახლა კი, მას შემდეგ, რაც ჩვენს ჩრდილოეთელ და სამხრეთელ მეზობლებში ძალზე აქტუალური გახდა სოჭი-ერევნის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის იდეა, აფხაზეთმა, როგორც ჩანს, უკვე თავისთავადი მნიშვნელობაც შეიძინა. აფხაზებს რუსული პასპორტები დაურიგდათ, მატარებელიც ამუშავდა და ახლა სატელეფონო კავშირის აღდგენის შესახებაც მიდის საუბარი.

ამ რკინიგზამ აფხაზეთზეც უნდა გაიაროს და საქართველოზეც, ამიტომ მის ამოქმედებაზე საქართველოს მთავრობის თანხმობაცაა საჭირო. როგორც მოვლენები გვიჩვენებს, ჩვენს მეზობლებს იმედი აქვთ, რომ ამ თანხმობას აფხაზეთის სტატუსთან დაკავშირებით საქართველოს წინაშე კომპრომისზე წასვლის გარეშეც მიაღწევენ. არადა, თუნდაც ორიოდე წლის წინ საქართველოს, ალბათ, ამას ვერ გაუბედავდნენ. ქვეყანაში გამეფებულმა კორუფციამ და უნიათო ხელისუფლებამ საქმე იქამდე მიიყვანა, რომ საქართველო ყველაზე "იოლად ხელწამოსაკრავი" ქვეყნების რიცხვში შევიდა.

აფხაზეთის გარდა, საქართველო რუსეთის ურთიერთობებში არსებობს კიდევ ერთი, არანაკლებ მნიშვნელოვანი საკითხი – რუსული სამხედრო ბაზები. სხვა დანარჩენი, რუსეთის "შემოგდებული" საკითხები, როგორიცაა პანკისი თუ ენერგეტიკის საკითხები (ისე, როგორც გაზსადენის გაუგებარი აფეთქება და მერე ისევ აღდგენა), ალბათ, მაინც მეორეხარისხოვანია. ამ საკითხებში მიღწეული ცვლილებები ორი ქვეყნის ურთიერთობების საერთო ფონს მაინც ვერ შეცვლის.

ამ ორ საკითხში ორიოდე წლის წინ ჯერ კიდევ შეიმჩნეოდა გარკვეული წინსვლა: ბაზებთან დაკავშირებით დაიდო სტამბოლის შეთანხმება, აფხაზეთთან დაკავშირებით კი გაჩნდა "ბოდენის დოკუმენტი". მას შემდეგ, შეიძლება ითქვას, რომ არანაირი წინსვლა არ ყოფილა - პირიქით. "ბოდენის დოკუმენტი", აფხაზებისა და რუსების წყალობით, ნელ-ნელა წარსულს ბარდება, სტამბოლის შეთანხმებას კი მოსკოვი უსირცხვილოდ არღვევს. ესეც საქართველოს საერთაშორისო ავტორიტეტის დაცემის კიდევ ერთი დასტურია.

ერთი სიტყვით, თუ საქართველოში რაიმე ფუნდამენტურად არ შეიცვალა, აფხაზეთს, ალბათ, საბოლოოდ უნდა გამოვეთხოვოთ.

# რუსეთმა შეძლო, მატარებლის მიმოსვლა და პასპორტების თემა მთავარ საკითხებად ექცია ჩვენთვის

*ინტერვიუ უშიშროების საბჭოს მდივანთან თედო ჯაფარიძესთან და უკრაინაში საქართველოს ელჩთან გრიგოლ ქათამაძესთან.*

**- როგორ შეაფასებდით დსთ-ს სამიტზე შევარდნაძისა და პუტინის შეხვედრას?**

**გრიგოლ ქათამაძე:** მე ვფიქრობ, რომ ქართული დელეგაციის ვიზიტი კიევში წარმატებული იყო. ამ ეტაპზე მეტის მიღწევა შეუძლებელი იქნებოდა. საგულისხმოა, რომ პრეზიდენტების შეხვედრა დაგეგმილზე ბევრად მეტ ხანს გაგრძელდა და მათ პრობლემების გაცილებით უფრო ფართო სპექტრი განიხილეს, ვიდრე თუნდაც კიშინიოვის სამიტის დროს. სამიტზე, საქართველოს პრეზიდენტის ინიციატივით, გადაიდო ამ ეტაპზე ყველაზე მტკივნეული საკითხების - სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენისა და პასპორტების დარიგების თემის განხილვა. ორი კვირის განმავლობაში ექსპერტებმა უნდა დაადგინონ, რა სამართლებრივ ბაზას ეფუძნება ეს ორი მოვლენა.

მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მოხდა, ეს არის პუტინის განცხადება, რომ ძირითადი სარკინიგზო მაგისტრალის აღდგენა დევნილების დაბრუნების პროცესის სინქრონულად უნდა მოხდეს.

**- მაგრამ რას მოგვიტანს რეალურად ამ სამუშაო ჯგუფის შექმნა? ასეთი ბევრი ჯგუფი შექმნილა, მაგრამ ხელშესახები შედეგები არც ერთი ჯგუფის მუშაობას არ მოუტანია. რა გარანტიები არსებობს ახლა, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ მსუბუქი რევერანსისათვის არ გაკეთდა?**

**თედო ჯაფარიძე:** ჩვენ მივაღწიეთ ოპტიმალურ შედეგებს. მეტის მიღწევა სამიტის ფორმატით შეუძლებელი იყო. ყოველ შემთხვევაში, ყველა ის პოზიცია, რომელიც უშიშროების საბჭომ დააფიქსირა, ბოლომდე დავიცავით და არც ერთ საკითხთან დაკავშირებით უკან არ დაგვიხევია.

ერთი კი ცხადია: რუსეთმა შეძლო, მატარებლის მიმოსვლა და პასპორტების თემა მთავარ, ყველაზე მტკივნეულ საკითხებად ექცია ჩვენთვის, რის გამოც ყურადღების მიღმა ძალიან ბევრი სერიოზული და კომპლექსური პრობლემა დარჩა.

ჩვენ მანდატის გაგრძელება ამ საკითხების გადაწყვეტას მივაბით, რომლებიც, დაახლოებით, ორ კვირაში უნდა მოგვარდეს. თუმცა, ეს ვადა არ არის ფიქსირებული. თუ ორი კვირის განმავლობაში ძირითადი სამუშაოების ჩატარება ვერ მოხერხდება, ეს პროცესი ისევ გაგრძელდება. მაგრამ ცხადია, რომ, სანამ ეს საკითხები არ მოგვარდება, სამშვიდობოებს მანდატს არ გავუგრძელებთ.

**- თუმცა, სამშვიდობოებისთვის მანდატის არგაგრძელება სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი კონფლიქტის ზონას დატოვებენ.**

**თედო ჯაფარიძე:** ეს ასე აღარ იქნება. ყოველ შემთხვევაში, პუტინმა განაცხადა, რომ, თუ სამშვიდობოებს მანდატი არ გაუგრძელდებათ, ისინი დატოვებენ ტერიტორიას, რადგან სხვა შემთხვევაში უკვე იურიდიული ხასიათის პრობლემები შეექმნებათ.

**გრიგოლ ქათამაძე:** როგორც დღეს რუსეთის პრეზიდენტმა აღნიშნა, მას არ აქვს უფლება, სამშვიდობოებს უმანდატოდ ერთ თვეზე მეტ ხანს გაჩერების უფლება დართოს, თუ პარლამენტმა დასტური არ მისცა სამშვიდობოების ქვეყნის გარეთ ყოფნას.

ანუ, ჩვენ საქმე უკვე სულ სხვა რეალობასთან გვაქვს.

ამიტომ, ჩვენი მიზანია, რომ ამ ორი კვირის განმავლობაში თავაუღებლად ვიმუშაოთ და რაღაც დადებით შედეგს მივაღწიოთ.

**თედო ჯაფარიძე:** აუცილებელია, ქვეყნის შიგნით უფრო მობილიზებულები ვიყოთ და ჩვენი ძალისხმევა გავაერთიანოთ. პუტინმა ახსენა ორი ელემენტის სინქრონიზება - ლტოლვილების დაბრუნება და ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედება, პირველ რიგში, სომხეთის რუსეთთან დამაკავშირებელი რკინიგზის აღდგენა. თუ დავუჯერებთ ვლადიმირ ლუკინს, მან თქვა, რომ სომხეთის ინფრასტრუქტურის 70 პროცენტი რუსეთის საკუთრებაშია და მათ ინტერესებში შედის ამ რკინიგზის აღდგენა. ასე რომ, რუსეთის მხრიდანაც არსებობს რეალური დაინტერესება, რომ ლტოლვილები დაბრუნდნენ.

**- ლტოლვილების დაბრუნება ერთ-ერთი ყველაზე საკვანძო საკითხია. თუ ეს მოხერხდა, მაშინ კონფლიქტის საბოლოო მოგვარებამდე ბევრი აღარაფერი დარჩება. იმ ფონზე, როცა რუსეთი აფხაზეთში პასპორტებს არიგებს და ამით აფხაზეთის მისაერთებლად, ფაქტობრივად, იურიდიულ ფორმალობებს აგვარებს, რატომ გადადგამს აბსოლუტურად საწინააღმდეგო ნაბიჯს?**

**თედო ჯაფარიძე:** ბუნებრივია, ჩვენ გვაქვს საქმე ძალიან სერიოზულ, თავისი ინტერესებით ანგაჟირებულ ოპონენტთან. რა თქმა უნდა, რუსეთი გაატარებს თავის ინეტრესებს, მაგრამ ჩვენ მასთან პირისპირ მარტო არა ვართ. ჩვენს გვერდით არიან გაერო, ამერიკის ადმინისტრაცია და ასე შემდეგ. თუმცა, პირველ რიგში, მთავარია, ჩვენ ვიყოთ აქტიურები, სხვა შემთხვევაში არც ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია თუ მეგობარი ქვეყანა ამ პრობლემით არ დაინტერესდება.

**გრიგოლ ქათამაძე:** რუსეთი გაცილებით დაინტერესებული იქნება იმ შემთხვევაში, თუ მთელი მაგისტრალი აღდგება. მაგალითად, როცა განიხილებოდა თავისუფალი ეკონომიკური ზონის საკითხი, სამიტზე სომხეთის პრეზიდენტმა თქვა, რომ შესაძლებელია, რუსეთში სომხეთიდან ბევრი იაფი საქონელი შევიდეს. ამაზე კი პუტინმა უპასუხა, - როგორ უნდა შემოვიდეს სომხეთიდან რუსეთში? ანუ, მოსკოვის მხრიდან უკვე სერიოზული ეკონომიკური ინტერესი არსებობს.

**- თუ რუსეთი საქართველოს მხრიდან წაყენებულ პირობებს არ შეასრულებს, და ამის ძალიან დიდი შანსია, მაშინ რა მოხდება? პრეზიდენტი თავად აცხადებს, რომ რუსი სამშვიდობოების წასვლას კონფლიქტის ზონიდან შეიძლება, გალში სისხლიანი მოვლენები მოჰყვეს. ანუ, ჩვენ, ფაქტობრივად, ჩიხში ვართ. ასეთ დროს კი, როცა რუსეთმა იცის, რომ საქართველოს ხელისუფლებას ალტერნატივა მაინც არ აქვს, რატომ უნდა შეასრულოს წაყენებული პირობები?**

**თედო ჯაფარიძე:** სხვა შემთხვევაში, არანაკლებ უფრო მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდება თავად რუსეთი. როცა აფხაზეთის საკითხი განიხილება, ყველა გავლენიან საერთაშორისო ორგანიზაციაში რუსეთი სრულ იზოლაციაშია. გარდა ამისა, მოსკოვს წამოკიდებული აქვს ჩეჩნეთის პრობლემა. დღეს, მართალია, ბუში და პუტინი ერთმანეთის ინტერესებს ითვალისწინებენ, მაგრამ სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს. ასე რომ, დღევანდელ მსოფლიოში ძალიან რთული და კომპლექსური დინამიკაა და ამ დინამიკისთვის ფეხის აწყობა რუსეთს აუცილებლად მოუწევს.

*ესაუბრა ეკა კვესიტაძე*

# სანამ აფხაზეთში რუსეთის გავლენა არ შესუსტდება, ვერ გავიგებთ, სურთ თუ არა აფხაზებს ჩვენთან დიალოგი

ვერიკო თევზაძე

*"დასავლეთი, დიდი ხანია, ოფიციალურად აცხადებს, რომ სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის სამშვიდობო მისია კრახით დასრულდა. ამ კონფლიქტებში ევროკავშირისა და შეერთებული შტატების ჩართვა აუცილებელი ხდება. საქართველოს ხელისუფლებამ შემხვედრი ნაბიჯები უნდა გადადგას. მან აქტიურად უნდა მოითხოვოს სამშვიდობოების მანდატის შეწყვეტა. დადგა დრო, საქართველომ რუსეთთან უკომპრომისო პოლიტიკა აწარმოოს. დრო ჩვენს სასარგებლოდ არ მუშაობს. არსებობს პრიორიტეტები, რომელსაც ამერიკა და ევროკავშირი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ჩვენ აქტიურად უნდა ვიმოქმედოთ, თორემ, შესაძლოა, გარკვეული პერიოდის შემდეგ დასავლეთის ინტერესმა სხვაგან გადაინაცვლოს", - ევროპული ინტეგრაციის კვლევის ცენტრის პრეზიდენტმა ვასილ ჭყოიძემ კავკასიის სახლში გამართულ სემინარზე სამხრეთ კავკასიის პრობლემებზე ისაუბრა.*



*დისკუსია „კავკასიურ სახლში".*

ჭყოიძემ ევროკავშირის და შეერთებული შტატების კონგრესის ორი-სამი წლის წინანდელი დოკუმენტები მოიტანა იმის ნიმუშად, რომ დასავლეთი, უკვე დიდი ხანია, აღიარებს რუსეთის სამშვიდობო მისიის უპერსპექტივობას. **"ეს იყო სიგნალი ქართველი პოლიტიკოსებისთვის, რომ მათ აქცენტი გაეკეთებინათ ამერიკასა და ევროკავშირზე, როგორც სამშვიდობო შუამავალზე".**

ვასილ ჭყოიძე კატეგორიულად უარყოფს მოსაზრებას, რომ ამერიკამ საქართველო ერაყზე გაცვალა. **"პირიქით, ერაყისადმი "ინტერესის" გამო, ამერიკას სჭირდება, რაც შეიძლება, მეტი მოკავშირე ჰყავდეს - თურქეთის, საქართველოს, აზერბაიჯანის, სომხეთის სახით. მას სჭირდება ბაზები, აეროპორტები, რათა, საჭიროების შემთხვევაში, სამხედრო ოპერაციები აწარმოოს."**

ჭყოიძის აზრით, ვიდრე დასავლეთს ყველაზე მეტად აძლევს ხელს საქართველოსთან ენერგორესურსების ტრანზიტის სფეროში თანამშრომლობა და ჩვენი ქვეყნისადმი კიდევ მრავალი სხვა ინტერესი ამოძრავებს, უნდა შევძლოთ ამ მომენტის გამოყენება: **"ამერიკა დღეს რეალურად არის დაინტერესებული ჩვენი ქვეყნით. იგი დარწმუნებულია, რომ, თუ აქ დამკვიდრდება, საქართველოს საზღვარს ვერ გადაკვეთს ნარკოტიკები ანდა მასობრივი განადგურების იარაღი"...**

დროის ფაქტორის გადამწყვეტ მნიშვნელობაზე საუბრისას, ვასილ ჭყოიძე ხაზგასმით აღნიშნავს, რომ აფხაზეთში საქართველოს იურისდიქციის აღდგენა არ უნდა დაგვიანდეს. თუ ამის გარეშე დაიწყო აფხაზეთში ეკონომიკური აღმავლობისთვის ხელშემწყობი პირობების შექმნა, განსაკუთრებით კი - სატრანზიტო მაგისტრალის ამოქმედება, მაშინ დასავლეთს საქართველო აღარ დასჭირდება, აფხაზეთში თბილისის ცენტრალური ხელისუფლების აღდგენა მისთვის აქტუალობას დაკარგავს.

რუსეთის სამშვიდობოების გაყვანის შემდეგ, ჭყოიძის აზრით, ყველაზე უკეთ ევროკავშირი და შეერთებული შტატები შეძლებენ სამშვიდობო მისიის განხორციელებას, ვინაიდან ამ ორ ძალას აქვს დიდი ინტერესი და საკმარისი ფინანსური და სამხედრო რესურსი პოსტკონფლიქტური ზონის რეაბილიტაციისთვის. რომელი ქვეყნის ან სამხედრო დაჯგუფების კონტინგენტს დაეკისრება მანდატის აღსრულება, ამ შემთხვევაში მეორეხარისხოვანია.

სამშვიდობოების გაყვანის პარალელურად, ვასილ ჭყოიძე განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს აფხაზებთან დიალოგის აუცილებლობაზე. მისი აზრით, საქართველოს ხელისუფლებამ გონივრული პოლიტიკა უნდა გაატაროს. **"დასავლეთმა უნდა დაინახოს, რომ ჩვენ მხოლოდ მშვიდობიანი გზით ვაპირებთ კონფლიქტის მოგვარებას. თუ რუსების გასვლის შემდეგ აფხაზეთში სისხლი დაიღვარა, რუსები გამართლდებიან და ეს, ზიანის გარდა, არაფერს მოგვიტანს."**

ვასილ ჭყოიძეს უმართებულოდ მიაჩნია მოსაზრება, რომ აფხაზები ჩვენთან დიალოგზე არ მოდიან. **"დღეს ჩვენ გველაპარაკებიან არა აფხაზები, არამედ რუსეთის მიერ აფხაზეთში დამყარებული დესპოტური რეჟიმის წარმომადგენლები. სანამ რუსეთის გავლენა აფხაზეთში მკვეთრად არ შესუსტდება, ვერ გავიგებთ, სურთ თუ არა აფხაზებს ჩვენთან დიალოგი."**

ჭყოიძის აზრით, დადგა დრო, როცა საქართველოს ხელისუფლებამ კატეგორიული უარი უნდა თქვას რუსეთთან კომპრომისზე, აქტიურად იმოქმედოს და ყველაფერი გააკეთოს იმისთვის, რათა სამშვიდობო პროცესში დასავლეთი ჩაებას. **"თუ საქართველომ დღეს არსებული შანსი ხელიდან გაუშვა, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ 10-15 წლით უკან დავიხევთ. ეს რომ არ მოხდეს, აუცილებლად უნდა გავითვალისწინოთ რამდენიმე წლის წინანდელი მარცხის მწარე გამოცდილება, რაც საქართველოს დსთ-ში გაწევრიანებით დასრულდა."**

# ხელისუფლება 26 მილიონი დოლარის გადახდას „გადაურჩა"

ნინო ნარჩემაშვილი

ამერიკის შეერთებული შტატების საარბიტრაჟო სასამართლომ ერთი კვიპროსული და ორი ამერიკული კომპანიის (ე.წ. "ჟინვალის განვითარების ჯგუფი") მიერ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ აღძრული სარჩელის განხილვა დაასრულა. განაჩენი ქართული მხარის სასარგებლოდ გამოიტანეს და მას 26 მილიონი დოლარის გადახდა აღარ მოუწევს.

სახელმწიფო ქონების მართვის თბილისის სამმართველოს უფროსმა იური მაისაშვილმა ამ საკითხთან დაკავშირებით საგანგებო პრესკონფერენცია გამართა. მისი ინფორმაციით, "ჟინვალის განვითარების ჯგუფმა" ჯერ კიდევ 1997 წელს 25-წლიანი იჯარით აიღო ჟინვალის ჰიდროკომპლექსი, რათა მისი რეაბილიტაცია და სრული სიმძლავრით ამუშავება მოეხდინა. მაშინდელმა ენერგეტიკის მინისტრმა თემურ გიორგაძემ, რატომღაც, საჭიროდ არ ჩათვალა შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმება და უცხოური კომპანიები წლების განმავლობაში, ფაქტობრივად, უკანონოდ ფლობდნენ ჰიდროკომპლექსს.

2000 წელს კი იმ მოტივით, რომ თბილისის სასმელი წყლით მომარაგების 95 პროცენტი ჟინვალზე მოდის, ჰიდროკომპლექსი დედაქალაქის მერიის დაქვემდებარებაში გადავიდა, ხოლო სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტრომ "ჟინვალის განვითარების ჯგუფს" საქართველოში მოღვაწეობა აუკრძალა. გაირკვა, რომ რეაბილიტაციისა და მოგების სანაცვლოდ ქართულმა მხარემ მხოლოდ წაგება ნახა და ამიტომ საეჭვოდ მიიჩნია მოიჯარის საქმიანობა. კვიპროსულმა და ამერიკულმა კომპანიებმა აშშ-ს საარბიტრაჟო სასამართლოში შეტანილი სარჩელით საქართველოს ხელისუფლებისაგან 26 მილიონი აშშ დოლარის გადახდა მოითხოვეს; კერძოდ, პირდაპირი ხარჯების (6 მილიონი დოლარი), სავარაუდოდ განსაზღვრული მოგების (17 მილიონი დოლარი) და მიყენებული მორალური ზარალის (4 მილიონი დოლარი) ანაზღაურება. იური მაისაშვილის განცხადებით, **"ეს გახლავთ აშშ-ს საარბიტრაჟო სასამართლოში ქართული მხარის გამარჯვებით დასრულებული პირველი პროცესი და, საქართველოს საბედნიეროდ, 26 მილიონი დოლარის გადახდა არ მოუწევს."**

რაც შეეხება ჟინვალის ჰიდროკომპლექსს, 2004 წლის 1 მაისამდე (არსებული საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე) იქ ქართული კომპანია "ჟინერი" მუშაობს.

# პერსპექტივა: კავკასიის ენერგეტიკული ინტეგრაცია

პირველი გვერდიდან

ბუნებრივია, ხელშეკრულების აღდგენით დაინტერესებულია რუსეთის მხარეც, რომლის დენიც თურქეთს საქართველოს გავლით უნდა მიეწოდოს.

ელექტროენერგიის ექსპორტის გარდა, საქართველოსა და თურქეთის ენერგეტიკის მინისტრები კავკასიის ქვეყნების ერთიანი ენერგოსისტემის შექმნის საკითხსაც განიხილავენ.

როგორც ცნობილია, მცირე ენერგოსისტემებისთვის საფრთხეს წარმოადგენს ელექტროენერგიის ძირითადი მახასიათებლების – სიხშირისა და ძაბვის ცვალებადობა. ამ პარამეტრების შენარჩუნება დიდი ენერგოსისტემებისთვის უფრო იოლია, ვიდრე პატარა მოცულობის ქსელებისთვის. ამიტომაც მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნები ერთმანეთს უკავშირებენ საკუთარ ელექტროქსელებს და ამ გზით აუმჯობესებენ ელექტროენერგიის ხარისხს, ტარიფს კი მინიმალურს ინარჩუნებენ. საქართველოს ენერგოსისტემა პირველ ეტაპზე, შესაძლოა, კავკასიის ქვეყნების ენერგოსისტემებთან გაერთიანდეს. "კავკასიონის" საშუალებით ის მიუერთდება რუსეთის გაერთიანებულ ენერგოსისტემას, "ალავერდის" ხაზით – სომხეთს. იგეგმება აზერბაიჯანისა და თურქეთის ენერგოსისტემებთან გაერთიანებაც. თურქეთთან გაერთიანების წინაპირობას სწორედ ელექტროენერგიის ექსპორტის აღდგენა წარმოადგენს.

თუმცა, არსებობს ერთი პრობლემაც: მეზობელი ქვეყნების პარალელურ რეჟიმში მუშაობა ენერგოსისტემებს შორის ელექტროენერგიის გადადინება-გადმოდინებას იწვევს. ერთმა ქვეყანამ მეორეს "გადმოქაჩული" ჭარბი რაოდენობის იაფი ჰიდრო- ან ატომური ელექტროენერგია ძვირი თბოენერგიით უნდა დაუბალანსოს და პირიქით. ამისთვის ელექტროენერგიის ერთიანი საბითუმო ბაზარიც უნდა შეიქმნას. ენერგოსისტემებს შორის ანგარიშსწორების მექანიზმები კი ჯერჯერობით დაუმუშავებელია.


დავით მირცხულავა დღეს თურქ კოლეგას შეხვდება.

# ნავთობსადენთან რუსული სამხედრო ბაზები არ უნდა იყოს

სოფო კვინტრაძე

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის თაობაზე გამართულ სამეცნიერო კონფერენციაზე გუშინ მოწვეული გახლდათ პოლიტოლოგი რამაზ საყვარელიძე, რომელმაც ამ პროექტის პოლიტიკურ მნიშვნელობაზე ისაუბრა. საყვარელიძემ მილსადენების მშენებლობა გლობალურ პოლიტიკურ კონტექსტში განიხილა. მისი განცხადებით, ამერიკის შეერთებული შტატები დაინტერესებულია ევრაზიის კონტინენტზე ეკონომიკური ბერკეტების ხელში აღებით, რათა პოლიტიკური სიტუაცია გააკონტროლოს და გავლენის სფერო გაიფართოოს. ამიტომაც მილსადენების პროექტს გაცილებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება პოლიტიკური თვალსაზრისით, ვიდრე ეკონომიკურით. რამაზ საყვარელიძის თქმით, საქართველოს შანსი ეძლევა რუსეთის გავლენისაგან გათავისუფლდეს, რადგან პოლიტოლოგი დარწმუნებულია, რომ პროექტის წარმატებით განხორციელებაზე დიდად იქნება დამოკიდებული აფხაზეთის დაბრუნება და საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების საბოლოოდ გაყვანა. **"იქ, სადაც დიდი კაპიტალდაბანდებებია, კონფლიქტები და რუსული სამხედრო ბაზები არ უნდა იყოს,"** – აცხადებს რამაზ საყვარელიძე. იგი მიიჩნევს, რომ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციას 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნებამდე სურს ერაყის პრობლემის მოგვარება და ამ ნავთობსადენის მშენებლობის დასრულება. **"ორ წელიწადში პროექტის მშენებლობა უნდა დამთავრდეს და ვინაიდან ნავთობსადენის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩრდილო-ატლანტიკური ალიანსის ჩართვაც გახდება საჭირო, ამიტომ საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პროცესიც დადებითად უნდა გადაწყდეს,"** – ამგვარ ოპტიმისტურ პროგნოზებს აკეთებს რამაზ საყვარელიძე.

კონფერენციის მონაწილე საზოგადოებას კი ერთადერთ კითხვაზე სურდა პასუხი პოლიტოლოგისაგან: რატომ არ შეიძლება, რომ ნავთობსადენმა ახალქალაქში გაიაროს? კონფერენციის მონაწილე მეცნიერები ეწინააღმდეგებიან მილსადენის ბორჯომის ხეობაში გავლას. მათ უკვე წარმოადგინეს ეკოლოგიური საფრთხის არსებობის დასაბუთებული ანალიზი. მათ ბორჯომის მარშრუტის ალტერნატივად დაასახელეს ახალქალაქის მარშრუტი. როგორც კონფერენციის ერთ-ერთ ორგანიზატორს ირაკლი კაკაბაძეს მიაჩნია, საქართველო გადაჭრის სამცხე-ჯავახეთის სოციალურ-ეკონომიკური იზოლაციის პრობლემას, თუ მილსადენი ახალქალაქზე გაივლის. როგორც რამაზ საყვარელიძე აცხადებს, ახალქალაქის მარშრუტი, გასაგები მიზეზების გამო, მიუღებელი იყო აზერბაიჯანისთვის. **"ბაქოს ნავთობსადენი კი უნდა, მაგრამ სომხები არ უნდა,"** – განაცხადა მან.

საქართველოს მთავრობის მრჩეველი მილსადენების საკითხებში მაიკლ კაუგელი კი აცხადებს, რომ ახალქალაქის მარშრუტის უარყოფა იმ საშიშროების გამო მოხდა, რასაც იქ არსებული რუსული სამხედრო ბაზები ქმნიან. მაიკლ კაუგელი ირწმუნება, რომ ბორჯომის მარშრუტი ყველაზე ხელსაყრელია ტექნიკური და ეკონომიკური თვალსაზრისით. **"რაც შეეხება ბორჯომის 17 კილომეტრიან მონაკვეთს, გარწმუნებთ, რომ იქ უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები იქნება მიღებული,"** – განაცხადა მაიკლ კაუგელმა.

# „სანი" - ქართული ხარისხის „სახალხო" ნიშანი

გვანცა კვინიკაძე

"საქართველოს გადამხდელთა კავშირმა," რამდენიმე ორგანიზაციასთან ერთად, გუშინ ფონდი "ქართული ხარისხი" დააფუძნა. ფონდის მიზანს წარმოადგენს: მომხმარებელთა უფლებების დაცვა, პროდუქციისა თუ მომსახურების ტესტირება და ყოველწლიურად მათ შორის საუკეთესოთა გამოვლენა, ბიზნესმენთა წახალისების ახალი ფორმების დანერგვა. ფონდი 2002 წლის საუკეთესო ბრენდსა (პროდუქტი) და მომსახურებას გამოავლენს, შარშან დაარსებული კონკურსის - "სახალხო ნიშნის" ფარგლებში.

ფონდის დამფუძნებლები არიან: გადამხდელთა კავშირი, მარკეტინგული კვლევის ინსტიტუტი (IPM), არასამთავრობო ორგანიზაცია "კავკასიის რეგიონული ინიციატივა", საქართველოს მომხმარებელთა უფლებების დაცვის კავშირი, ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაცია და გრიგოლ კუნჭულია. ფონდი "ქართული ხარისხის" დაფუძნება იმ საერთო კამპანიის ნაწილად მიიჩნევა, რომლის მიზანსაც ერთი მხრივ, მომხმარებლის ინფორმირება და მისი აზრის გათვალისწინება, მეორე მხრივ - კეთილსინდისიერი ბიზნესის წახალისების დამატებითი ე.წ. სახალხო მექანიზმების შექმნა წარმოადგენს. ფონდი "ქართული ხარისხის" პრეზიდენტის გრიგოლ კუნჭულიას განცხადებით, სამომხმარებლო ბაზარზე პროდუქციის მოზღვავების პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მომხმარებლისთვის კომპეტენტური აზრის მიწოდება იმის თაობაზე, თუ რომელი პროდუქტი იმსახურებს მართლაც "ხარისხიანის" შეფასებას.

ამის დადგენა სოციოლოგიური კვლევების საფუძველზე მოხდება, რომელთაც "სახალხო ნიშნის" კონკურსის ფარგლებში IPM განახორციელებს. პირველი კონკურსის შედეგები მარტში გახდება ცნობილი. IPM-ის გენერალური დირექტორის გოჩა ცქიტიშვილის ინფორმაციით, რამდენიმე კატეგორიაში (კვების პროდუქტები, საყოფაცხოვრებო ქიმია, პარფიუმერია, ალკოჰოლური და უალკოჰოლო სასმელები, სუპერმარკეტები და მცირე ბიზნესი), საუკეთესო პროდუქტისა და მომსახურების გამოსავლენად, საქართველოს მასშტაბით ჩატარდა ხუთი ათასი რესპოდენტის აზრის სოციოლოგიური კვლევა. გამარჯვებულები მარტში დასახელდებიან და მათ ქართული "სახალხო ნიშანი" – "სანი" გადაეცემათ, რაც კონკრეტული ბრენდის (ან მომსახურების) პოპულარობის სახალხო აღიარების დადასტურება იქნება.

"გადამხდელთა კავშირის" თანათავმჯდომარე და კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე ვანო ჩხარტიშვილი მიიჩნევს, რომ კამპანიის ამოცანაა "ქართული ხარისხის" ცნების "მაღალი ხარისხის" სინონიმად ქცევა, რაც არალეგალური და უხარისხო პროდუქციით გაჯერებული საქართველოს ბაზრისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

# საკრებულო სარეზერვო თანხებს მერს არ ანდობს

მაია ურუშაძე

მთავარი საკითხი, რამაც გუშინ საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის უკმაყოფილება გამოიწვია, მერის მიერ ქალაქის კუთვნილი სარეზერვო თანხების ერთპიროვნული ხარჯვა იყო. **"ქალაქის მერმა თბილისის სარეზერვო ფონდიდან თანხების განკარგვა საკრებულოს უნდა შეუთანხმოს,"** – მიიჩნევს კომისიის თავმჯდომარე კობა ბექაური და მერისთვის ამ უფლების ჩამორთმევას აპირებს. როგორც ჩანს, უახლოესი მომავლიდან იმ სარეზერვო თანხებს, რომლითაც მერიას არჩევნების დროს მანიპულირება შეუძლია, საკრებულო ქალაქის მერს აღარ ანდობს.

კომისიას მიაჩნია, რომ ქალაქის ბიუჯეტის დაგეგმვა და თბილისის კუთვნილი თანხების განკარგვა დღემდე არასწორად ხდებოდა. ამის გამო, არასამთავრობო ორგანიზაციამ - "რეგიონული განვითარების სააგენტომ" - საკრებულოში წარადგინა პროექტი, თუ როგორ უნდა დაიგეგმოს მომავალში ქალაქის ბიუჯეტი. საკრებულოს წევრი, "დემოკრატი" გიორგი გოდაბრელიძე მიიჩნევს, რომ საკრებულოს მიერ ამ პროექტის დამტკიცებაზე საუბარი ჯერ ნაადრევია. **"ჯერ ჩვენ კარგად არ ვიცნობთ ამ პროექტს. თუ ის დასახვეწი იქნება – დავხვეწთ და ჩვენს მოსაზრებებსაც შევიტანთ,"** – აცხადებს გოდაბრელიძე.

კობა ბექაური მიიჩნევს, რომ თბილისში უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვა კორუფციულად, საბაზრო ფასის ხელოვნური დაგდებით ხდება, საიდანაც ნოტარიუსებიც და გარიგების მონაწილენიც უკანონოდ ხეირობენ. **"კანონით, ყველა შემდგარი გარიგებიდან ქალაქის ბიუჯეტში 2 პროცენტი შედის. ჩვენ გვაქვს წინადადება, შეიქმნას სააგენტო, რომელიც ქონების საბაზისო ფასს დაადგენს და მისი ნებართვის გარეშე, უძრავი ქონება არ გაიყიდება. შედეგად, 100 ათას ლარად გაყიდული ბინა 10 ათასად არ გაფორმდება, ქალაქის ბიუჯეტში კი, შარშანდელი 2,5 მილიონი ლარის ნაცვლად, 10-12 მილიონი ლარი შემოვა,"** – აცხადებს ბექაური.

## მოკლედ

**თბილისი.** 30 იანვრიდან იმერეთისა და ქართლის ენერგოობიექტების თანამშრომლები უვადო საპროტესტო აქციას იწყებენ — შეწყვეტენ ობიექტების მომსახურებას და იხსნიან პასუხისმგებლობას შესაძლო ავარიებსა და დაზიანებებზე, ხოლო დაზიანებების შემთხვევაში უარს იტყვიან მის შეკეთებაზე. სამუშაო ადგილებზე გაიფიცებიან: სს "ელგადაცემის ზესტაფონის საქსელო საწარმოს" (პატარა ზესტაფონი), თერჯოლის საქსელო საწარმოს, მაღალი ძაბვის დასავლეთის საქსელო საწარმოს („კოხრა"), ხაშურის 220-კილოვოლტიანი და სურამის 110 კილოვოლტიანი ქვესადგურების თანამშრომლები. მათი მოთხოვნებია, შესრულდეს გასული წლის ბოლოს სათბობ-ენერგეტიკის მინისტრის დავით მირცხულავასა და მშრომელთა პროფკავშირების - „სოლიდარობას" - დელეგატებს შორის ხელმოწერილი შეთანხმების ოქმი, რომელიც სახელფასო დავალიანების ეტაპობრივად დაფარვას გულისხმობს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისში სამუშაო ვიზიტით იმყოფება საერთაშორისო ენერგოკომპანია „იტერას" სათბობ-ენერგეტიკის დეპარტამენტის დირექტორის მოადგილე ანდრეი პარშუტინი და კომპანიის იურისტი. საქართველოში „იტერას" წარმომადგენლობის ინფორმაციით, პარშუტინის ვიზიტის მიზანია, „იტერასა" და საქართველოს მთავრობას შორის სააქციო საზოგადოება „აზოტის" შესყიდვასთან დაკავშირებული ხელშეკრულების საკითხზე მუშაობა. სამუშაო შეხვედრები იმართება ქონების მართვის სამინისტროში. პარშუტინი უკვე შეხვდა სათბობ-ენერგეტიკის მინისტრს დავით მირცხულავას. სახელმწიფო მინისტრის ავთანდილ ჯორბენაძის დავალებით ხელშეკრულების პროექტი მზად უნდა იყოს 10 დღის ვადაში. პარშუტინი თბილისიდან ორ დღეში გაემგზავრება. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** ამჟამად ოჩამჩირე — ტყვარჩელის სარკინიგზო მონაკვეთი ლიანდაგის უვარგისობის გამო არ მოქმედებს. ამ სარკინიგზო მაგისტრალის სარემონტო სამუშაოების დაფინანსება განიზრახა თურქულმა ფირმამ "კარაელმას"-მა, რომელიც ქალაქ ტყვარჩელში ქვანახშირს მოიპოვებს. გარდა ამისა, ამავე ფირმის დაფინანსებით დაგეგმილია ტყვარჩელიდან ქვანახშირის მაღაროებამდე არსებული სარკინიგზო მონაკვეთის აღდგენა, ვინაიდან, ფირმის მესვეურთა განცხადებით, სატვირთო მანქანებით ქვანახშირის ტრანსპორტირება მათ ძვირი უჯდებათ. **.მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**კიევი.** კიევში უკრაინის პრეზიდენტთან ლეონიდ კუჩმასთან შეხვედრისას საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ განაცხადა, რომ სუუამ-ის წევრი ქვეყნების მთავარი ამოცანაა ამ სტრუქტურის ერთობლივ პროექტებში რაც შეიძლება მეტი დასავლელი ინვესტორის მოზიდვა. თავის მხრივ კუჩმა მიესალმა საქართველოს პარლამენტის მიერ შეთანხმების რატიფიკაციას, რომელიც ეხება სუუამ-ის ფარგლებში თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნას. სუუამ-ში გაერთიანებული არიან - საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და მოლდოვა. **კავკას-პრესი.**

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2003 24 - 24 იანვრის მდგომარეობით




მსოფლიოს წამყვანი ვალუტების კროსკურსები

| | UK£ | US$ | Euro | ¥en |
|---|---|---|---|---|
| UK£ | | 0.6071 | 0.6596 | 0.0051 |
| US$ | 1.6471 | | 1.0864 | 0.0085 |
| Euro | 1.5161 | 0.9205 | | 0.0078 |
| ¥en | 194.55 | 118.13 | 128.29 | |

**შესყიდვების სპეციალისტი**

კომპანია "ბი-პი"-ს მილსადენის ექსპლოატაციის და მშენებლობის პროექტების მიზნებისათვის და "ბი-პი"-ს უშუალო ხელმძღვანელობით, შპს "IRA" კონკურსზე იწვევს სათანადოდ კვალიფიცირებულ პირებს შესყიდვების სპეციალისტის თანამდებობის დასაკავებლად. შესყიდვების სპეციალისტი წარმოადგენს საქართველოში "ბი-პი"-ს მილსადენების პროექტების კონტრაქტორ მესამე მხარეს, რომელიც იმუშავებს "ბი-პი"-ს ხელმძღვანელობის ქვეშ.

**სამუშაოს აღწერა:**

შესყიდვების სპეციალისტის პასუხისმგებლობის სფეროში შედის საქონლისა და მასალების შესყიდვის კონტრაქტების გაფორმება, ხოლო ძირითად მოვალეობას შეადგენს შესყიდვების ზოგადი ადმინისტრირება. შესყიდვების სპეციალისტს მოეთხოვება უზრუნველყოს, რომ კომპანია "ბიტ-პი"-ს სახელით განხორციელებული შესყიდვები შესრულდეს ეთიკური ნორმების სრული დაცვით, ჯანსაღი ბიზნეს-პრაქტიკის გამოყენებით, ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, საიმედოობის, უსაფრთხოების ტექნიკისა და გარემოს დაცვის, აგრეთვე შესაბამისი წესებისა და ნორმების მოთხოვნების შესრულების პირობებში, რომელიც ჩამოყალიბებულია "ბი-პი"-ს ბროშურაში - "ჩვენი პრინციპები" ("What We Stand For").

**მოვალეობები და პასუხისმგებლობები:**

შესყიდვებთან დაკავშირებული კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:
მოთხოვნების დამუშავება მარაგების რეგულარული, არასასწრაფო შესყიდვის თაობაზე. კონკრეტულ ფუნქციებში შედის:
საერთაშორისო და ადგილობრივი მომწოდებლების მოძებნა, სატენდერო სიის შედგენა (საჭიროების შემთხვევაში) და ფასიანი წინადადებების მოთხოვნის გამოქვეყნება;
ფასიანი წინადადებების მიღება და შეფასება, კონტრაქტის გაფორმების რეკომენდაციის გაცემა;
ძირითადი "მიწოდების შეკვეთების" მომზადება;
შეკვეთის გაფორმების შემდგომი მენეჯმენტი, მათ შორის, ტექნიკური და კომერციული საკითხების გადაწყვეტის ოპერატიული კოორდინირება;
"მიწოდების შეკვეთების" და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.
კონტრაქტების გაფორმების ნაწილში კონკრეტული მოვალეობები მოიცავს შემდეგს:
"მომსახურების შეკვეთის" მომზადება რეგულარულ, არასასწრაფო მომსახურებაზე;
ჩარჩო-ხელშეკრულებების მომზადება;
სხვა ძირითადი კონტრაქტების მომზადება;
კონტრაქტის გაფორმების შემდგომი ადმინისტრირება;
კონტრაქტების და მასთან დაკავშირებული სხვა დოკუმენტების სათანადო აღრიცხვიანობის წარმოება.
პასუხისმგებლობათა სფეროში შედის ისეთი საკითხების უზრუნველყოფა, როგორიცაა:
დამკვეთის მოთხოვნების და გრაფიკების დაცვა;
პროფესიული და ეთიკური ბიზნეს-პრაქტიკის წესების მუდმივად დაცვა;
დამოწმების და შესაბამისი სახელმძღვანელოებით დაწესებული კონტროლის სხვა მექანიზმების შესრულება;
ხარისხის, საერთო ღირებულების, მოწოდების პირობების, საიმედოობის, უსაფრთხოების ტექნიკის და საქართველოს სხვა შესაბამისი კანონმდებლობის და ნორმატივების სათანადოდ დაცვა, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში;
შემკვეთის ინიციატორის ინფორმირება შეკვეთასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ;
საჭიროების შემთხვევაში, უფრო გამოცდილი კოლეგებისაგან კონსულტაციის მიღება.

**გამოცდილება და განათლება:**

კანდიდატს უნდა გააჩნდეს უმაღლესი განათლების დიპლომი. აუცილებელია კონტრაქტების და შესყიდვების სპეციალობით მუშაობის მინიმუმ 2 წლის სტაჟი. უაღრესად სასურველია ინგლისურად ზეპირმეტყველების და გამართული წერითი მეტყველების უნარი. სასურველია რუსული ენის თავისუფლად ფლობის უნარი. ადამიანებზე ზემოქმედების დადებითი უნარის ფლობა აუცილებელია. უპირატესობა ენიჭება დასავლურ ორგანიზაციაში მუშაობის გამოცდილებას. კანდიდატს მოეთხოვება დატვირთული სამუშაოსთვის თავის გართმევის უნარი - სამუშაოს ხარისხის, სიზუსტის და დროის ჩარჩოების დაცვის პირობებში.
აუცილებელია კომპიუტერული პროგრამების - Microsoft Word და Excel - სრულყოფილი ფლობა და კომპიუტერთან მუშაობის ჩირითადი უნარ-ჩვევები.
კანდიდატისთვის საჭირო ტექნიკური უნარ-ჩვევები, ზოგადად, მდგომარეობს შემდეგში:
შესყიდვების ძირითადი წესების გამართული ცოდნა სამუშაო დონეზე;
ამ ცოდნის გამოყენებით, რეგულარულ შეკვეთებთან დაკავშირებული შესყიდვების დოკუმენტების მომზადება და გამოცემა;
შეკვეთების დოკუმენტების ეფექტური განკარგვა და შეკვეთის შემდგომი ოპერაციების შესრულება, მინიმალური ზედამხედველობის პირობებში.

**განაცხადის შემოტანის წესი / დამატებითი ინფორმაცია**

თუ თვლით, რომ გაგაჩნიათ საჭირო კვალიფიკაცია და გამოცდილება ზემოთ აღწერილი თანამდებობის დასაკავებლად, გთხოვთ მოგვაწოდოთ თქვენი Curriculum Vitae ქვემოთ მითითებულ მისამართზე და შეავსოთ შესაბამისი განაცხადის ფორმა, რომელსაც იქვე მიიღებთ. განაცხადების მიღების საბოლოო ვადა 2003 წლის 12 თებერვალი, ოთხშაბათი, 18 საათი.
კანდიდატი უნდა იყოს საქართველოს მოქალაქე.
ყველა მიღებული განაცხადი განიხილება, რაც არ გულისხმობს იმას, რომ ყველა კანდიდატი გაივლის გასაუბრებას და მიიღებს სამუშაოს შემოთავაზებას.

**კადრების განყოფილება**
**"ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის კომპანია"**
**"ბი-პი საქართველო"**
**საქართველო, თბილისი, საბურთალოს ქუჩა N38**

# ჯორჯ ბუში: მე დავიცავ ამერიკელების უსაფრთხოებასა და თავისუფლებას

ლევან ღირსიაშვილი

*ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ძალების ერაყში შეჭრა უკვე გადაწყვეტილია. ასეთი დასკვნა შეიძლება გაკეთდეს კონგრესის წინაშე პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის გამოსვლიდან. ტრადიციულ მოხსენებაში, რომლითაც პრეზიდენტი ქვეყნის საკანონმდებლო ორგანოს წინაშე ყოველწლიურად გამოდის, ძირითად თემებს ერაყთან ომი და ამერიკის ეკონომიკის გაჯანსაღება წარმოადგენდა. პრეზიდენტის გამოსვლის პირდაპირი ტრანსლაცია მთელ მსოფლიოში მიმდინარეობდა. ჯორჯ ბუშმა ყველას განუმარტა, რომ აშშ მზად არის, საკუთარი ძალებით დაიწყოს ერაყის განიარაღების პროცესი. თუმცა, თანამოქალაქეების გულის მოგებას და მოსახლეობაში რეიტინგის ამაღლებას პრეზიდენტი ბუში ეკონომიკაზე საუბრის დაწყებით შეეცადა.*



*პრეზიდენტი ჯორჯ ბუში კონგრესში გამოსვლისას.*

## ეკონომიკა

ჯორჯ ბუში, რომლის პრეზიდენტობის დროსაც ქვეყანა ეკონომიკური სიძნელეების პირისპირ აღმოჩნდა, იძულებული იყო, თავის გამოსვლაში პასუხი გაეცა დემოკრატთა კრიტიკულ კითხვებზე და აეხსნა, თუ რატომ არ უთმობს მისი ადმინისტრაცია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას უფრო მეტ ყურადღებას. პრეზიდენტმა მძიმე ეკონომიკური ვითარების უმთავრეს მიზეზებად კორპორატიული სკანდალები და ტერორისტული დარტყმები დაასახელა. მისი თქმით, სახელმწიფო, მართალია, ნელი ტემპებით, მაგრამ რეცესიიდან მაინც გამოდის. პრეზიდენტმა ბუშმა მოქალაქეებს ეკონომიკური სიძნელეების გადალახვის რეცეპტიც შესთავაზა, რომელიც გადასახადების დაწევასა და წვრილი კომპანიების რიცხვის გაზრდაში მდგომარეობს. **"ჩვენ უნდა შევქმნათ ეკონომიკა, რომელიც ყველას მისცემს მუშაობის შესაძლებლობას, ვისაც ეს სურს,"** - განაცხადა ბუშმა. ხოლო ბიუჯეტში არსებული დეფიციტისა და სამთავრობო ხარჯების შემცირების დაპირებას კონგრესმენები მხურვალე ტაშით შეეგებნენ.

## შიდსი, აბორტები და კლონირება

პრეზიდენტ ბუშის გამოსვლის რიგით მეორე საკითხს შიდსთან, აბორტებთან და კლონირებასთან ბრძოლა წარმოადგენდა. აფრიკის ქვეყნებსა და კარიბის აუზში შიდსის წინააღმდეგ ბრძოლისათვის პრეზიდენტმა კონგრესს უახლოეს მომავალში 15 მილიარდი ამერიკული დოლარის გამოყოფა სთხოვა. გარდა ამისა, მან კანონმდებლებს ადამიანის კლონირების ამკრძალავი კანონის მიღებისკენაც მოუწოდა. მისი აზრით, ადამიანის კლონირება, ეთიკური თვალსაზრისით, გაუმართლებელი და დაუშვებელია. ამავე მოსაზრებით, პრეზიდენტმა აბორტების აკრძალვაც მოითხოვა, რაც, დამკვირვებელთა აზრით, ამომრჩეველთა მემარჯვენე ფრთისადმი ერთგვარ რევერანსადაც შეიძლება ჩაითვალოს. ამ თემების მიმოხილვის შემდეგ, პრეზიდენტი საგარეოპოლიტიკურ და უსაფრთხოების საკითხებსაც გადაწვდა.

## საერთაშორისო ტერორიზმი

**"მთელი მსოფლიოს მასშტაბით ტერორისტულ საქმიანობაში 3000-ზე მეტი ეჭვმიტანილია დაპატიმრებული. ისინი საფრთხეს ველარ შეუქმნიან ვერც აშშ-ს და ვერც ჩვენს მოკავშირეებს,"** - განაცხადა ჯორჯ ბუშმა. მისი თქმით, ტერორიზმთან ბრძოლა კვლავ მიმდინარეობს, რომელშიც აშშ იმარჯვებს. პრეზიდენტს ამ თემაზე საუბრისას არც აშშ-ს სპეცსამსახურების როლის შეფასება დავიწყებია. ამერიკის სპეცსამსახურებმა შეძლეს რიგ ქვეყნებში აშშ-ს საელჩოების, სამხედრო ბაზებისა და ხომალდების წინააღმდეგ დაგეგმილი ტერაქტების აღკვეთა, "ალ-ქაიდას" უჯრედების განადგურება ჰამბურგში, მილანში, მადრიდში, ლონდონში, ბუფალოსა და ნიუ-იორკში, - განაცხადა ჯორჯ ბუშმა. **"ტერორისტებმა გაიგეს, თუ რას ნიშნავს ამერიკული მართლმსაჯულება,"** - დასძინა მან. ამასთანავე, ბუშმა ეროვნული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ მნიშვნელოვან მუქარად ბიოლოგიური ტერორიზმი დაასახელა და მასთან საბრძოლველად ეროვნული პროგრამის შექმნის ინიციატივით გამოვიდა.

## ტერორიზმის ღერძი

პრეზიდენტ ბუშის განცხადებით, აშშ-სა და მსოფლიოსთვის მთავარ საფრთხედ კვლავ რჩება დიქტატორული რეჟიმები, რომლებიც მასობრივი განადგურების იარაღს ფლობენ. ამ სახელმწიფოთა რიცხვში ბუშმა კვლავ "ბოროტების ღერძში" შემავალი ქვეყნები – ირანი, ერაყი და ჩრდილოეთ კორეა დაასახელა. მან ცალსახად განაცხადა, რომ ის მზად არის, ამ ბოროტების წინააღმდეგ მარტომ იმოქმედოს და არ დაელოდოს სხვა ქვეყნებს. **"ჩვენ მოვუწოდებთ ყველა თავისუფალ ქვეყანას, შემოგვიერთდნენ, მაგრამ ჩვენი სახელმწიფოს ქმედებას სხვა სახელმწიფოთა ქმედება ვერ განსაზღვრავს. მე დავიცავ ამერიკელების უსაფრთხოებასა და თავისუფლებას, ამისათვის როგორი გადაწყვეტილების მიღებაც არ უნდა დაგვჭირდეს,"** - განაცხადა ბუშმა და "ბოროტების ღერძის" ქვეყნების მიმართ აშშ-ს პოლიტიკის განხილვას შეუდგა.

## ირანი და ჩრდილოეთ კორეა

პრეზიდენტის განცხადებით, ირანის ხელისუფლება კვლავ აგრძელებს ტერორიზმის მხარდაჭერას, მასობრივი განადგურების იარაღის დამუშავებასა და საკუთარი ხალხის ჩაგვრას. რაც შეეხება ჩრდილოეთ კორეას, ბუშის შეფასებით, ფხენიანი მთელი მსოფლიოს შანტაჟს ეწევა. ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებამ მსოფლიოს მიმართ პატივისცემა უნდა გამოამჟღავნოს და მასობრივი განადგურების იარაღის შექმნაზე ხელი აიღოს.

## ერაყი

პრეზიდენტმა ბუშმა თავისი გამოსვლის დიდი ნაწილი ერაყის ირგვლივ შექმნილ კრიზისს დაუთმო. მან კიდევ ერთხელ გაიმეორა აშშ-ს მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც ერაყმა გაერო-ს მასობრივი განადგურების იარაღი უნდა წარუდგინოს და შემდეგ ეს არსენალი გაანადგუროს. ბუშმა ჩამოთვალა ის ქიმიური მასალები და ტექნოლოგიები, რომლებსაც, ვაშინგტონის მტკიცებით, ერაყის ხელისუფლება ფლობს. ამ სიაშია მომწამლავი აირი - სარინი, ციმბირის წყლულის ბაქტერიები, ბირთვული იარაღის კომპონენტები, აფრიკაში შეძენილი გამდიდრებული ურანი, ალუმინის მილები, რომელსაც, პრეზიდენტის აზრით, ერაყი რაკეტების დასამზადებლად იყენებს. მან, ამასთანავე, სადამ ჰუსეინის განიარაღების მიზნით, საერთაშორისო თანამეგობრობას კოალიციის შექმნისაკენ მოუწოდა, თუკი ერაყის პრეზიდენტი საკუთარი ნებით განიარაღებაზე უარს განაცხადებს. **"თითქმის სამი თვის წინ გაერო-ს უშიშროების საბჭომ სადამს განიარაღებისათვის ბოლო შანსი მისცა. იმის მაგივრად, რომ მას ეს შანსი გამოეყენებინა, გაერო-სა და მთელი საერთაშორისო თანამეგობრობის აზრის უგულებელყოფის დემონსტრირება მოახდინა,"** - დასძინა პრეზიდენტმა. ბუშის აზრით, ჰუსეინი გაერო-ს ინსპექტორებს კატა-თაგვობანას ეთამაშება.

ბუში შიშობს, რომ ჰუსეინს შეუძლია, მასობრივი განადგურების იარაღი საიდუმლოდ გადასცეს საერთაშორისო ტერორისტულ ორგანიზაციებს ან დაეხმაროს მათ ამ იარაღის შექმნაში. პრეზიდენტმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუკი ვაშინგტონი იძულებული გახდება, გადავიდეს აქტიურ მოქმედებაზე, ამერიკელები მთელი ძალით იბრძოლებენ. ავღანეთის მსგავსად, ერაყში აშშ-ს სამიზნე იქნება მმართველი რეჟიმი და არა მშვიდობიანი მოსახლეობა. ბუშმა თავისი გამოსვლის დასასრულს პირდაპირ ერაყელებს მიმართა: **"ერაყელებო, მტერი თქვენი ქვეყნის გარეთ კი არა, თქვენს ქვეყანაშია. სადამ ჰუსეინის ჩამოგდების დღე თქვენი გათავისუფლების დღედ იქცევა."** პრეზიდენტმა თავისი გამოსვლა ამერიკელი სამხედროებისადმი მიმართვით დაასრულა და მათ სიმტკიცისკენ და ამერიკისადმი რწმენისკენ მოუწოდა.

ექსპერტებისა და მიმომხილველების შეფასებით, აშშ-ს პრეზიდენტმა თავისი გამოსვლით ნათელი გახადა, რომ ერაყში სამხედრო კამპანიის დაწყების საკითხი ვაშინგტონს უკვე გადაწყვეტილი აქვს. ახლა ომის დაწყების თარიღია გასარკვევი. არ გამორიცხავენ, რომ ომი, შესაძლოა, გამოუცხადებლადაც დაიწყოს.

# ფხენიანი ბუშის ადმინისტრაციას არ ენდობა



*სამხრეთ კორეის ელჩი განაწყენებულია*

"ჩრდილოეთ კორეის ლიდერი კიმ ჩენ ირი, რომელსაც პრეზიდენტი ბუში მსოფლიოს ბირთვულ შანტაჟში ადანაშაულებს, სეულის მიერ წარმოდგენილ იმ გეგმას დაეთანხმა, რომელიც კრიზისის განმუხტვას ისახავს მიზნად," - განაცხადა სამხრეთ კორეელმა ელჩმა ოთხშაბათს.

სამხრეთ კორეის ელჩი ლიმ ტუნ ვანი სამი დღე იმყოფებოდა ჩრდილოეთ კორეაში; თუმცა, კიმ ჩენ ირი მას პირადად არ შეხვდა. ელჩმა მისთვის მხოლოდ სამხრეთ კორეის პრეზიდენტის წერილის გადაცემა მოახერხა.

სამხრეთ კორეის ხელმძღვანელები იმედოვნებდნენ, რომ ლიმის ვიზიტი საშუალებას მისცემდა მათ სამთვიანი კრიზისისათვის წერტილი დაესვათ, მაგრამ კიმი დემონსტრაციულად არ შეხვდა სეულის წარგზავნილს და განაცხადა, რომ ბირთვული პროგრამების თაობაზე მხოლოდ შეერთებულ შტატებს დაელაპარაკება.

"ჩრდილოეთ კორეამ გაგვიმეორა ის, რასაც მთელ მსოფლიოს ეუბნება: მას არც ბირთვული იარაღი აქვს და არც არანაირი სურვილი, იგი განავითაროს. მათი თქმით, თუ შეერთებულ შტატებს სურს ინსპექტირების ჩატარება, ისინი ამაზე თანახმა არიან", - განაცხადა ლიმმა.

თუმცა, ლიმმა საჯაროდ გამოხატა თავისი უკმაყოფილება კიმ ჩენ ირთან ჩაშლილი ვიზიტის გამო.

კორეის ნახევარკუნძულზე ბირთვული კრიზისი გასული წლის ოქტომბერში დაიწყო, როდესაც ფხენიანმა აღიარა, რომ ბირთვული პროგრამები განაახლა, რომლის შეჩერებაზე 1994 წელს დათანხმდა.

გუშინ პრეზიდენტმა ბუშმა, რომელმაც ჩრდილოეთ კორეა, ირანთან და ერაყთან ერთად, "ბოროტების ღერძის" სახელმწიფოთა შორის მოიხსენია, თავის ყოველწლიურ მიმართვაში ჩრდილოეთ კორეა თვალთმაქცობასა და შანტაჟში დაადანაშაულა, მაგრამ დასძინა, რომ ვაშინგტონი და მისი მოკავშირეები ერთად იმუშავებენ კრიზისის მშვიდობიანი გზით მოგვარებისთვის.

"1990-იანი წლების განმავლობაში შეერთებული შტატები ჩრდილოეთ კორეის ბირთვული პროგრამების აღსაკვეთად ხელშეკრულებას იყენებდა. ახლა ჩვენ ვიცით, რომ ეს რეჟიმი მსოფლიოს ატყუებდა და დიდი ხნის განმავლობაში ავითარებდა ბირთვულ იარაღს", - განაცხადა ბუშმა.

"დღეს ჩრდილოეთ კორეის რეჟიმი ბირთვულ პროგრამას იყენებს დასაშინებლად და ამ გზით ცდილობს, დათმობაზე წაგვიყვანოს. ამერიკა და დანარჩენი მსოფლიო ამ შანტაჟს არ აჰყვება", - განაცხადა მან.

"გვინდა, დავანახოთ ჩრდილოეთ კორეის ხელისუფლებას, რომ ბირთვული იარაღი მათ მხოლოდ იზოლაციას, ეკონომიკურ სტაგნაციას და მუდმივ გაჭირვებას მოუტანს", - აღნიშნა ამერიკის პრეზიდენტმა.

ჩრდილოეთ კორეის ელჩმა გაერო-ში პაკ გილ იონმა ბუშის განცხადებების საპასუხოდ განაცხადა, რომ კრიზისს განმუხტავს მხოლოდ ფხენიანთან თავდაუსხმელობის პაქტის გაფორმება. ეს პაქტი კი, ელჩის აზრით, აშშ-ს კონგრესმა უნდა დაამტკიცოს, რადგან ბუშის ადმინისტრაციის სიტყვა სანდო არ არის.

მართალია, ბუშმა პირობა დადო, რომ ჩრდილოეთ კორეაზე იერიშს არ მიიტანს, მაგრამ "ამერიკის შეიარაღებული ძალები კორეის ნახევარკუნძულისაკენ მოიწევს".

"ამის ერთ-ერთი მაგალითია ავიამზიდი "კიტი ჰოუკი", რომელიც კორეის ნაპირებს ძალზე მოუახლოვდა", - განაცხადა პაკმა გაერო-ში, ჩრდილოეთ კორეის მისიაში ჟურნალისტების მცირე ჯგუფთან შეხვედრისას.

ვაშინგტონმა ბრალდებები უარყო და განაცხადა, რომ ავიამზიდი დაგეგმილ წვრთნას გადის წყნარი ოკეანის დასავლეთ ნაწილში. რაც შეეხება თავდაუსხმელობის პაქტის დამტკიცებას კონგრესის მიერ, ამერიკის ხელისუფალთა აზრით, ეს, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება, რადგან კონგრესმენები ძალზე უარყოფითად არიან განწყობილნი ფხენიანის მიმართ, რომელსაც ბირთვული იარაღის დამზადებასა და ადამიანის უფლებების დარღვევაში ადანაშაულებენ.

*როიტერი*

# აიათოლა შინაპატიმრობაში

რევაზ ბახტაძე

ირანის უხუცესმა დისიდენტმა სასულიერო პირმა - აიათოლა ჰუსეინ-ალი მონტაზერიმ განაცხადა, რომ ის კვლავ შინაპატიმრობაში რჩება იმის მიუხედავად, რომ პრესაში გაჩნდა ინფორმაცია, თითქოს ხელისუფლება მის გათავისუფლებას აპირებს.

აიათოლა მონტაზერიმ "ბი-ბი-სი-სთვის" მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ მას არასოდეს უთხოვია ხელისუფლებისათვის პატიმრობიდან გათავისუფლება და აღნიშნა, რომ არანაირ თავსმოხვეულ პირობას არ დათანხმდება.

რამდენიმე დღის წინ ასმა ირანელმა პარლამენტარმა თხოვნით მიმართა სასამართლოს, რათა კონსერვატორმა სასულიერო პირებმა აიათოლა მონტაზერი, ჯანმრთელობის გაუარესების გამო, გაათავისუფლონ.

აიათოლა მონტაზერის, რომელიც ისლამური რევოლუციის სულისჩამდგმელის - აიათოლა ხომეინის მემკვიდრედ ითვლებოდა, შინაპატიმრობა 1997 წელს მიუსაჯეს მას შემდეგ, რაც მან ირანის უზენაესი ლიდერის აიათოლა ხამენეის ხელისუფლება გააკრიტიკა.

აღსანიშნავია, რომ თავის დროზე ხომეინიმ მასზე საუბრისას განაცხადა, რომ "[მონტერაზი] მისი ცხოვრების ნაყოფია". თუმცა, პოლიტიკური პატიმრების დასჯისა და ადამიანის უფლებების დარღვევის გამო უმაღლესი სასულიერო ხელისუფლების გაკრიტიკების შემდეგ, ლიბერალმა სასულიერო პირმა მხარდაჭერა 1988 წელს დაკარგა. ერთ წელიწადში კი ხომეინი გარდაიცვალა.

ხუთწლიანი პატიმრობის შემდეგ, აიათოლა მონტაზერის აზრი არ შეუცვლია. "ბი-ბი-სის" ირანის ბიუროსთან საუბრისას მან აღნიშნა, რომ იგი თავის საქციელს არ ნანობს.

აიათოლამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ მას და მის ოჯახს ხელისუფლებისათვის შეზღუდვების მოხსნა არასოდეს უთხოვიათ. "წმინდა წყლის სიცრუეა, თითქოს ჩემმა შვილებმა ჩემი სახელით პატიება სთხოვეს მთავრობას", - თქვა მან.

"ჩემი შვილები მოწყალებას არასოდეს არ მოითხოვენ. ჩემთვის შეზღუდვების მოხსნა ხელისუფლების ნებასურვილზე არის დამოკიდებული. მე მოცდა შემიძლია", - დასძინა 80 წლის მოხუცმა.

ისლამური რესპუბლიკის ერთ-ერთმა დამაარსებელმა მონტაზერიმ გადაჭრით უარყო კონსერვატული მედიის მიერ გავრცელებული ცნობები, რომ იგი გათავისუფლების სანაცვლოდ პოლიტიკურ საქმიანობაზე უარის თქმას დათანხმდა.

მონტაზერიმ ირანის პრეზიდენტს მოუწოდა, მართვის სტილი შეცვალოს და რეფორმების გატარების დროს სიმტკიცე გამოიჩინოს.

"როდესაც ხათამი პირველად მოვიდა ხელისუფლების სათავეში, ხალხს იმედი გაუჩნდა, - აღნიშნა მან, - მაგრამ ის თუ კვლავ ასე გააგრძელებს, ხალხს გული აუცრუვდება. მან უნდა შეასრულოს დაპირება, რომ ირანის საზოგადოების რეფორმირებას მოახდენს".

აიათოლა მონტაზერიმ მკაცრად გააკრიტიკა რევოლუციის მცველთა საბჭო - ქვეყნის უმაღლესი მმართველობის ორგანო, რომელსაც არჩევნებში მონაწილე კანდიდატების შეცვლის უფლებაც აქვს.

აიათოლას აზრით, ყველას უნდა ჰქონდეს საშუალება, საკუთარი წარმომადგენელი აირჩიოს.

აღსანიშნავია, რომ ბოლო დროს გავრცელდა ცნობა, თითქოს 80 წლის აიათოლას ჯანმრთელობა მკვეთრად გაუარესდა და მას დეპრესია აქვს.

თუმცა, თავად მონტაზერის მტკიცებით, იგი მხნედ არის და მის ერთადერთ პრობლემას ზედმეტი ძილი წარმოადგენს. აიათოლას თქმით, სახლში გამოკეტვას სამეცნიერო მუშაობაში მისთვის ხელი არ შეუშლია.

მიმომხილველების თქმით, შინაპატიმრობის მიუხედავად, აიათოლა გავლენიან პიროვნებად რჩება, რომელიც რეგულარულად აქვეყნებს განცხადებებს, სასულიერო პირებს აკრიტიკებს და ხელისუფლებას პლურალიზმისა და შემწყნარებლობისაკენ მოუწოდებს. დღემდე სწორედ ამის გამო ეშინიათ მისი ირანის მმართველ სასულიერო პირებს და არ სურთ მოხუცებულის გამოშვება.

# არიელ შარონმა არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა

გუშინ ისრაელში ჩატარებული არჩევნების წინასწარი შედეგები გამოქვეყნდა, რომლის თანახმადაც პირველ ადგილზე არიელ შარონის პარტია "ლიკუდი" გავიდა. წინასწარი მონაცემებით, პარლამენტში ადგილები ასე გადანაწილდება:

"ლიკუდი" - 37
შრომის პარტია - 17-18
"შინუი" - 14-17
"შასი" - 9-13
"მერეცი" - 5-8
არაბული პარტიები - 9-11

არიელ შარონმა თავისი პარტიის გამარჯვებას ისტორიული უწოდა და განაცხადა, რომ ის მსხვილი კოალიციის შექმნას შეეცდება, რომელშიც ქვეყნის ძირითადი პარტიები შევლენ. **"ის, რაც ჩვენ გვაერთიანებს, უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ის, რაც ჩვენ გვყოფს,"** - ასეთი მოწოდებით მიმართა არიელ შარონმა თავის კონკურენტ პარტიებს და მათ ქვეყნის გადასარჩენად გაერთიანება სთხოვა.

მეორე ადგილზე გასული შრომის პარტიის ლიდერმა - ამრაამ მიცნამ დამარცხება უკვე აღიარა და არიელ შარონს გამარჯვება მიულოცა. ამასთანავე, მან განაცხადა, რომ მისი პარტია შარონის კოალიციურ მთავრობაში არ შევა. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა პოზიციას დაიკავებენ პარლამენტში მოხვედრილი სხვა პოლიტიკური ლიდერები და დაუჭერენ თუ არა მხარს არიელ შარონის ინიციატივს.



# ნათელაშვილს კლიპომეიკერობას უშლიან



„ლეიბორისტები" მსგავს აქციებს გეგმავენ

*ლეიბორისტული პარტიის თავკაცი, შალვა ნათელაშვილი, მორიგი სარჩელით, ახალი გამარჯვებისთვის ემზადება. პარტიაში დიდი გაფაციცებით მუშაობენ ახალ სასარჩელო განცხადებაზე. ამჯერად ლეიბორისტები "ეი-ი-ეს თელასის" საქართველოდან გაძევებას გეგმავენ. მანამდე კი ნათელაშვილი ამერიკული კომპანიის "გაკოტრებას" შეეცდება და თბილისელებს მოუწოდებს, მოხმარებული ელექტროენერგიის საფასური პრინციპულად არ გადაიხადონ.*

ეთერ მამულაშვილი

28 იანვარს საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაკეთებულ განცხადებას, რომ თბილისელებმა 1 მარტამდე ელექტროენერგიის საფასური კვლავ ძველი ტარიფით უნდა გადაიხადონ, როგორც მოსალოდნელი იყო, გუშინ ლეიბორისტების ლიდერმა საგანგებო ბრიფინგით უპასუხა.

"საკონსტიტუციო სასამართლოში დადგმული "ედუარდ შოუ", პრეზიდენტის რეჟისორობით, სახელმწიფო კანცელარიისგან იყო ნაბრძანები. ეს იყო კიდევ ერთი ზეწოლა სასამართლოზე, რომელსაც ყურმოჭრილი მონებივით დაემორჩილნენ მოსამართლეები", - განაცხადა ნათელაშვილმა.

ლეიბორისტთა შეფმა საკონსტიტუციო სასამართლო კანონმდებლობის დარღვევაშიც დაადანაშაულა. ნათელაშვილის თქმით, სასამართლოს საკუთარი გადაწყვეტილების კომენტირების უფლება არ ჰქონდა: "ის სასამართლოა და არა მიმომხილველი".

ნათელაშვილი ჯიუტად აგრძელებს გზას დასახული მიზნისკენ - მოსახლეობას "ეი-ი-ეს თელასის" წინააღმდეგ ამხედრებს. ლეიბორისტები პერმანენტული საპროტესტო აქციებითაც იმუქრებიან. ამჯერად "მშრომელები" მშვიდობიან აქციებს ამერიკული კომპანიის თბილისში მოქმედი ყველა ოფისისა და სემეკის წინ გეგმავენ. "ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ "ეი-ი-ეს თელასმა" მაქსიმალური წაგება და ზარალი ნახოს", - აცხადებენ პარტიაში. ამას კი ლეიბორისტები, კომპლექსური აქციების გარდა, სარეკლამო რგოლების ჩვენებითაც აპირებენ.

შეგახსენებთ, რომ ბოლო რამდენიმე დღის განმავლობაში ტელეკომპანია "რუსთავი-2"-ის სატელევიზიო ეთერში ტრიალებდა ლეიბორისტთა ორწუთიანი სარეკლამო კლიპი, რომელიც თბილისელებს ურჩევდა, ელექტროენერგიის საფასური არ გადაიხადონ.

დაგეგმილ აქციებს ლეიბორისტები, ალბათ, დაუბრკოლებლად გამართავენ. აი, სარეკლამო რგოლების დამზადება-გავრცელებაზე კი ლიცენზია ჩამოართვეს.

ანტიმონოპოლიური სამსახური მოითხოვს, ლეიბორისტების ეს სარეკლამო რგოლი ამოიღონ ყველა მასობრივი საინფორმაციო საშუალებიდან, რადგან კლიპის შინაარსი არასწორ ინფორმაციას შეიცავს.

ლეიბორისტებისთვის კიდევ ერთი დარტყმა იქნება, თუ ანტიმონოპოლიური სამსახური პარტიას, სასამართლოს ძალით, კონტრრეკლამის დამზადება-გავრცელებას მოსთხოვს. ეს კი, მარტივად რომ ვთქვათ, ამას ნიშნავს: ძველი რეკლამისთვის, როგორც არასწორად მიწოდებული ინფორმაციისთვის, ლეიბორისტებმა ბოდიში უნდა მოიხადონ და თბილისელებს მოხმარებული ელექტროენერგიის საფასურის დროულად გადახდისკენ მოუწოდონ.

ანტიმონოპოლიური სამსახურის უფროსი არმაზ თავაძე აცხადებს, რომ, ჯერჯერობით, სანქციებზე საუბარი ნაადრევია, თუმცა, უახლოეს ათ დღეში არც ეს არის გამორიცხული. სანქცია კი, კონტრრეკლამის გარდა, ფულად ჯარიმასაც ითვალისწინებს.

## მოკლედ

**თბილისი.** დღეს, 12 საათზე, გაზეთ "24 საათის" რედაქციაში ჟურნალისტები გამოავლენენ მიწისძვრით დაზარალებულ 4 ოჯახს, რომელსაც "ჯეოსელი" ბინებით დაასაჩუქრებს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ ქეთევან წამებულის ქუჩის მცხოვრებლებმა დროებით გადაკეტეს ტრასა, სადაც პრეზიდენტის ესკორტი გადაადგილდება. აქციის მონაწილეთა განცხადებით, მიწისქვეშა საკომუნიკაციო სისტემა იმდენად არის მწყობრიდან გამოსული, რომ მიწისძვრით ისედაც დაზიანებულ შენობებს უარესად აზიანებს და მცხოვრებლებს საფრთხეს უქმნის. მათი არაერთი განცხადების მიუხედავად, სისტემა არ გარემონტებულა და ქუჩებს, ეზოებსა და საცხოვრებელ სახლებს უკვე ფეკალური მასებიც აბინძურებს. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** გუშინ თბილისის ვეტერინარულმა გაერთიანებამ ამერიკული ფირმა "ტაისონის" მიერ დიდი ხნის წინათ შემოტანილი 7 ტონა საკვებად უვარგისი ქათმის ბარკალი გაანადგურა. ღონისძიება ქალაქის კეთილმოწყობის სამსახურთან ერთად განხორციელდა. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის ვიცე-პრემიერი კახა შენგელია პირობას იძლევა, რომ ორი კვირის წინათ შექმნილი "თბილისის სტრატეგიული განვითარების ცენტრი" მაისისთვის საკრებულოს განსახილველად წარუდგენს თბილისის სტრატეგიული განვითარების 10-წლიან გეგმას. **კავკას-პრესი**

■ ■ ■

**თბილისი.** შოთა რუსთაველის სახელობის კინოსა და თეატრის ინსტიტუტის პრორექტორი, რეჟისორი გოგი დოლიძე, ახალქალაქის რაიონის ერთადერთ ქართულ სკოლაში პირველ გაკვეთილებს ჩაატარებს და მოსწავლეებს ხელოვნების ისტორიას, ქართულ ლიტერატურას და ინგლისურ ენას შეასწავლის. იგი ახალქალაქში მუსიკალური კოლექტივების ჩაყვანასა და ბავშვებისთვის კონცერტების გამართვასაც გეგმავს. ეს ყველაფერი კინოფირზე აღიბეჭდება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** დღეიდან იმერეთისა და ქართლის ენერგოობიექტების თანამშრომლები უვადო საპროტესტო აქციას იწყებენ - ობიექტების მომსახურებას წყვეტენ და შესაძლო ავარიებსა და დაზიანებებზე პასუხისმგებლობას იხსნიან. მათი მოთხოვნაა, ეტაპობრივად დაიფაროს მათი სახელფასო დავალიანება. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თბილისის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურისა და ეკოპოლიციის თანამშრომლები ერთობლივად მუშაობენ კრწანისის სამთავრობო რეზიდენციის მიმდებარე ტერიტორიაზე 200-მდე ფიჭვისა და კიპაროსის გაჩეხვით მიყენებული ზარალის დადგენაზე. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** ერთ კვირაში მიწისძვრის შედეგების სალიკვიდაციო ფონდისა და თბილისის მერიის საბინაო სამსახურის ბაზაზე ჩამოყალიბდება საჯარო სამართლის ახალი იურიდიული პირი - საბინაო მეურნეობის რეაბილიტაციისა და აღდგენის ფონდი. იგი საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების საფუძველზე, მიწისძვრის შედეგების ლიკვიდაციის მიზნით ამოქმედდება. თებერვლისთვის დედაქალაქში ჩინეთიდან 600 ათასი დოლარის ღირებულების, უკრაინიდან კი 4 ვაგონ სამშენებლო მასალას ელიან და გაზაფხულიდან სახლების აღდგენითი სამუშაოების დაწყებას აპირებენ. **მედია-ნიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** მარტის დასაწყისში თბილისში გამოვლინდებიან „სახალხო ნიშნის" პირველი მფლობელები. სამარკო საქონლის ნაციონალური კონკურსის ორგანიზატორია ფონდი „ქართული ხარისხი". კონკურსის საორგანიზაციო კომიტეტს ხელმძღვანელობს საქართველოს გადამხდელთა კავშირის თანათავმჯდომარე ვანო ჩხარტიშვილი. ფონდს დაგეგმილი აქვს, გამართოს ეფექტიანი მარკეტინგული კომუნიკაციების კონკურსი "წლის ბრენდი", უახლოეს მომავალში კი ჩაატაროს აქცია-კონცერტი ფალსიფიკაციისა და ინტელექტუალური საკუთრებით „მეკობრეობის" წინააღმდეგ. **მედია-ნიუსი**

# აჭედილი კარები და წაღებული ბეჭედი

*გუშინ, ვაჟა ფშაველას გამზირზე მდებარე 26-ე პოლიკლინიკის თანამშრომლებმა ქუჩა გადაკეტეს. უკვე ერთი კვირაა, რაც პროტესტს გამოვხატავთ, მაგრამ ყურადღება არ მიუქცევიათ, ამიტომაც გამოვედით ქუჩაშიო, – თქვეს მათ.*




„მეამბოხე" ექიმები

"გამოგვიძახეს, გვითხრეს ქუჩა გადაკეტილიაო. პოლიკლინიკის ექიმები უნდობლობას უცხადებენ მთავარ ექიმს, ლალი ხვიჩიას", - გვითხრა წესრიგის აღსადგენად მისულმა პოლიციელმა.

"კოლექტივის ერთადერთი მოთხოვნაა, რომ გადადგეს მთავარი ექიმი. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით რამდენიმე პროცესი მიმდინარეობს სასამართლოში და ერთადერთი გამოსავალია, რომ დროზე დასრულდეს ეს პროცესები, გაირკვეს მართალი და მტყუანი, რომ ნათელი მოეფინოს ყველაფერს," – თქვა მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსმა დავით პავლიაშვილმა.

ექიმების განცხადებით, უკვე ოთხი წელია, რაც პოლიკლინიკა პრივატიზებული აქვთ და მასში 27 ათას დოლარი გადახდილი. მათი თქმით, პოლიკლინიკის მთავარი ექიმი ლალი ხვიჩია და მისი მოადგილე მარინა ლომიძე მოწადინებულები არიან, რომ პოლიკლინიკა ხელახლა გაიყიდოს აუქციონზე.

გუშინ მთავარი ექიმის კაბინეტი აჭედილი იყო. როგორც აღმოჩნდა, მას ბეჭედი წაუღია და სამსახურში აღარ მიდის. თანამშრომლები ვარაუდობენ, ლომიძე და ხვიჩიას მეუღლე - ნანავა სასამართლოში დადიან საქმეების "მოსაკვარახჭინებლადო". "ერთი კვირაა, ბეჭდისთვის დავდივარ, რომ ინვალიდი შვილისთვის პენსიის საბუთები გავაკეთო, მაგრამ ამაოდ... ბეჭედი მთავარ ექიმს წაუღია," - შემოგვჩივლა ერთმა ქალბატონმა.

მიუხედავად შფოთისა, როგორც ექიმები ამბობენ, პაციენტები არ დაზარალებულან- არც ერთი დღით არ შეჩერებულა ავადმყოფების მკურნალობა.

**"24 საათი"**

# დღევანდელ პროცესზე პოლიცია არის გამოძახებული

*დღეს 12 საათზე მთაწმინდა-კრწანისის სასამართლოში შარაძე-სააკაშვილისა და ხუთჯვრიანი დროშის საქმის განხილვის მთავარი სხდომა შედგება. მოსამართლე თამაზ ყაჭეიშვილმა მოსამზადებელი პროცესი 10 დღის წინათ ჩაატარა და მიხვდა, რომ ამ საქმეს პოლიციის გარეშე არაფერი ეშველებოდა.*

ზაზა ფაჩუაშვილი

მოსამზადებელ პროცესზე სააკაშვილის მრავალი მხარდამჭერი გამოცხადდა. დროშამომარჯვებულმა ხალხმა დარბაზიც გაავსო და სასამართლოს მიმდებარე ტერიტორიაც დაიკავა. გამომაფხიზლებელი ყაყანი რომ არ ყოფილიყო, შენობის შიგნით და გარეთ იმდენი ხუთჯვრიანი დროშა ფრიალებდა, კაცს თავი სიზმარში ეგონებოდა. ეს რა არის, ათას დროშას გამოვფენთ შევარდნაძის გულის გასახეთქადო, ყვიროდა ენერგიული პენსიონერი. რამდენიმე წუთი კიდევ არაუშავდა, მაგრამ მერე ისეთი პერმანენტული ხმაური დაიწყო, რომ დარბაზში სიტყვის მოსმენა შეუძლებელი შეიქნა.

ხალხი შარაძისა და მისი ადვოკატის ყველა სიტყვას აპროტესტებდა და სათანადო კომენტარით პასუხობდა. ეს ისეთი გულმოდგინებით კეთდებოდა, რომ "ნაციონალების" ინტერესების დამცველის კობა დავითაშვილის გამოსვლის დროსაც კი ინერციით გრძელდებოდა. მოყაყანე ხალხს რაოდენობითა და ხმით არც მშვიდობის მაძიებლები ჩამოუვარდებოდნენ. ბოლოს კი მთლად გაყრუვდა ყველაფერი, რაც გურამ შარაძის ორიოდე მომხრის ხმის ამოღებას მოჰყვა.

მოსამართლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ შექმნილი ექსტრემალური სიტუაციის მიუხედავად, ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო და ჯანმრთელობისთვის სახიფათო ნახევარსაათიანი პროცესი დროულად დაამთავრა. გურამ შარაძის მაშინდელი განცხადებით, მომავალ სხდომას მისი მხარდამჭერებიც დაესწრებოდნენ.

რა მოხდება მთავარ სხდომაზე? ამის თაობაზე ორიოდე კითხვით მივმართეთ მოსამართლე თამაზ ყაჭეიშვილს.

- ბატონო თამაზ, ხომ არ აპირებთ პროცესზე გულშემატკივართა დასწრების შეზღუდვას?

- პროცესს ვერ დავხურავთ, ვინაიდან ის სამოქალაქოა, მაგრამ რაც პირველ სხდომაზე მოხდა, იმის განმეორება არ შეიძლება. ეს საშინელება იყო.



„დროშები ჩქარა"

- პირველ სხდომაზე მხოლოდ ერთი მხარის გულშემატკივრები იყვნენ, ახლა ორივე მოვა...

- ოჰ, ოჰ, ოჰ!..

- როგორ აპირებთ წესრიგის დამყარებას?

- ჯერ ერთი, იმ დიდ დარბაზში აღარ ვიქნებით, პატარაში შევალთ, სადაც ბევრი დამსწრე არ ეტევა (მაშინ იქ ჩეჩნების ექსტრადიციის საქმე განიხილებოდა და დაკავებული იყო). მეორეც, პოლიციას შევატყობინეთ. მოვლენ და დაიცავენ წესრიგს.

# თბილისში ხის მოჭრა უფრო იოლია, ვიდრე დარგვა

*საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი საკუთარი გამოკვლევების საკრებულოსთვის წარდგენას აპირებს. საკრებულომ და მერიამ ისედაც მშვენივრად იციან, რომ თუ ასე გაგრძელდა, თბილისში ხე და ბუჩქი აღარ დარჩება, მაგრამ ცენტრი იმედოვნებს, - ქალაქის ხელმძღვანელობას თბილისის გამწვანების პრობლემის ფურცელზე დაფიქსირება და სტატისტიკური მონაცემები მაინც დააფიქრებსო.*

ნანა ქადაგიშვილი

"თბილქალაქპროექტში" კარგა ხანია, არსებობს ერთი საინტერესო პროექტი "2000 წლისათვის თბილისის გამწვანებისა და გაწყლიანების გენერალური გეგმის შესახებ". ეს პროექტი თბილისის დღემდე მოქმედი გენერალური გეგმის საფუძველზე შემუშავდა და მის მიხედვით, ჯერ კიდევ ორი წლის წინათ საერთო სარგებლობის გამწვანებული ტერიტორია ერთ სულ მოსახლეზე 20,5 კუბური მეტრი უნდა ყოფილიყო. თბილისისა და რუსთავის გარშემო უნდა შექმნილიყო მწვანე სარტყელი, რომელიც ტყის მასივებს, პარკებს, ნაკრძალებსა და ტყეპარკებს გააერთიანებდა. ამის გარდა, განაშენიანებისგან თავისუფალ ტერიტორიაზე დაპროექტებული იყო ბულვარები, ბაღები, 19 ახალი პარკი უნდა გაშენებულიყო. პარკებისა და ბაღების მშენებლობა ქალაქის ახალ საცხოვრებელ რაიონებშიც იყო განსაზღვრული. ხევები და მთის ფერდობებიც არ უნდა დარჩენილიყო გაუმწვანებელი. თბილისის ხელმძღვანელობამ კი, მოსახლეობის ხელშეწყობით, აღნიშნული პროექტი სულ უკუღმა შეასრულა. სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მონაცემებით, ერთ სულ მოსახლეზე, 20-ის ნაცვლად, 5 კუბური მეტრი გამწვანებული ტერიტორია მოდის. ახლის გაშენებას ვინღა ჩივის, ქალაქში ძველი პარკი და ბაღიც, თითქმის, აღარ დარჩა. გამწვანებული ტერიტორიები გარეუბნებში გაანადგურეს და გაყიდეს, ახლა კი ქალაქის ცენტრალურ პარკებს მიადგნენ. რამდენიმე დღის წინათ ქალაქის ხელმძღვანელობა თავს იწონებდა, „9 აპრილის" სახელობის პარკში მიმდინარე მშენებლობა შევაჩერეთ და მის მეპატრონეს ფულად კომპენსაციას გადავუხდითო, არადა, პარკში მშენებარე საცხოვრებელ სახლს ყოველდღე, ლამის, თითო-თითო სართული ემატება. მუშტაიდის ბაღში კი რკინიგზის დეპარტამენტის მიერ წამოჭიმული სასტუმრო დგას.



სემინარზე

სხვათა შორის, თავის დროზე თბილისის ზღვის, კუსა და ლისის ტბების მიმდებარე ტერიტორიები, ხეივნები, ქუჩები და სკვერები საბჭოური "შაბათობების" წყალობით გაუშენებიათ. დღეს კი თბილისში ხეს, ძირითადად, სასაფლაოზე ჭირისუფალი თუ რგავს. გაჭირვებული, გაყინული მოქალაქე რომ ხეს ჭრის, შესაძლოა, ვერც გაამტყუნო, მაგრამ ზოგიერთ თბილისელს ძველისძველი ჭადრები თამბაქოს რეკლამირებაშიც კი უშლის თურმე ხელს. თამარ მეფის სახელობის ხიდზე განთავსებული თამბაქოს უზარმაზარი რეკლამის ავტორებს გამწვანების სამსახურისთვის მოუთხოვიათ, სარეკლამო ბილბორდის წინ მდგომ ჭადარს ტოტები ჩამოაჭერით, რეკლამა შორიდან არ ჩანსო. თუმცა, თბილისელებმა საბჭოთა პერიოდის დროინდელი ტრადიციის აღდგენა რომც მოინდომონ, ქალაქში ხის დარგვა გაუჭირდებათ. თბილისში ხის მოჭრა უფრო იოლი ყოფილა, ვიდრე მისი დარგვა. ჯერ ერთი, რომ ვერავინ გეტყვით, სად რა დარგოთ. ქალაქის გამწვანების გეგმა ოფიციალურად კი არსებობს, მაგრამ დღევანდელ ქალაქში მას, ფაქტობრივად, ველარ გამოიყენებ. ამის გარდა, ცოტა ხანში საქართველოში ქალაქში დასარგავ ნერგს ველარ იშოვი, სანერგე მეურნეობები, თითქმის, განადგურდა, ხოლო რაც დარჩა, ქალაქის ხელმძღვანელობა იმასაც არ იყენებს. თბილისის ზღვაზე მდებარე დენდროლოგიური პარკის დირექტორი მერიას ეხვეწება, - ნერგებს 3 ლარად მოგყიდითო, მას კი ჰოლანდიიდან ათმაგ ფასში შემოაქვს.



„9 აპრილის" სახელობის პარკში

აღნიშნული პრობლემისადმი ქალაქის ხელმძღვანელობის დამოკიდებულება იქიდანაც ჩანს, რომ სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის მიერ გუშინ მოწყობილ სემინარს საკრებულოსა და მერიის შესაბამისი სამსახურების არც ერთი წარმომადგენელი არ დასწრებია. საკრებულოში ბრტყელ-ბრტყელად ლაპარაკი კი ეხერხებათ, მაგრამ გამწვანების პრობლემების მოსასმენადაც კი არ იწუხებენ თავსო, - ჩიოდნენ სემინარზე მეტყველები.

# „მოვითხოვეთ მაქსიმუმი, მივაღწიეთ ბევრს"

## საკონსტიტუციო სასამართლომ საპროცესო კოდექსის რამდენიმე მუხლი ანტიკონსტიტუციურად სცნო

პირველი გვერდიდან

კონსტიტუცია მკაცრად განსაზღვრავს, რომ წინასწარი პატიმრობის ვადა არ უნდა აღემატებოდეს ცხრა თვეს. მოსარჩელეები ამტკიცებენ, რომ ტერმინი "წინასწარი პატიმრობა" გულისხმობს ბრალწაყენებული პირის პატიმრობას სასამართლოს მიერ გამოტანილ პირველ გამამტყუნებელ განაჩენამდე. საკონსტიტუციო სასამართლომ კი მიიჩნია, რომ ცხრათვიანი ვადა ვრცელდება ბრალდებულის პატიმრობაზე მისი საქმის სასამართლოში გადაგზავნამდე.

**"იმედი არც მქონდა, რომ საკონსტიტუციო სასამართლო ცხრათვიანი ვადის თაობაზე ჩვენს მოთხოვნას დააკმაყოფილებდა,** - ამბობს ნანა დევდარიანი, - **ამიტომაც საკონსტიტუციო სასამართლოს პირველ კოლეგიაში ამ საკითხზე სარჩელი სხვა ფორმულირებით მაქვს შეტანილი. კერძოდ, ვითხოვ, რომ ცხრათვიან ვადაში შევიდეს მხარეების მიერ სისხლის სამართლის საქმის გაცნობის პერიოდი. თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ამ სარჩელს დააკმაყოფილებენ, მით უმეტეს, ახლანდელი განაჩენის შემდეგ, რომელშიც ჩაიწერა, რომ ცხრათვიან პატიმრობაში იგულისხმება პატიმრობა სასამართლოში საქმის გაგზავნამდე. სხვა მხრივ კი, ვფიქრობ, რომ განხილვა ჩვენს სასარგებლოდ დასრულდა. მართალი გითხრათ, ჩვენი ტაქტიკა ასეთი იყო, უნდა მოგვეთხოვა მაქსიმუმი, რათა, რაც შეიძლება, მეტისთვის მიგვეღწია და ვფიქრობ, რომ მართლაც ბევრს მივაღწიეთ".**

მიღწევებს შორის კი გახლავთ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ის მუხლები, რომლებიც გუშინდელ დღემდე დაკავებულის, ეჭვმიტანილისა და ბრალდებულის დაცვის უფლებას ზღუდავდა, გუშინ კი ისინი საკონსტიტუციო სასამართლომ ანტიკონსტიტუციურად სცნო და გააუქმა. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების გამოქვეყნების შემდეგ უკვე გაუქმებულად ითვლება სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 72-ე მუხლის მე-3 ნაწილი და მე-5 ნაწილის პირველი წინადადება, 142-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 145-ე მუხლის პირველი ნაწილი და 146-ე მუხლის პირველი, მე-2, მე-3 და მე-5 ნაწილები. შესაბამისად, მოიხსნა დაკავებიდან ეჭვმიტანილად ცნობამდე არსებული 12-საათიანი ვადის პრობლემა და პირს დაკავებისთანავე შეუძლია ისარგებლოს დუმილის, ადვოკატის ყოლის, სამედიცინო შემოწმების, ახლობელთან დაკავშირების თუ სხვა უფლებებით. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ, საპროცესო კოდექსის 73-ე მუხლის პირველი ნაწილის "დ" ქვეპუნქტისა და 284-ე მუხლის მე-2 ნაწილის მეორე წინადადების გაუქმებით, ეჭვმიტანილსა და ბრალდებულს დამცველთან შეუზღუდავი ურთიერთობის უფლება დაუკანონა და ამის გარდა, დამცველს მიანიჭა უფლება, კლიენტის დაკავებისთანავე გაეცნოს საქმის მასალებს.

**"მნიშვნელოვანია ისიც, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ პარლამენტს პირდაპირ მიუთითა, 1 მაისამდე შეიმუშაოს და შეიტანოს ცვლილებები სისხლის სამართლის პროცესში, ანუ ის კონსტიტუციასთან შესაბამისობაში მოიყვანოს.**



ომბუცმენი სასამართლოს გადაწყვეტილებით კმაყოფილი დარჩა.

**წინააღმდეგ შემთხვევაში, შეიქმნება საკანონმდებლო ვაკუუმი, რადგან საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ გაუქმებული მუხლები, განაჩენის გამოტანისთანავე, უკვე ძალადაკარგულია. მართალი გითხრათ, ჩვენ არ გამოვრიცხავთ, რომ პარლამენტმა, რომელმაც თავის დროზე ანტიკონსტიტუციურ მუხლებს უყარა კენჭი, ახლაც მოინდომოს საპროცესო კოდექსში ბუნდოვანი ცვლილებების შეტანა. ამიტომაც კვლავაც გავაგრძელებთ მის მუშაობაზე მონიტორინგს, გნებავთ, ზეწოლასაც",** - ამბობს არასამთავრობო ორგანიზაციის - "ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის" წარმომადგენელი გიორგი ჩხეიძე.

და ბოლოს, რა რეაქცია მოჰყვება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სამართალდამცველთა მხრიდან? საპროცესო კოდექსის რიგი მუხლების ანტიკონსტიტუციურად ცნობის შემდეგ ხომ მათ მიერ ფართოდ აპრობირებულ "მეთოდებს" სერიოზული საფრთხე დაემუქრათ.

**"საკონსტიტუციო სასამართლომ რომ რევოლუციური გადაწყვეტილება მიიღო, ეს სამართალდამცველთა მხრიდან რეაგირების შემდეგ გამოჩნდება. როცა მე შინაგან საქმეთა მინისტრსა და გენერალური პროკურატურის წარმომადგენლებს ჩემი სარჩელის თაობაზე ვესაუბრე, მითხრეს, ამ მუხლების ანტიკონსტიტუციურად ცნობის შემთხვევაში, ჩათვალეთ, რომ ვერც ერთ დანაშაულს ველარ გავხსნითო. ვერ გახსნიან და წავიდნენ",** - ამბობს ნანა დევდარიანი.

# აზერბაიჯანული ნავთი მდინარე ხევისწყალში ჩაიღვარა

## "საქართველოს რკინიგზა" ყველა ავარიას დივერსანტებს აბრალებს

თამარ კაციტაძე

გუშინ, ღამის 3 საათზე, სამტრედიის რაიონის სოფელ ვაზისუბნის მახლობლად, სარკინიგზო ხიდიდან მდინარე ხევისწყალში გადავარდა აზერბაიჯანიდან ბათუმისკენ მიმავალი 33-ვაგონიანი სატვირთო მატარებლის ოთხი ვაგონი. ფირმა "კუროილ-დელტა-ჩელეკც-ბაშლაბის" კუთვნილი დაახლოებით 120 ტონა ნავთობი მდინარეში ჩაიღვარა და ცეცხლი მოეკიდა. არსებობდა საშიშროება, რომ ცეცხლი მიმდებარე სოფლებზეც გავრცელდებოდა, მაგრამ რამდენიმე საათის შემდეგ მეხანძრეებმა ხანძრის ჩაქრობა მოახერხეს.

მიუხედავად იმისა, რომ შემთხვევის ადგილზე ერთდროულად გავიდნენ რკინიგზისა და სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები, მომხდარ ინციდენტთან დაკავშირებით, რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი ვერსია გავრცელდა.

"საქართველოს რკინიგზის" ხელმძღვანელობის აზრით, ადგილი ჰქონდა დივერსიას. "საქართველოს რკინიგზის" დირექტორის აკაკი ჩხაიძის განცხადებით, არიან თვითმხილველები, რომლებიც ირწმუნებიან, რომ ხიდის ჩანგრევამდე რამდენიმე წუთით ადრე აფეთქების ხმა გაიგეს.

ჯერჯერობით, საქართველოს რკინიგზის შეფის დასკვნას არ ეთანხმებიან სამართალდამცველები, რომლებმაც ამ ეტაპზე, შემთხვევის ადგილის დათვალიერებისა და მოსახლეობის დაკითხვის შემდეგ, ჩხაიძის ვერსიის დამადასტურებელი მტკიცებულების მოპოვება ვერ შესძლეს. ჩვენთან საუბრისას უშიშროების მინისტრის მოადგილემ ირაკლი ალასანიამ სოფელ ვაზისუბანთან მომხდარ ფაქტში საბოტაჟი და ტერორისტული აქტი გამორიცხა და განაცხადა – ყველა ვერსიაზე ვმუშაობთ და საბოლოო პასუხს დანიშნული ექსპერტიზების დასკვნების მიღების შემდეგ ვიტყვითო.

სხვათა შორის, ვაგონების მდინარეში გადავარდნის მიზეზების შემსწავლელი ერთობლივი კომისიის წარმომადგენლები ამ ეტაპზე დაზუსტებით იმასაც ვერ ამბობენ, ვაგონები ხაზიდან ამოვარდა (რის შედეგადაც ხიდი ჩაინგრა), თუ პირიქით - ჯერ ხიდი დაზიანდა და ვაგონებიც მდინარეში ამიტომ აღმოჩნდა.

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით მოკვლევას აწარმოებს სამტრედიის სატრანსპორტო რეგიონის პროკურატურა; მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ დივერსია ან საბოტაჟი არ გამოიკვეთა, მომხდარი სამართლებლივი შეფასების გარეშე დარჩება. ამის მიზეზი კი, სამართალდამცავთა მტკიცებით, საკანონმდებლო ხარვეზია. სისხლის სამართლის კოდექსის თანახმად, სატრანსპორტო შემთხვევას თუ პიროვნების ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება არ მოჰყვა, სისხლის სამართლის საქმე არ აღიძვრება.

ანალოგიური მიზეზის გამო, სამართლებრივად შეუფასებელი დარჩა რამდენიმე კვირის წინ გორის რაიონში მომხდარი სარკინიგზო შემთხვევაც. მიუხედავად იმისა, რომ გამოკვეთილი იყო რკინიგზის თანამშრომელთა მხრიდან დაუდევრობა, რის გამოც სახელმწიფოს ათასობით ლარის ზარალის ანაზღაურება მოუხდა, აღნიშნულ ფაქტზე სისხლის სამართლის საქმე არ აღძრულა.

# გიორგი სანაიას ოჯახის წევრები სასამართლოს უნდობლობას უცხადებენ

ხათუნა ჯანგირაშვილი

**"გიორგი სანაიას მკვლელი გრიგოლ ხურცილავა არ არის. მთავარი დამნაშავეები - მკვლელი და მკვლელობის დამკვეთი - ჯერ კიდევ დაუსჯელნი არიან. სასამართლო პროცესის ჩატარებას არანაირი აზრი არ აქვს, რადგან საქმე გახსნილი არ არის. შეთითხნილი საქმის მასალების განხილვით სასამართლოზე ჭეშმარიტება არ დადგინდება,"** – აცხადებენ გიორგი სანაიას ოჯახის წევრები და სასამართლო პროცესში მონაწილეობის მიღებაზე უარს ამბობენ.

წელიწადნახევრიანი წინასწარი გამოძიების მასალები უკვე კარგა ხანია გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში დევს. დღეს მართლმსაჯულების წინაშე გიორგი სანაიას მკვლელობაში ბრალდებული გრიგოლ ხურცილავა წარდგება, რომელსაც განზრახ მკვლელობის გარდა, იარაღის უკანონოდ ტარება და ქურდობა ედება ბრალად.

**"გამოძიებას არაფერი გაუკეთებია. გაკეთდა მხოლოდ ის, რაც გიორგის მკვლელობის დამკვეთებს აწყობდათ. დამკვეთები კი ძალაუფლებას ფლობენ, მათ არ გაუჭირდებათ სასამართლოზე ზეგავლენის მოხდენა. ის, რაც გლდანი-ნაძალადევის რაიონულ სასამართლოში მოხდება გრიგოლ ხურცილავას გასამართლებისას, დადგმული სპექტაკლი და წინასწარ დაგეგმილი სანახაობა იქნება",** – აცხადებს სანაიას მეუღლე ხათუნა ჩხაიძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ გრიგოლ ხურცილავა, რომელიც მისი მეუღლის მკვლელობისთვის უნდა გაასამართლონ, არ არის ნამდვილი მკვლელი და ის პროკურატურის მიერ გამოგონილი დამნაშავეა. ამ დასკვნების გაკეთების საშუალებას სანაიას მეუღლეს, რომელიც საქმის მასალებს დეტალურად იცნობს, გარდა სხვა მტკიცებულებებისა, თავად მკვლელობაში ბრალდებულის ურთიერთგამომრიცხავი ჩვენებებიც აძლევს. ხათუნა ჩხაიძე დარწმუნებულია, რომ გიორგი სანაიას მკვლელობის დამკვეთები ხელისუფლების წარმომადგენლები არიან, რომლებმაც იცოდნენ, რომ გიორგის მათი მაკომპრომეტირებელი სერიოზული მასალები ჩაუვარდა ხელში.

**"სწორედ ამიტომ დაგეგმეს მისი მკვლელობა და სისრულეშიც უპრობლემოდ მოიყვანეს. რაც შეეხება დანაშაულის შემსრულებელს, ეჭვი მეპარება ის კიდევ იყოს ცოცხალი, რადგან, როგორც წესი, ქილერებს ხშირ შემთხვევებში მკვლელობის შემკვეთები ცოცხალს არ ტოვებენ. რაც შეეხება გრიცკოს, რომელიც საკუთარ თავზე იღებს მკვლელობას, სასამართლოზე ყველაფერს დაგეგმილი სცენარის მიხედვით იტყვის. როცა განსასჯელის სკამზე მჯდომს სურს თავი მკვლელად გამოაცხადოს, სასამართლო ვერაფერს იზამს. დარწმუნებულები რომ ვიყოთ, რომ ნამდვილად მან მოკლა გიორგი, მისთვის უმძიმეს სასჯელს მოვითხოვდით, მაგრამ ეს ყველაფერი სიცრუეა. გენერალური პროკურორის თანამდებობაზე ახლად დანიშნულმა ნუგზარ გაბრიჩიძემ თავიდანვე მოინდომა პროფესიონალის სახელის დამკვიდრება და სწორედ ამიტომ გამოაცხადა გიორგი სანაიას მკვლელობის საქმე გახსნილად;**



ხათუნა ჩხაიძე და გელა სანაია „24 საათის" რედაქციაში.

**მკვლელად კი პროკურატურამ გრიგოლ ხურცილავა შემოგვთავაზა. გამოძიება არაფერს ამბობს დაკვეთილ მკვლელობაზე, არადა, მკვლელობა სწორედ დაკვეთილია და ამის დამადასტურებელი საკმარისი მტკიცებულებები მოგვეპოვება. გამოძიების მიერ დასახელებული მკვლელობის მოტივი - ჩხუბი, ქალები – აბსურდია",** - აცხადებს ხათუნა ჩხაიძე და მოპოვებული მტკიცებულებების გაცხადებისგან, ჯერჯერობით, თავს იკავებს.

**"რაც არ უნდა ამტკიცონ, რომ გიოს მკვლელი ხურცილავაა, არ დავიჯერებთ. ამიტომაც ვუცხადებთ სასამართლო პროცესს უნდობლობას",** – ასეთია გიორგი სანაიას ძმის პოზიცია.

ერთი სიტყვით, გიორგი სანაიას ოჯახის წევრები გამოძიების მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს ეჭვით უყურებენ და პროკურატურას საქმის გაყალბებასა და მასალების შეთითხვნაში ადანაშაულებენ. მათი აზრი უცვლელია – გიორგი სანაიას მკვლელობა ხელისუფლებაში დაიგეგმა, რადგან მას კონკრეტული მალალჩინოსნების კრიმინალური საქმიანობის შესახებ გააჩნდა სერიოზული მასალები.

სანაიას მეუღლის თქმით, შეკვეთილი მკვლელობის საქმე გაიხსნება მასზე სიმართლე ითქმება მხოლოდ მაშინ, როცა ხელისუფლება შეიცვლება. " გიორგის მკვლელობაზე ჭეშმარიტება ამ ხელისუფლების ხელში ვერ დადგინდება", – ასეთია სანაიას ოჯახის წევრთა პოზიცია.

# თავდასხმა ჟურნალისტზე

გუშინ, დაახლოებით, დღის ოთხ საათზე, პარლამენტის შენობასთან თვეობით მიმდინარე აქციის მონაწილეები თავს დაესხნენ ტელეკომპანია "მეცხრე არხის" ჟურნალისტს თეა თუაშვილსა და ოპერატორ გოგიტა მაღლაკელიძეს. თავდასხმის მიზეზი მათთვის ვიდეოკამერისა და კასეტის წართმევა გახლდათ. თავდამსხმელები ოცამდე იყვნენ, მათ ჯერ დააზიანეს, შემდეგ გაიტაცეს ვიდეოკამერა; ჟურნალისტსა და ოპერატორს კი ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს. თეა თუაშვილის თქმით, ეს უკვე მეორე შემთხვევაა, როცა აქციის მონაწილეები მას თავს ესხმიან.

**"მანანა არჩვაძე-გამსახურდიას პარლამენტის თავმჯდომარის მიერ აქციის თაობაზე გაკეთებული განცხადების კომენტირება ვთხოვე. მან უხეში უარით გამომისტუმრა. მანქანისკენ წასულებს აქციის რამდენიმე მონაწილე აგვედევნა. ისინი უშვერი სიტყვებით გვლანძღავდნენ და გვაგინებდნენ. უკვე ქაშუეთთან ვიყავით მისულები, როცა ოპერატორს აქციის გადაღება ვთხოვე. სწორედ მაშინ დაგვესხნენ თავს",** - გვიამბო თეა თუაშვილმა.

დაზიანებული და გატაცებული ვიდეოკამერა მოგვიანებით უცნობმა პირებმა დააბრუნეს. მომხდარის შესახებ პოლიციასაც ეცნობა. მაგრამ, როგორც თეა თუაშვილმა გვითხრა, მიუხედავად იმისა, რომ კასეტის დაბრუნებაზე არავის უფიქრია, ის თავდამსხმელების წინააღმდეგ საჩივრის შეტანისაგან მაინც თავს იკავებს.

## მოკლედ

**თბილისი..** დღეს მთაწმინდა-კრწანისის რაიონულ სასამართლოში 3 ჩეჩენი პატიმრის სასამართლო პროცესი განახლდება. ჩეჩენ პატიმრებს 6 ადვოკატი იცავს. პროცესზე დაცვის მხარედ სახალხო დამცველი ნანა დევდარიანიც არის ჩართული.

ჰუსეინ ალხანოვი, რუსტამ ელიხაჯიევი, რუსლან გელოგაევი და მათი ადვოკატები ითხოვენ საქართველოს გენერალური პროკურატურის მიერ გასული წლის 28 ნოემბერს მიღებული გადაწყვეტილების დადგენილების გაუქმებას, რაც რუსეთში მათ ექსტრადიციას ითვალისწინებს. **კავკას-პრესი.**

■ ■ ■

**თბილისი..** სახალხო დამცველი სასამართლოს ბრძანების გარეშე ოფიცრის მიერ ჯარისკაცის ჰაუპტვახტში ჩასმას აპროტესტებს. სასამართლოს ბრძანების გარეშე (ქვეყნის კონსტიტუციიდან გამომდინარე) ადამიანის დაპატიმრების უფლება არავის აქვს. სამხედრო ნაწილის ოფიცერს, სამხედრო წესდების მიხედვით, უფლება აქვს, ჯარისკაცი ჰაუპტვახტში 3, 7 ან 10 დღის განმავლობაში ჩასვას. საქართველოს კონსტიტუცია კი ცალსახად კრძალავს ადამიანის დაპატიმრებას სასამართლოს ბრძანების ანუ სანქციის გარეშე. ამასთან დაკავშირებით, ნანა დევდარიანმა საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი უკვე შეიტანა. პირველი სასამართლო პროცესი მომავალ კვირას გაიმართება. **კავკას-პრესი**.

■ ■ ■

**თბილისი.** ქართულ-ოსური კონფლიქტის მოწესრიგების ოთხმხრივი შერეული საკონტროლო კომისიის მორიგ სხდომაზე ქართული მხარე ოსებისგან ამომწურავ ინფორმაციას მოითხოვს ვიცე-პოლკოვნიკ ზურაბ დურგლიშვილის გატაცების შესახებ.

ცხინვალში განლაგებული შერეული სამშვიდობო ძალების ქართული ბატალიონის ვიცე-პოლკოვნიკი დურგლიშვილი 2002 წლის 15 აგვისტოს გაიტაცეს სოფელ წუნარიდან და მის შესახებ დღემდე არაფერია ცნობილი. წუნარი ოსების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე მდებარეობს და ამ ფაქტის გამო, შესაბამისად, სისხლის სამართლის საქმე სამხრეთ ოსეთის სამართალდამცავმა ორგანოებმა აღძრეს. ისინი რაიმე კონკრეტული ინფორმაციის გახმაურებისგან თავს იკავებენ; თუმცა ცნობილია, რომ მათ შემთხვევის ადგილიდან ამოიღეს დურგლიშვილის უბის წიგნაკი, რომელშიც რამდენიმე საგულისხმო ჩანაწერია გაკეთებული. კერძოდ, საუბარია ძლიერ ტოქსიკურ ნივთიერებაზე - წითელ ვერცხლისწყალზე, რომლის უკანონოდ რეალიზატორებთანაც, ოსი სამართალდამცავების აზრით, დურგლიშვილს კავშირი უნდა ჰქონოდა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**თბილისი.** მცხეთა-მთიანეთის კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის სამხარეო სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს თბილისის კომპლექსური სატყეპარკო მეურნეობის გლდანის სატყეო უბნის უფროსი დავით მიქიაშვილი, რომელსაც თბილისში მცხოვრები ბესიკ უნდილაშვილის ავტომანქანით მცხეთის რაიონის სოფელ ლელუბნის ტყიდან ყალბი საბუთებით ზაჰესში გადაჰქონდა 19 ცალი წიფლის მორი. საქმეს იძიებს სამხარეო პროკურატურა. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** შსს სამეგრელო-ზემო სვანეთის ეკოლოგიური პოლიციის სამხარეო სამსახურის თანამშრომლებმა ამხილეს ზუგდიდის რაიონის სოფელ ნარაზენში მცხოვრები გიორგი თოდუა, რომელმაც სოფლის მიმდებარე ტყეში უკანონოდ მოჭრა 12,56 კუბ.მ ხე-ტყე, რითაც სახელმწიფო 439 ლარით აზარალა. საქმეს სამხარეო საგამოძიებო დეპარტამენტი იძიებს. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**შიდა ქართლი.** შიდა ქართლის შს სამხარეო სამმართველოს კორუფციასთან და ეკონომიკურ დანაშაულთან ბრძოლის განყოფილების თანამშრომლებმა დააკავეს ავტომანქანა „ყუბანი", რომლის მძღოლს, გორში მცხოვრებ 57 წლის გურამ ჭეჭელაშვილს, ყოველგვარი დოკუმენტების გარეშე და საბაჟოს გვერდის ავლით ერგნეთის ბაზრობიდან გადაჰქონდა 3.000 ლარის ღირებულების 25.920 ცალი კვერცხი და 21 ტომარა რუსული წარმოების ფქვილი. **მედია-ნიუსი.**

■ ■ ■

**ზუგდიდი.** ზუგდიდის პოლიციამ დააკავა ყაჩაღობისათვის ძებნილი, 22 წლის რომან კვანჭიანი, რომელმაც 2002 წლის 31 ოქტომბერს, სოფელ ეწერაში, ადრე დაკავებულ ბაკურ გოგიასთან ერთად, იარაღის მუქარით გაიტაცა როინ წურწუმიას კუთვნილი ავტომანქანა და 100 ლარი. დაკავებისას კვანჭიანს ჩამოართვეს გადაჭრილი ერთლულიანი თოფი ექვსი ვაზნით და უნომრო რევოლვერი. **მედია-ნიუსი.**

# თრეფიკინგთან საბრძოლველად შსს სპეციალურ ღონისძიებებს მიმართავს

*საქართველოს მოსახლეობის უმეტესობას სიტყვა "თრეფიკინგი" საერთოდაც არაფერს ეუბნება, თუმცა, იმის გამო, რომ იმავე მოსახლეობის გარკვეული ნაწილი ამ დანაშაულის მსხვერპლიც კი გამხდარა და მეტიც, საქართველოს თრეფიკინგში ფართოდ ჩართვის საშიშროება უკვე სერიოზულად არსებობს, ამერიკის იურისტთა ასოციაციის დახმარებით, შინაგან საქმეთა სამინისტროში სპეციალურად თრეფიკინგთან ბრძოლის განყოფილება შეიქმნა.*

სოფიკო ჩხაიძე

თრეფიკინგი ნიშნავს უცხო ქვეყანაში ადამიანის მოტყუებით გადაყვანას, იქ მისთვის თავისუფლების უკანონოდ აღკვეთას და მუშაობის იძულებას. სამუშაო კი სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს – თითქმის არასდროს კარგადანაზღაურებადი და სასიამოვნო.

ჩვენში განსაკუთრებით მწვავედ ქალთა და მოზარდთა თრეფიკინგი დგას. სხვათა შორის, თრეფიკინგის თემამ ქართულ ოფიციოზში პირველად სწორედ ქალთა მიმართ ძალადობის კონტექსტში გაიჟღერა, როცა 2000 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა დაამტკიცა. მალე, პრეზიდენტმავე საქართველოს პარლამენტს თრეფიკინგის შესახებ საკანონმდებლო ბაზის მომზადებისაკენ მოუწოდა, თუმცა, ამ მოწოდებას შედეგი ჯერაც არ მოჰყოლია. შესაბამისად, თრეფიკინგის წინააღმდეგ შექმნილ განყოფილებას ჯერჯერობით სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებზე დაყრდნობით მოუწევს მუშაობა. ასევე ჯერჯერობით, განყოფილებაში სულ ხუთი ადამიანი იმუშავებს. სამუშაო კი, მათ მიერვე ჩამოთვლილი ამოცანების გათვალისწინებით, ბევრი ექნებათ.

ახალშექმნილი განყოფილების ხელმძღვანელის რეზო ღლიღვაშვილის თქმით: **"გარდა იმისა, რომ ჩვენმა განყოფილებამ უნდა გამოავლინოს და აღკვეთოს თრეფიკინგის შემთხვევები, დაადგინოს პირები, რომლებიც ამზადებენ ან სჩადიან ამ დანაშაულს და აგრეთვე, დანაშაულის ირგვლივ მოიპოვოს ფაქტობრივი მონაცემები, დიდი მნიშვნელობა აქვს იმ უცხოელ კოლეგებთან ურთიერთობას, რომლებსაც თრეფიკინგთან ბრძოლის მდიდარი გამოცდილება გააჩნიათ. აგრეთვე, უნდა შეიქმნას საინფორმაციო ბანკი, რომელიც არა მარტო თრეფიკინგის შემთხვევებს აღრიცხავს, არამედ მასში შევა ინფორმაცია ქალთა მიმართ ძალადობის ფაქტების შესახებ. ასევე, უნდა შევიმუშაოთ მეძავთა აღრიცხვის სისტემა, ამასთან ტურისტული და დასაქმების სააგენტოების მონაცემთა ბაზაც".**

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად, საქართველოში არ არსებობს ოფიციალური სტატისტიკა თრეფიკინგის თაობაზე, ამ პრობლემის ირგვლივ მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის საიდუმლო სულაც არ გახლავთ, რომ თრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობა საქართველოში ერთეულებით არ შემოიფარგლება. ამასთან, ცნობილია, რომ თრეფიკერები მსხვერპლს, ძირითადად, სხვადასხვა სააგენტოების საშუალებით პოულობენ, მათ ვიზებით უზრუნველყოფას ზოგიერთი ტურისტული სააგენტო იღებს თავის თავზე, დანაპირებ ადგილზე ჩასვლის შემდეგ კი ქალებს ართმევენ პასპორტებს და უმეტეს შემთხვევებში, მეძავებად მუშაობას აიძულებენ.

**"მთელ მსოფლიოში თრეფიკინგი უკვე იქცა კრიმინალური ინდუსტრიის ერთ-ერთ წამყვან სფეროდ, - ამბობს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილე შოთა ასათიანი, - არსებობს მონაცემები, რომლის თანახმადაც, ნარკოვაჭრობაში მბრუნავი "შავი" ფულის ოდენობას თრეფიკინგის შემოსავალმა გადააჭარბა. ამ ფულით დანაშაულებრივი დაჯგუფებები ფინანსდება. სანამ საქართველოში პრობლემა ასე მძაფრად დამდგარა, რაიმე უნდა ვიღონოთ. სწორედ ამიტომ ჩამოყალიბდა სპეციალური განყოფილებაც. თუმცა, ესეც არ არის საკმარისი. თრეფიკინგის ძირითადი მკვებავი წყარო ეკონომიკური გაჭირვებაა. სწორედ ეკონომიკური გაჭირვების გამო მიმართავენ ადამიანები სხვადასხვა საეჭვო სააგენტოებს და მათ ანკესზე ეგებიან. ამის თავიდან ასაცილებლად საზოგადოებაში ახსნა-განმარტებითი მუშაობაც უნდა ჩატარდეს, რომ ხალხმა თრეფიკერებისგან თავის დაცვა შეძლოს".**

## ალქიმია




*ალქიმიკოსის ინვენტარი*

### წარმოშობა

ალქიმიურ მეცნიერებას შუასაუკუნეობრივი ევროპის კულტურაში საშუალედო ადგილი ეკავა ხელობასა და ფილოსოფიას შორის. ერთ-ერთი პირველი ალქიმიკოსი იყო **ზოსიმე პანოპოლისელი**, რომელმაც დაახლოებით 300 წლისთვის დაწერა 28 წიგნისგან შემდგარი ენციკლოპედია. ამ ნაწარმოებში ზოსიმე განიხილავს, მაგალითად, დარიშხანის ქიმიურ თვისებებს, ტყვიის აცეტატის მიღების წესს. ამ შხამიანი ნაერთის სახელწოდება "ტყვიის შაქარი" სწორედ ზოსიმეს მოგონილია.

ზოსიმეს ნაწერებში გვხვდება პირველად ტერმინი "ქიმია". ვარაუდობენ, რომ იგი წარმოიშვა ეგვიპტური სიტყვიდან "ხემი", რაც "ეგვიპტეს" ნიშნავს და კიდევ "შავს". ზოგჯერ იგივე ტერმინი გამოჰყავთ ბერძნული სიტყვიდან "ხიმა", რაც აღნიშავს ლითონების გადადნობას. ძველებრაული ლეგენდა მოგვითხრობს, რომ ნივთიერებების გადამუშავება და ერთმანეთთან შეერთება ადამიანებს დაცემულმა ანგელოსებმა ასწავლეს, რომელთაგან ერთ-ერთის სახელი იყო აზაზელი. წიგნს, რომლითაც ანგელოსები ადამიანებს ასწავლიდნენ, ერქვა "ხემა".

ერთი სიტყვით, მართალია ებრაული წარმოშობის იტალიელი მწერალი (პროფესიით ქიმიკოსი), **პრიმო ლევი**, რომელმაც თქვა, რომ მის სანუკვარ მეცნიერებას ერთობ ბნელი წარმოშობა აქვს, განსხვავებით ფიზიკისაგან, რომელიც ბროლივით გამჭვირვალე დასავლური რაციონალიზმიდან წარმოიშვა.

ალქიმია თავიდანვე იყო დაკავშირებული მეტალურგიასთან, რომელიც იდუმალებით მოცულ, ერთგვარად ეშმაკეულ ხელობად იყო აღიარებული. სხვადასხვა ხალხის ფოლკლორულ ტრადიციებში სამჭედლო ხშირადაა წარმოდგენილი ეშმაკებისა და ჭინკების თავშეყრის ადგილას, ხოლო მჭედელს ამ ბნელ ძალებზე ბატონობის განსაკუთრებული ნიჭი მიეწერება.

ქიმიური პროცესების მრავალფეროვნება ძველად ერთადერთი მიზეზით — ცეცხლოვანი სტიქიის განსაკუთრებული თვისებებით — აიხსნებოდა. ამ სტიქიის სიმბოლო იყო სალამანდრა — მითიური ხვლიკი, რომელიც ცეცხლში არ იწვის. XVIII საუკუნემდე ჩამოჰქონდათ ევროპაში აღმოსავლეთიდან ასბესტის ქსოვილები, რომლებსაც სალამანდრას ტყავად მიიჩნევდნენ.

### ალქიმიური ცოდნის წყაროები

ძირითადი ალქიმიური წიგნები ეგვიპტურ წყაროებს ეყრდნობა. მას შემდეგ, რაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე VII საუკუნეში ეგვიპტის ფარაონმა, პსამეტიქემ უცხოელებს თავის ქვეყანაში შესასვლელი გაუხსნა, ბერძნებმა ამ იდუმალი ქვეყნის შესწავლა დაიწყეს. აქედან მიიღეს მათ პრაქტიკული ინფორმაცია ლითონების დამუშავებისა და სალებავების მიღების შესახებ.

ევროპული ალქიმიური ცოდნაც ეგვიპტურს უკავშირდება და ჰერმეტული ეწოდება. ეს ტერმინი, რომელიც ჩაკეტილს ნიშნავს, მომდინარეობს მითიური პიროვნების, ჰერმეს ტრისმეგისტის, ანუ სამგზის დიდებულის სახელიდან. ამ პიროვნებას მიეწერება 42 საკრალური წიგნის ავტორობა. 36 წიგნში საუბარი იყო რელიგიურ მოძღვრებაზე და ქურუმთა შესამოსელსა თუ რიტუალის ჩატარების წესებზე. ექვსი წიგნი კი მედიცინასა და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს ეძღვნებოდა. თვით ჰერმესის სახელიც შუა საუკუნეებში მაგიურ ბგერად ითვლებოდა.

ჰერმესის დაწერილი ტექსტებიდან განსაკუთრებით ცნობილია ეგრეთ წოდებული "ზურმუხტის დაფა", რომელიც, გადმოცემის თანახმად, ავტორმა უზენაესი შთაგონებით ამოტვიფრა ალმასის ნემსით ზურმუხტის დისკოზე. ამ ტექსტშია გამოთქმული ქვეყნიერების ერთიანობისა და ნივთიერებათა ურთიერთცვალებადობის იდეები, რაც ალქიმიის ძირითად პრინციპს წარმოადგენს.

ჩვენამდე მოაღწია III საუკუნის ორმა ეგვიპტურმა ალქიმიურმა ხელნაწერმა, რომლებიც ეგვიპტეში 1828 წელს აღმოაჩინეს. ერთ-ერთ მათგანში აღწერილია ლითონების გაყალბებისა და პორფირის მიღების ტექნოლოგია, მეორეში კი მარგალიტების ხელოვნური მიღების წესები.

ძალიან განვითარდა ალქიმიური მეცნიერება ელინიზმის ეპოქაში. ამ პერიოდის ტექსტებში გვხვდება სხვადასხვა ლითონის, სოდის, შაბის, ტყვიის თეთრის, სინგურის, რკინისა და დარიშხანის ჟანგების ხსენება. ამ ნაერთთა აღსანიშნავად განსაკუთრებული სიმბოლოები გამოიყენებოდა, რაც მეცნიერული ენისათვის დამახასიათებელი ფორმალიზაციის პირველი ნაბიჯი იყო.

XV საუკუნემდე ევროპელები სულ შვიდ ლითონს იცნობდნენ: ოქროს, ვერცხლს, კალას, ტყვიას, სპილენძს, რკინასა და ვერცხლისწყალს. ამათგან ყველაზე კეთილშობილად ოქრო იყო მიჩნეული. მას ტახტზე მჯდომი მეფის სახით გამოხატავდნენ, რომლის წინაშე დაჩოქილი იყო ექვსი მსახური — დანარჩენი ლითონები. ამ უკანასკნელთა ოქროდ ქცევა შესაძლებლად იყო მიჩნეული ეგრეთ წოდებული ფილოსოფიური ქვის საშუალებით.



*ჰომუნკულუსი – ხელოვნური ადამიანი*

# ვარდისა და ჯვრის რაინდები

*არსებობენ ადამიანები, რომლებსაც პანიკურად ეშინიათ ზოგი ისტორიული მოვლენის თუ ფენომენისა. ამგვარ "სახიფათო" მოვლენათა სიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეგრეთ წოდებულ როზენკროიცერულ მოძრაობას. ვარდისა და ჯვრის მითოლოგიური საძმოს წევრებს მიიჩნევენ გარდამავალ საფეხურად ტაძრის რაინდებსა და მასონებს შორის. რელიგიურმა უნდამენტალისტებმა მათ ათასი სასიკვდილო ცოდვა დააბრალეს და არც ერთხელ არ დაუყენებიათ ეჭვის ქვეშ მათი არსებობა. დღეს ინგლისელ მკვლევარ ქალთან, **ფრანსის იეიტსთან** ერთად შევეცდებით ოდნავ ობიექტური ინფორმაცია მოგაწოდოთ როზენკროიცერთა შესახებ...*

გერმანული სიტყვა "როზენკროიცერი" წარმოქმნილია საკუთარი სახელისგან, **ქრისტიან როზენკროიცი**, ქართულად კი ითარგმნება როგორც "ვარდის ჯვარი". ამ სახელის, სიტყვის, სულიერი მოძრაობისა და მითის ისტორია იმ დროიდან დაიწყო, როცა 1614 და 1615 წელს გერმანიის ქალაქ კასელში გამოქვეყნდა ორი ლათინური ტექსტი: "ძმათადმი გამოცხადება" და "აღსარება". ორივე ამ თხზულებაში მთავარი მოქმედი პირი ვინმე მამა ქ. რ.-ა, ანუ ქრისტიან როზენკროიცი. მის შესახებ ნათქვამია, რომ ოდესღაც მან დააარსა რაღაც იდუმალი ძმობა თუ ერთობა, რომელიც ამ მანიფესტების გამოქვეყნების დღიდან თავს აღდგენილად აცხადებს.

ამ ტექსტების გამოქვეყნებამ უკვე საკმაოდ აღაგზნო საზოგადოება, მაგრამ 1616 წელს კიდევ ერთი ნაწარმოების გამოჩენამ იდუმალების ატმოსფერო კიდევ უფრო გააძლიერა. ეს მესამე წიგნი ერთგვარი ფანტასტიური, უფრო ზუსტად კი ალქიმიური რომანი აღმოჩნდა და მისი სათაური იყო "ქრისტიან როზენკროიცის ქიმიური ქორწინება". ამ ტექსტშიც წამდაუწუმ ჩნდებოდა ორი სიმბოლო: ალისფერი ვარდი და ჯვარი.

"ქიმიური ქორწინების" ავტორი ვინმე **ვალენტინ ანდრეე** აღმოჩნდა, მაგრამ ვინ იყო ეს იდუმალი ქრისტიან როზენკროიცი? ამის შესახებ იმდენი მისტიფიკაცია და მონაჭორი არსებობს, რომ გაცილებით უფრო ადვილია პასუხი კითხვაზე: ვინ იყო თვით ვალენტინ ანდრეე?

ეს პიროვნება დაიბადა გერმანიის ერთ-ერთ ისტორიულ ოლქში, ვიურტენბერგში 1586 წელს. ვიურტენბერგი ლუთერანული სახელმწიფო იყო. ანდრეეს ბაბუა თავისი დროისთვის ცნობილი ლუთერანი თეოლოგი იყო. შვილიშვილიც თავდაპირველად ლუთერანი პასტორი გახდა, მაგრამ სულ მალე აღმოაჩინა კალვინიზმისადმი მიდრეკილება. ასე თუ ისე, მისი მოუსვენარი გონება სულ მუდამ ცდილობდა რელიგიური უთანხმოებების გადაწყვეტას რაციონალურ საფუძველზე.

საგრძნობი იყო ანდრეეს ლიტერატურული ნიჭიერებაც. მის სტილზე განსაკუთრებული გავლენა მოახდინეს მოხეტიალე ინგლისელმა მსახიობებმა. საკუთარი ცხოვრებაც თვითონ აღწერა და გამოაქვეყნა. ამ წიგნიდან შევიტყობთ, რომ 1602 წელს, როცა უკვე ერთი წელი იყო, რაც ტიუბინგენის უნივერსიტეტში სწავლობდა, მან დაწერა კომედიები ბიბლიურ და მითოლოგიურ თემაზე: "ესთერი" და "გიაცინტი". ამ პერიოდს ეკუთვნის "ქიმიური ქორწინების" შექმნაც, რომელსაც თვით ავტორი ახასიათებს როგორც "გამონაგონს", "ხუმრობას", "უმნიშვნელო თხზულებას".

თავიდან ეს ტექსტი ალეგორია უნდა ყოფილიყო, სადაც ქორწინება სიმბოლურად აღნიშნავდა ალქიმიურ პროცესებს, მაგრამ 1616 წლისათვის იგი საგრძნობლად გადაკეთდა და მოერგო, ერთი მხრივ, უკვე გამოქვეყნებულ მანიფესტებს, მეორე მხრივ, — თანამედროვე ისტორიულ სიტუაციას.

ტექსტისა და მისი გამოცემის გარემოებათა ღრმა შესწავლის შედეგად შეიძლება შევამჩნიოთ, რომ "ქიმიური ქორწინების" შინაარსი და იდეური დატვირთვა ინგლისელი მისტიკოსის, დედოფალ **ელისაბედ I**-ის თანამედროვის, **ჯონ დის** გავლენას ატარებს. ამ უკანასკნელმა დაწერა ტრაქტატი "იეროგლიფური მონადა", რომელშიც ამტკიცებდა, რომ შეძლო კაბალისტური, ალქიმიური და მათემატიკური სიბრძნის შემაერთებელი ფორმულის გამოყვანა. გარდა ამისა, იგი იკვეხნიდა, რომ შეეძლო ანგელოსთა დამორჩილება განსაკუთრებული შელოცვებისა და მათემატიკური ოპერაციების საშუალებით. თავისი არსით ჯონ დი ტიპიური რენესანსული ჯადოქარი იყო, რომელიც აერთიანებდა თავისი დროის უმთავრეს მეცნიერულ მიღწევებსა და რისკიან თაღლითობას.

ჯონ დი საოცარი ავტორიტეტით სარგებლობდა ინგლისში, სანამ 1583 წელს კონტინენტზე არ გადაბარგდა და ცენტრალურ ევროპაშიც ახალი სულიერი მოძრაობების შთამაგონებელი გახდა. მაგალითად, ბოჰემიაში, იმპერატორ **რუდოლფის** კარზე, ჯონ დის არა მარტო პირველი ალქიმიკოსის თანამდებობა ეჭირა, არამედ რაღაც რელიგიური რეფორმისთვის მებრძოლი საზოგადოების მეთაურიც კი იყო.




*ვალენტინ ანდრეე*

სწორედ ჩეხიიდან შემოაღწიეს გერმანიაში ჯონ დის იდეებმა. როდესაც ჯადოქარმა 1589 წელს ჩეხიიდან იგლისისაკენ მოგზაურობისას გერმანია გადაკვეთა, მისმა გამოჩენამ ნამდვილი ფურორი გამოიწვია. დიმ გერმანიაში სწორედ ის ადგილები მოინახულა, სადაც ოცი წლის შემდეგ როზენკროიცერულმა მოძრაობამ იფეთქა.

გასაკვირი არაა, რომ ვალენტინ ანდრეე თავის ტრაქტატებს ჯონ დის მიერ გამოგონილი მონადის ნიშნით ამკობდა. ახალი დროის დასაწყისი, განსაკუთრებით კი XVI-XVII საუკუნეების მიჯნა, ევროპაში ცოდნისადმი განსაკუთრებული დამოკიდებულებით აღინიშნა. ინგლისელი ფილოსოფოსის, **ფრენსის ბეკონის** ცნობილი მაქსიმა, "ცოდნა ძალაა" სწორედ ამ ეპოქაში შეიქმნა. მეცნიერების პირველმა რეალურმა მიღწევებმა მთელს ევროპაში ეიფორიის გრძნობა დაბადა. სოციალური ორგანიზაცია კი ეკლესიურის გარდა არანაირ იდეურ ერთიანობას არ იცნობდა. ამიტომაც მეცნიერების ტრიუმფი რელიგიური რეფორმების ან ახალი სარწმუნოებრივი იდეოლოგიის შექმნას უკავშირდებოდა.

ამგვარი წამოწყება კი რეფორმისტულ თუ კონტრეფორმისტულ ევროპაში არც ისე ადვილი და უსაფრთხო იყო. სწორედ ამან გამოიწვია იდუმალების ატმოსფერო, რომელიც როზენკროიცერულ დოკუმენტებს დაჰყვებოდა.

### ქრისტიან როზენკროიცი

როზენკროიცერული დოკუმენტები, რომლებიც უკვე მოვიხსენიეთ, მითიური მოძღვრის, ქრისტიან როზენკროიცის ცხოვრების შემდეგ სურათს იძლევა:

მოძღვარი, რომელსაც ქვემოთ, უკვე დამკვიდრებული ტრადიციის თანახმად, ინიციალებით მოვიხსენიებთ, დაიბადა 1378 წელს და 106 წელი იცოცხლა. ჯერ მან აღმოსავლეთში იმოგზაურა, სადაც მეცნიერებს თითქოსდა წესად აქვთ სიბრძნის ერთმანეთისათვის გაზიარება. ამიტომ ქ. რ.-ც იგივეს ურჩევს გერმანელ მეცნიერებს. აქ, აღმოსავლეთში შეისწავლა ქ. რ.-მ კაბალა და მაგია, რაც საფუძვლად დაედო მის მოძღვრებას.

ამის შემდეგ ქ. რ. ესპანეთში გაემგზავრა, რათა იქაური მეცნიერებისათვის თავისი ცოდნა გაეხსნა. აქ მან აჩვენა თავის უმცროს კოლეგებს, "როგორ შეიძლება ეკლესიისა და მთელი ზნეობრივი ფილოსოფიის ნაკლოვანებათა გამოსწორება". მაგრამ ესპანელები ერთობ ამპარტავნები აღმოჩნდნენ და არ ისურვეს მოწაფეობა, რათა მათ უკვე დამკვიდრებულ ავტორიტეტს ბრწყინვალება არ მოკლებოდა. ტექსტი გერმანიაში იქმნებოდა, სადაც ესპანელი თავადაზნაურობის სიამაყე და ყოყოჩობა უკვე საკმაოდ მითოლოგიზირებული იყო. ასეა თუ ისე, ქ. რ. ძალიან დაღონდა, მაგრამ იმედი არ დაუკარგავს და მიხვდა, რომ ევროპაში ცოდნისა და რელიგიის ჰარმონიული შერწყმისათვის აუცილებელი იყო საიდუმლო საზოგადოების შექმნა.

ამისათვის ქ. რ. გერმანიაში დაბრუნდა და იქ სახლი ააშენა. მისი გონება ამ დროს აღსავსე იყო ახლო მომავალში მოსალოდნელი დიდი ცვლილებების წინათგრძნობით. გავიხსენოთ, რომ ტექსტი 1600-იან წლებში იწერებოდა, რეფორმაციის შემდეგ, ამ შემთხვევაში კი ადვილი იყო 220 წლით ადრე დაბადებული ადამიანისთვის წინასწარმეტყველური ნიჭის მიწერა. თავის აშენებულ სახლში ქ. რ. დიდ დროს უთმობდა ფილოსოფიურ განაზრებებსა და მათემატიკის შესწავლას. აქვე იგონებდა იგი სხვადასხვა იარაღებსა და ხელსაწყოებს. რათა საქმე უფრო სწრაფად წასულიყო, ქ. რ.-მ თავისი იდეები სამ შეგირდს გაანდო. ეს როზენკროიცერთა საიდუმლო ძმობის პირველი ბირთვი იყო, ხოლო მისი დაბადება ერთგვარ მსგავსებას ამჟღავნებს იეზუიტთა ორდენის დამაარსებლის, **ეგნატე ლოიოლას** ისტორიასთან.

ძმობის წევრთა რიცხვი თანდათანობით იზრდებოდა. მათ ააგეს შენობა, რომელსაც სულის წმიდის სახლი უწოდეს და ის იდუმალი საზოგადოების ცენტრი უნდა გამხდარიყო. გარდა ამისა, ისინი ბევრს მოგზაურობდნენ, რათა შეეძინათ და გაევრცელებინათ ცოდნა. ძმათა ერთ-ერთ მთავარ მოვალეობას სნეულთა მკურნალობა წარმოადგენდა. გარდა ამისა, ისინი ექვს განსაკუთრებულ კანონსაც ემორჩილებოდნენ. აქაც მითიური ორდენის მითიურ ისტორიაში ერთგვარი მსგავსებაა იესოს საზოგადოების წევრებთან: მათ არ უნდა აეღოთ გასამრჯელო, არ უნდა გამორჩეულიყვნენ სამოსით, არამედ ისეთივე ტანსაცმელი უნდა შეერჩიათ, როგორც იმ ქვეყნის მცხოვრებლებს, სადაც მოცემულ ჟამს იმყოფებოდნენ. წელიწადში ერთხელ ყოველი მათგანი სულის წმიდის სახლში უნდა ჩამოსულიყო საერთო შეკრებაზე.



*ინგლისელი მისტიკოსი, ჯონ დი*

საძმოს წევრთაგან პირველი ინგლისში გარდაიცვალა. მაგრამ წლების განმავლობაში საძმოს მრავალი წევრი შეუერთდა, ხოლო პირველი მანიფესტის გამოქვეყნების დღისთვის მან ახალი ძალები შეიძინა, რადგან მოწაფეებმა თავიანთი მოძღვრის სამარხი აღმოაჩინეს.

ამ სამარხის აღწერას ცენტრალური ადგილი უკავია როზენკროიცერულ დოკუმენტებში. აქ მზის შუქს არასოდეს შეუღწევია, მაგრამ იქ მუდამ სინათლეა, რადგანაც მის ჭერქვეშ ჭეშმარიტება ანათებს. სამარხის კედლებზე გეომეტრიული ფიგურებია გამოსახული, აქვე ინახება მრავალი განძი: პარაცელსის უცნობი თხზულებები, სასწაულმოქმედი ზარები, ჩაუქრობელი ლამპრები. სამარხში საოცარი გალობა ისმის. ქ. რ.-ს საფლავი საკურთხევლის ქვეშაა მოთავსებული, საკურთხეველზე კი ძმათა სახელებია ამოტვიფრული.

მითიურ როზენკროიცერთა თხზულებებში სამარხის აღმოჩენა ახალი ეტაპის დასაწყისადაა შერაცხული. ასევე მინიშნებულია აღმოჩენის თარიღი — 1604 წელი. ამ დროს **იოჰან კეპლერმა** აღწერა ახალი ვარსკვლავების გამოჩენა გველისა და გედის თანავარსკვლავედებში. დიდი ასტრონომი, რომელმაც ზუსტად აღწერა მზის სისტემის პლანეტათა მოძრაობის კანონები, ამ ვარსკვლავების გამოჩენას მოსალოდნელ რელიგიურ ცვლილებებს უკავშირებს. როგორც ვხედავთ, მეცნიერული და მისტიური ელემენტების შერწყმა იმ დროს ჯერ კიდევ ძალიან ხშირი იყო.

ორივე დოკუმენტს — "გამოცხადება" და "აღსარება" — ძალიან დიდი რეზონანსი მოჰყვა საზოგადოებაში. ბევრი ეძებდა უხილავ როზენკროიცერებს მათთან დასაკავშირებლად. მრავალი ადამიანი წერდა ღია წერილებს, მოწოდებებს, პამფლეტებს. სიტყვიერი პროდუქციის ეს ზღვა უპასუხოდ დარჩა: ძმები, თუ ისინი მართლაც არსებობდნენ, არ ჩქარობდნენ გამოჩენას. მიუხედავად როზენკროიცერების დუმილისა (არარსებული, ბუნებრივია, დუმს), მათდამი ინტერესი არ დამცხრალა, პირიქით, სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა. იდუმალება თითქოსდა კიდევ უფრო აღვივებდა მას.

დღეს, რა თქმა უნდა, სასაცილოა როზენკროიცერული ლეგენდების პირდაპირი მნიშვნელობის რწმენა, მაგრამ არავითარი საფუძველი არ არსებობს, რომ ამგვარი ძმობის თუ საიდუმლო საზოგადოების არსებობა სრულიად უარვყოთ. ერთის მტკიცება კი შესაძლებელია: უეჭველია, რომ რეალური როზენკროიცერების საზოგადოებას, თუ ის არსებობდა, თავისთავად, გაცილებით ნაკლები ისტორიული და კულტურული მნიშვნელობა ჰქონდა, ვიდრე მის ირგვლივ ატეხილ აურზაურსა და ლიტერატურული თუ მეცნიერული მისტიფიკაციების ნაკადს.

მანიფესტების დაკვირვებულ მკითხველს აუცილებლად გააოცებს წინააღმდეგობა, რომელიც შეიმჩნევა, ერთი მხრივ, რელიგიურ-ფილოსოფიური იდეების სერიოზულობასა და, მეორე მხრივ, მათი გარეგნული გაფორმების გულუბრყვილობას შორის. მაგრამ ამგვარი უცნაური შეხამება საკმაოდ გავრცელებული იყო იმ ეპოქაში. გავიხსენოთ თუნდაც ფრენსის ბეკონის დაუმთავრებელი თხზულება "ახალი ატლანტიდა", რომელშიც მეცნიერების ნამდვილი ტრიუმფი და ცოდნის ყოვლისშემძლეობის ასაღიარებელი მოწოდება სრულიად გულუბრყვილო ზღაპრის სახითაა გადმოცემული. ამ ზღაპრისათვის, რა თქმა უნდა, ჯერ კიდევ უცნობია განმანათლებლობის ხანისათვის დამახასიათებელი ირონია, რომელიც ასე აყვავდება **ვოლტერის** შემოქმედებაში, როცა XVIII საუკუნეში მეცნიერული და მისტიური საბოლოოდ დაშორდება ერთმანეთს.

როგორც ეტყობა, როზენკროიცეირული დოკუმენტები არ წარმოადგენდნენ "ჭეშმარიტებას" მათი პირდაპირი, სიტყვასიტყვითი მნიშვნელობით, მაგრამ ისინი ჭეშმარიტნი იყვნენ უფრო მაღალი აზრით. ასევე ჭეშმარიტია დანტეს "ღვთაებრივი კომედია", თუმცა მისი ავტორის მოგზაურობა თავიდან ბოლომდე გამონაგონია. როზენკროიცერული მანიფესტები თავისი დროის სიმბოლოებით გადმოცემული ალეგორიული მოწოდებაა ადამიანის სულიერი ცხოვრების განახლებისათვის.

**გაგრძელება იქნება**

ავტორები: ნოდარ ლადარია, ლეილა ბეზარაშვილი

ნომრის პერსონა

# ჯანდაცვა ყველგან ძვირია, ჩვენთან ექიმის შრომაა იაფი...



მაია ქალაგანიძე

**გიორგი მიქელაძე: დაიბადა თბილისში, დაამთავრა 24-ე საშუალო სკოლა, თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი. სწავლის პერიოდში მუშაობდა სანიტრად, ექთნად. ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მუშაობდა სურამის ტრავმატოლოგიურ საავადმყოფოში და თბილისის ტრავმატოლოგიის ინსტიტუტში. სამი წელი მაშინდელ ლენინგრადშიც დაჰყო, დისერტაციაც იქვე მოამზადა და თბილისის ტრავმატოლოგიის და ორთოპედიის ცენტრის რეაბილიტაციის განყოფილების ხელმძღვანელი გახდა.. ის ამ კლინიკაში ოჯახიდან მესამე თაობის ექიმი იყო. დედაც და ბაბუაც ოდესღაც ამ საავადმყოფოში მუშაობდნენ. ჰყავს მეუღლე - ნათელა სტურუა და 18 წლის გათხოვილი ქალიშვილი, რომელიც სამედიცინო ინსტიტუტში სწავლობს.**

*1993 წელს ბატონი გოგის პროფესიით ფილოლოგი მეუღლე ნათელა სტურუა სამუშაოდ მერილენდის უნივერსიტეტში მიიწვიეს ექვსი თვით. შემდეგ, ეს კონტრაქტი სამწლიანით შეუცვალეს და ბატონი გოგიც პირველად მაშინ მოხვდა ამერიკაში. ჩააბარა უცხოელი ექიმებისთვის აუცილებელი ყველა გამოცდა. შემდეგ - ვაშინგტონის ჯორჯთაუნის უნივერსიტეტში ზოგადი თერაპიის და როჩესტერის უნივერსიტეტში რეაბილიტაციის განყოფილებაში გაიარა რეზიდენტურები. კალიფორნიაში, სტენფორდის უნივერსიტეტში ერთი წელი ზურგის ტვინის დაზიანებებზე მუშაობდა და ოგასტის სამედიცინო კოლეჯში ტკივილის მედიცინა შეისწავლა. ეს დარგი ჩვენთვის უცხოა. ამერიკაში კი ცალკე დარგად 20-30 წელია, რაც გამოიყო.*

*ბატონი გოგი თბილისში მაისამდე დაჰყოფს. ბავშვთა ნევროლოგიისა და ნეირორეაბილიტაციის ცენტრისა და ბავშვთა რესპუბლიკური საავადმყოფოს ერთობლივი პროექტით ის მიიღებს ავადმყოფებს და რეაბილიტაციის პრობლემებზე წაიკითხავს ლექციების კურსს. როგორც მისი ქართველი კოლეგა მეგობრები ამბობენ, მისი ცოდნა დაეხმარებათ და გარდა ამისა, მათ სურთ, სხვადასხვა ქვეყნებში მომსახურე ქართველმა ექიმებმა ხანგრძლივი განშორების მიუხედავად იგრძნონ, რომ მათ ქვეყანაში ისინი სჭირდებათ.*

**- ბატონო გოგი, თქვენ გაქვთ ასეთი შეგრძნება?**

- სახელმწიფოს ვჭირდები თუ არა, ამაზე არ მიფიქრია, მაგრამ ერთს გეტყვით - ადამიანი ეგოისტია და ყველას უნდა ძლიერ ქვეყანას წარმოადგენდეს. თუ ოდნავ მაინც შევძლებ იმას, რომ საქართველო ცოტათი უკეთესი იყოს, ვიდრე არის, ბედნიერი ვიქნები.

**- თქვენ 10 წლის წინ წახვედით. ეს საქართველოსთვის მთელი ეპოქა იყო. რა ვითარება დაგხვდათ?**

- ზოგი რამ უკეთ, ზოგი - უარესად. თუმცა, ხალხი, საავადმყოფოების სახე და სხვა ძალზე განსხვავებულია იმისგან, რაც 10-12 წლის წინ იყო. რასაც ვხედავ, გაუარესებულად მეჩვენება.

**- მაგრამ, ჩვენთან ჯანდაცვის რეფორმა მიმდინარეობს. არც ავადმყოფს და არც ექიმს რეფორმა არ მოსწონს. აგერ, თქვენც ამბობთ, რომ არაფერი გაუმჯობესებულა. რა არის რეფორმის დანიშნულება?**

- თავად რეფორმას დაწვრილებით არ ვიცნობ, მაგრამ მგონია, რომ ცალკე ჯანდაცვის რეფორმის განხილვა სწორი არ იქნებოდა. ფინანსური რეფორმა მოგწონთ? განათლების? რომელიმე რეფორმა, რაც დღეს ტარდება, შეესაბამება იმას, რასაც ელის ხალხი? თუ ქვეყანაში არ არის მაღალი ეკონომიური დონე და მოსახლეობა გაჭირვებულია - როგორ შეიძლება იყოს მედიცინა კარგ დღეში, არ მესმის...

**- შტატები ის ქვეყანაა, სადაც ჯანდაცვის სისტემა მსოფლიოში პირველია. ეს გზა, ალბათ, მათაც გაიარეს..**

- ეს გზა ბევრად უფრო ადრე გაიარეს. ეკონომიკურ განვითარებას მედიცინა რაღაცნაირად ბოლოში მიჰყვება. შეიძლება მსგავსი მდგომარეობა დიდი დეპრესიის დროს, ოცდაათიან წლებში იყო ამერიკაში. მაგრამ ქვეყნის ამ ჩავარდნას არ უმოქმედია სოციალურ და პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ამიტომაც, პარალელს ვერ გავავლებ... ჩემი აზრით, ამერიკაში ცხოვრების საფუძველი სასამართლო სისტემაა. თუ ის მუშაობს, სახელმწიფოში ყველაფერი იმუშავებს.

**- იქ, ალბათ, კარგად მუშაობს ავადმყოფის უფლებების დაცვის მექანიზმი?**

- ძალიან მარტივი მექანიზმია - ყველა ადამიანი დაცული უნდა იყოს სხვა ადამიანის ზემოქმედებისგან. ეს ზოგადი სამართალია და ეს ხორციელდება.

**- შეცდომებისთვის რითი ზღავენ ექიმები?**

- დიდი ფულით. სისტემა ორმხრივია. თუ ვინმეს ფულს უხდი, იმასაც გარკვეული უფლებები აქვს შენს მიმართ. აქ უზარმაზარ თანხებზეა საუბარი.

**- რა ინდიკატორებია ექიმის პროფესიონალიზმის განსასაზღვრად?**

- უნდა აკმაყოფილებდეს ეთიკურ და პროფესიულ ნორმებს, რომელიც სამედიცინო საზოგადოებების მიერაა დაწესებული.

**- რა არის ის ძირითადი, რაც განასხვავებს ამერიკულ ჯანდაცვის სისტემას ჩვენგან?**

- პირველ რიგში - პირობები და მატერიალური ბაზა. ამერიკელი ექიმი რომ ასეთ მდგომარეობაში ჩააგდო, ის ბევრად ნაკლების გაკეთებას შესძლებს.

**- მაგრამ საქართველოში მომრავლებული ამდენი სამედიცინო სასწავლებლების ფონზე, ალბათ, განათლებისა და პროფესიონალიზმის პრობლემაც დგება.**

- მიუხედავად იმისა, რომ მოსახლეობა იზრდება, ამერიკაში 50 წელიწადია, არ შეცვლილა სამედიცინო სასწავლებლების კურსდამთავრებულთა რიცხვი. საქართველოს თუ შევადარებთ და პროცენტებში გადავიყვანთ - დაახლოებით 250 ახლადდამთავრებულ ექიმს მივიღებთ. წარმოიდგინეთ, საქართველოში წელიწადში მხოლოდ 250 ექიმმა რომ აიღოს დიპლომი...

ჩემი აზრით, ამ მომრავლებული სამედიცინო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა პრობლემა მარტივად შეიძლება გადაწყდეს. სახელმწიფომ თავი უნდა დაიცვას და თქვენ, როგორც მოქალაქეს, მოგცეთ გარანტია, რომ ექიმი, რომელიც თქვენთან მოვა, პროფესიონალი იქნება... თუ დიპლომის შემდგომი გამოცდები რეალურად ჩატარდება და იქნება რთული და წესიერი, დარწმუნებული ვარ, მაშინვე შემცირდება იმ სასწავლო დაწესებულებათა რიცხვი, რომელთა კურსდამთავრებულებიც ამ გამოცდის ჩასაბარებლად საჭირო ცოდნას ვერ გამოამჟღავნებენ.

**- თქვენ რომ აქ ჩამოხვიდეთ, ამ პირობებში როგორ იმუშავებთ?**

- ბევრ რამეს, რისი გაკეთებაც შემიძლია, ვერ გავაკეთებ. კონკრეტულად - ქრონიკული ტკივილების დროს ჩასატარებელი პროცედურები იმდენად ძვირია, რომ წარმოუდგენელია იმის აქ გაკეთება. ამერიკელი ავადმყოფები აუცილებლად მოწყდებოდნენ ნორმალურ ცხოვრებას, რომ არა იქ არსებული სამსახურები. პრაქტიკულად, ვერ ნახავთ დაზიანებული ზურგის ტვინის მქონე ისეთ ადამიანს, რომელიც საკუთარი თავის რეალიზებას ვერ ახერხებდეს.

**- რამ შეუქმნა მათ ეს გარემო?**

- სახელმწიფოს აქვს იმის საშუალება, რომ ასეთ ავადმყოფებს მოუაროს. ერთ მაგალითს მოგიყვანთ - საქართველოში ზურგის ტვინით დაზიანებულ ადამიანებს ელექტროეტლებს ვერ აჩუქებ, რადგანაც საქართველოში ვერ გამოიყენებ. ჩვენთან ასეთი ადამიანებისთვის არ არის გათვლილი არც სახლები, არც ქუჩები, არც დაწესებულებები... 30 წლის წინ ამერიკაში მიღებული იყო ინვალიდების დაცვის კანონი, სადაც ყველა სასტუმრო, რესტორანი, კინოთეატრი, ყველა დაწესებულება - უნდა აშენდეს ისე, რომ ნებისმიერი ინვალიდის მოთხოვნილება იყოს გათვალისწინებული (1993 წლიდან ეს ჩვენი კანონმდებლობითაც სავალდებულოა, მაგრამ ფულის უქონლობის გამო ძალაში არ შესულა. **რედ.**).

**- სოციალურად დაუცველი ფენები როგორ ახერხებენ ჯანმრთელობაზე ზრუნვას?**

- აშშ-ს ერთ მესამედს დაზღვევა არ აქვს და დაუცველები არ არიან. რეალურად, სამკურნალო ხარჯებს თავისი ჯიბიდან ვერავინ გადაიხდის, მაგრამ ასეც არ არის. კანონმდებლობით, არც ერთ საავადმყოფოს არ აქვს უფლება, ავადმყოფს არ აღმოუჩინოს გადაუდებელი დახმარება ან სასწრაფო, თუნდაც ძვირადღირებული ქირურგიული ოპერაცია არ გაუკეთოს იმის გამო, რომ მას არც დაზღვევა და არც ფული აქვს. 65 წელს მიღწეული ნებისმიერი ადამიანის ჯანმრთელობის დაცვის ხარჯებს მთლიანად სახელმწიფო იღებს თავზე. ასე რომ, ავადმყოფი უფულობის გამო დაუცველი არ დარჩება. დაზღვევა ტექნოლოგიების გაუმჯობესებასთან ერთად ძვირდება და ამერიკაშიც, ცხადია, ძალზე ძვირია. საავადმყოფოების უმეტესობისთვის მოგება არ არის მთავარი საზრუნავი. საბოლოო ჯამში, ადამიანი უფულობის გამო არ გარდაიცვლება.

გარდა ამისა, შტატების უმეტესობაში ყველა იმ ბავშვის ჯანმრთელობაზე, ვის მშობლებსაც საკმარისი ფული არ აქვთ, შტატი ზრუნავს...

**- მივედით იმ აზრამდე, რომ მარტო ფული არ არის საჭირო...**

- რასაკვირველია. არის კიდევ მეორე მომენტი, რაც მკვეთრად განსხვავებულია ჩვენი სისტემისგან - ადამიანის ავტონომია, ავადმყოფის პატივისცემა. ვერ წარმომიდგენია, არ ვუთხრა ავადმყოფს სიმართლე მისი ჯანმრთელობის შესახებ, რაოდენ მძიმეც უნდა იყოს დიაგნოზი... ერთის მხრივ, მესმის, რომ დიაგნოზის დამალვა ჰუმანურია, მაგრამ, მეორეს მხრივ - თუ დემოკრატიის საწყისი ადამიანი და მისი უფლებებია - ავადმყოფის მოტყუება, თუნდაც კეთილი განზრახვით, ისეთივე დარღვევაა, როგორც სხვა დანარჩენი. ამ კონტექსტში ამას აქ არავინ განიხილავს. ერთმა ექიმმა, როცა ამ თემაზე ვსაუბრობდით და ვამბობდი, რომ, იქნებ, აჯობებს გადაწყვეტილება ჩვენ, უფრო კომპეტენტურმა ადამიანებმა მივიღოთ - მითხრა - არა, რადგან საბოლოო ჯამში, არავინ იცის, რა არის სწორი და გადაწყვეტილება პაციენტის უნდა იყოსო... სწორედ ეს არის ქვაკუთხედი. დღეს ტექნიკურად შესაძლებელია, რომ ვეგეტაციურ მდგომარეობაში მყოფი ადამიანი წლების განმავლობაში აცოცხლო და თუკი ადამიანს ასეთი საფრთხე ემუქრება, ოპერაციის ან ნებისმიერი პროცედურის წინ – ეკითხებიან, სურს თუ არა, რომ სიცოცხლე ასეთ შემთხვევაშიც კი შეუნარჩუნონ. ყველა პაციენტი თავის სურვილს აწერს ხელს.

**- რა პასუხია უფრო ხშირად - სურთ თუ არა ასეთი სიცოცხლე?**

- უმეტეს შემთხვევაში, უარს ამბობენ.

კიდევ ერთ მაგალითს გიამბობთ. სულ ერთი თვის დაწყებული მქონდა მუშაობა. მორიგე ვიყავი და ექთანმა მითხრა, ავადმყოფის მეუღლეა და მისი ქმრის გამოკვლევის პასუხი აინტერესებსო. ისტორიის ასაღებად გავემართე. ერთ-ერთმა ექიმმა კი შემაჩერა - იქნებ ავადმყოფს არ სურს, მეუღლემ მისი დიაგნოზი იცოდესო... ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო, მაგრამ მიმაჩნია, რომ კონფიდენციალობა ძალზე მნიშვნელოვანია. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ავადმყოფის ჯანმრთელობის შესახებ მისი ხელმოწერის გარეშე ექიმიც კი ვერ მიიღებს ინფორმაციას.

**- სრულყოფილი სისტემა არ არსებობს. რა ნაკლს ხედავთ ჯანმრთელობის დაცვის ამერიკულ სისტემაში?**

- არამარტო ჯანდაცვის, საზოგადოების მოწყობის სისტემაზეც ვიტყვი, რომ აშშ-ში ყველაზე ნაკლებად ცუდი სისტემაა. ნებისმიერ სახლემწიფო სისტემაში დევს ძალადობის გარკვეული დოზა, მაგრამ ყველაზე ნაკლებად ეს იქ იგრძნობა. ამერიკელი ექიმები "გაფუჭებული" არიან ლაბორატორიული გამოკვლევებით.

რაც შეეხება, დადებით მომენტებს. მინდა კიდევ ერთი განსხვავება აღვნიშნო - საშუალო დონე. კორიფეები, რა თქმა უნდა, ყველგანაა და ისინი ერთეულები არიან; მაგრამ, არასდროს არ განსაზღვრავენ საერთო სურათს. საერთო ჯამში, ქირურგის პროფესიონალიზმის ერთ-ერთი მაჩვენებელი სიკვდილიანობაა. უდიდეს ქირურგს შეიძლება ეს მაჩვენებელი დიდი ჰქონდეს, რადგანაც ის ურთულეს ოპერაციებს აკეთებს... თუ ამ კუთხით შევხედავთ, ჩვენი და ამერიკელი ექიმების საშუალო დონეში უდიდესი განსხვავებაა...

იქ გარკვეული ჩარჩოებია. მაგალითად, ახალი წამლის დანერგვას 10-15 წელს უნდებიან, ინიციატივების უფლება კი არ გაქვს. პირველი კურსიდანვე თავში უდებენ სტუდენტებს, მკურნალობა ყოველთვის იაფი წამლიდან დაიწყონ და მერე გადავიდნენ ძვირზე. არაფრით არ შეიძლება, ფარმაცევტული კომპანიები, რაიმე სახით, მცირედით მაინც დაეხმარონ ექიმებს. ეს დანაშაულია. ის კი არა, ახლა ფარმაკოლოგიური ფირმების მიერ დაფინანსებული სამედიცინო კონფერენციებიც კი აღარ ტარდება, რადგან ეს მერე აუცილებლად აისახება წამლის ფასში და ამას ავადმყოფი იხდის.

**- ექიმს რა იცავს ავადმყოფისგან?**

- გაცილებით ნაკლები რამ, ვიდრე ავადმყოფს - ექიმისგან. ძალზე ხშირად მსმენია ფრაზა - ეს ქირურგი რისკიანია. ქირურგი არასოდეს არ რისკავს. რისკავს ავადმყოფი...

**- რამდენად აქტიურია ექიმის ზემდგომი ინსტანცია, ანუ ბიუროკრატიული აპარატი?**

- არავინ არის ექიმის უფროსი. ერთადერთი, რაზეც ექიმი ფიქრობს, საკუთარი საქმე და პაციენტია...

**- ექიმთა დაბალ პროფესიონალიზმს როგორ ებრძვიან?**

- მორალური და მატერიალური პასუხისმგებლობა იმდენად დიდია (ასტრონომიულ თანხებზეა საუბარი), რომ ექიმი გამუდმებით ცდილობს იმუშაოს და განვითარდეს. რა თქმა უნდა, ექიმებსაც მოსდით შეცდომები, მაგრამ ჩვენგან განსხვავებით, შეცდომები არ იმალება. ამასწინ გამოაქვეყნეს ანგარიში, სადაც სიკვდილიანობის მიზეზებს შორის სამედიცინო ხასიათის შეცდომები მეოთხე ადგილზე იყო დასახელებული გულის იშემიური დაავადებების, ინსულტისა და სიმსივნის შემდეგ. თუმცა, ეს სურათი იცვლება ხოლმე.

**- ექიმისა და ავადმყოფის ურთიერთობაში ვინ არის წამყვანი?**

- ორივეს თანაბარი ადგილი უჭირავს. საერთო ჯამში, ავადმყოფი წყვეტს ყველაფერს - ყოველი პროცედურის დანიშნულებასა და შედეგებს აცნობ და მიმაჩნია, რაც უფრო აქტიურია ავადმყოფი თავისი დაავადების ცოდნაში, მით უკეთესი შედეგებია. ეს გამოცდილებამ მიჩვენა.

**- ახლა საავადმყოფოებისა და ჯანდაცვის ობიექტების განკერძოება ხდება. თქვენი აზრით, როგორ შეიძლება ამ პროცესმა უმტკივნეულოდ ჩაიაროს?**

- ეს პროცესი უმტკივნეულოდ ვერ ჩაივლის. ნამდვილად მეცოდება ის ხალხი, ვინც ამ დაწესებულებებში მუშაობს. დღეს ამდენ საავადმყოფოსა და პოლიკლინიკას ვერც მოსახლეობა შეინახავს და ვერც სახელმწიფო.

ძალზე რთულია, მაგრამ ვინმემ თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა და გადადგას არაპოპულარული ნაბიჯები - შემცირება, დათხოვნა, ამ უამრავი სასწავლებლების დახურვა... სამწუხაროდ, ადრე თუ გვიან, ეს დღე დადგება.

**- თქვენი აზრით, ჯანდაცვა ძვირი უნდა იყოს?**

- რეალურად, ჯანდაცვა ძვირი ღირს. ჩვენთანაც ასეა - წამლებიცა და აპარატურაც შემოსულია და ძვირადღირებული. ოღონდ, ერთი განსხვავებაა - საქართველოში მხოლოდ ექიმის შრომაა იაფი.

**- იქ, სადაც თქვენ ცხოვრობთ და მუშაობთ, ექიმს ასაკი აქვს?**

- შტატებში ასაკის გამო დისკრიმინაცია კანონით ისჯება. თბილისში ხშირად მხვდება განცხადება: "სამუშაოდ მივიღებთ 20 წლამდე ასაკის, კარგი გარეგნობის ქალიშვილებს". ამ ფრაზაში სამი კანონდარღვევაა - სქესი, კარგი შესახედაობა და ასაკის მითითება.

მრავალი ეროვნების ადამიანს შევხვედრივარ და ძალზე ახლო ურთიერთობა მქონდა. აბსოლუტურად არანაირი განსხვავება სხვადასხვა კონტინენტზე მცხოვრებ ადამიანებს შორის არ არის. ამიტომაც სულ მიკვირს - რატომ ხდება ისე, რომ ერთგან ეს ერთნაირი ადამიანები ქმნიან კარგ ქვეყნებს და მეორეგან - ვერა...

**- რა არის ტკივილი?**

- ტკივილი გადარჩენის აუცილებელი კომპონენტია. ტკივილის გარეშე ვერ მიხვდავთ იმას, რაც გაწუხებთ. ასე რომ, ტკივილი საჭირო რამ არის...












B2 კულტურა B3 ანკეტა B4 სპორტი B5 სპორტი B6 განცხადებები B7 სტილი B8 სხვადასხვა

# 1:0 ცოლის სასარგებლოდ

## "უაითბრედის" ლიტერატურული კონკურსის შედეგები გამოცხადდა

თამარ სუხიშვილი

"უაითბრედის" ცნობილი ლიტერატურული კონკურსის გამარჯვებული ბოლოსდაბოლოს გაირკვა. ე.წ. "ოჯახური დავა" ცოლის სასარგებლოდ გადაწყდა. 28 იანვრის საღამოს, წლის წიგნად კლერ ტომალინის ბიოგრაფიული თხზულება "სამუელ პეიპსი" დასახელდა. "ვაითბრედის" დანარჩენი ნომინაციები ცოტა უფრო ადრე გაირკვა და პრემიები ასეთნაირად გადანაწილდა:
**რომანი:** მაიკლ ფრეინი, "ჯაშუშები"
**სადებიუტო რომანი:** ნორმან ლებრეხტი, "სახელების სიმღერა"
**პოეზია:** პოლ ფერლი, "ყინულის ხანა"
**ბიოგრაფია:** კლერ ტომალინი, "სემუელ პეიპსი: შეუდარებელი პიროვნება"
**საბავშვო წიგნი:** ჰილარი მაკკეი, "საფის ანგელოზი"

თითოეულმა გამარჯვებულმა მიიღო ფულადი პრემია 5 ათასი გირვანქა სტერლინგის ოდენობით. კრიტიკოსთა აზრით, პრემიას ყველა ფინალისტი ღირსეულად იმსახურებდა. მკითხველს აუცილებლად დააინტერესებს ფრეინის "ჯაშუშები", რომელიც ორი ყმაწვილის ამბავს გვიამბობს; ერთ-ერთი მათგანი მოულოდნელად აღმოაჩენს, რომ დედამისი გერმანელი ჯაშუშია... ორი ახალგაზრდას ისტორიაა მოთხრობილი ჟურნალისტ ნორმან ლებრეხტის რომანშიც, მისი გმირები ომის პერიოდის ლონდონში ცხოვრობენ (ლებრეხტი ლონდონის "ივნინგ სტანდარტის" რედაქტორის მოადგილეა, მისი წერილები ხელოვნებაზე ბრიტანეთში დიდი პოპულარობით სარგებლობს). არანაკლებ მიმზიდველი სიუჟეტი აქვს საბავშვო რომანს - "საფის ანგელოზი", მისი მთავარი გმირი ობოლი ბავშვია, რომელიც პაპის დანატოვარ ქვისგან გამოთლილ სათამაშოს გვერდიდან არ იშორებს. რაც შეეხება პოეტთა შორის გამარჯვებულ პოლ ფერლის – მის კრებულთან ერთად მისი ბიოგრაფიაც ძალიან საინტერესოა. ფერლი მხატვარი იყო, ის მხოლოდ 13 წლის შემდეგ მიხვდა, რომ აღარ შეეძლო საღებავის სუნის ატანა და ლექსების წერას მიჰყო ხელი...

წლის წიგნის გამოცხადებამდე განსაკუთრებულ ფაციფუცში იყო ბრიტანული მასმედია. "უაითბრედის" ისტორიაში პირველად მოხდა ასეთი ფაქტი: ერთმანეთს დაუპირისპირდა ცოლ-ქმარი – კლერ ტომალინი და მაიკლ ფრეინი. მართალია, პრესა თუ ტელევიზია განუწყვეტლივ ცდილობდა ოჯახური დაპირისპირების ფაქტორის ხაზგასმას, მაგრამ სინამდვილეში კონკურსს ტომალინ-ფრეინის ურთიერთობისთვის ხელი არ შეუშლია. პირიქით, ფრეინიც ვარაუდობდა მეუღლის გამარჯვებას და მოხარულიც კი დარჩა, როცა მისი პროგნოზი გამართლდა: "ჩვენ ცოლ-ქმარი ვართ, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ პრემია ორივეს გვეკუთვნის. ტომალინი ერთადერთი გამარჯვებულია. ჩემი აზრით, ის ერთადერთი რეალური კანდიდატი იყო, ფაქტობრივად მას მეტოქე არ ჰყოლია," – ამბობს მაიკლ ფრეინი.

კლერ ტომალინი ახლა უკვე ღიმილით იგონებს "ლიტერატურული ორთაბრძოლის" პერიოდს: "ნაცნობ-უცნობები ხშირად გვწერდნენ, იმედი გვაქვს, ორივენი მიიღებთ პრემიასო; ზოგი ასე მამხნევებდა: რა თქმა უნდა, მაიკლის გამარჯვება გამიხარდება, მაგრამ მაინც შენს მხარეზე ვარო."

"უაითბრედის" ლიტერატურული პრემია ტომალინმა პირველად 40 წლის ასაკში მიიღო, მისი პირველი ქმრის დაღუპვიდან ერთი წლის შემდეგ. კლერის მეუღლე – "სანდი ტაიმსის" კორესპონდენტი ნიკ ტომალინი ჰოლანის მაღლობის დაბომბვის დროს დაიღუპა... გავიდა დრო და კლერი "გარდიანის" ყოფილ ჟურნალისტს, ფრეინს შეხვდა. ფრეინი პოპულარული მწერალი უფრო იყო, ვიდრე პოპულარული ჟურნალისტი. ლიტერატურის მოყვარულები კარგად იცნობდნენ მის პიესებს: "გამორთული ხმაური" და "კოპენჰაგენი". კლერ ტომალინი და მაიკლ ფრეინი იმ სატირულ კლუბში შეხვდნენ ერთმანეთს, ნიკ ტომალინმა რომ დააარსა. "იმედგაცრუებული საზოგადოებრივი ურთიერთობების საზოგადოება" - ასე ერქვა კლუბს. 1993 წელს კლერი და მაიკლი დაქორწინდნენ და უკვე 10 წელია ერთად არიან.

მწერალი (პროფესიით ჟურნალისტი) კლერ ტომალინი 25 ათასი გირვანქა სტერლინგის მფლობელი გახდა, მისი "სამუელ პეიპსი" კი წლის წიგნად აღიარეს. "სამუელ პეიპსი" მე-17 საუკუნის 60-იანი წლების ლონდონის ცხოვრებაზე მოგვითხრობს, ნაწარმოების მთავარი გმირი ფლოტის ჩინოვნიკია.

"მწერალმა შესანიშნავად დაამუშავა ზღვა მასალა და ბობოქარი წლების დრამატული პანორამა შექმნა, ეს არ არის მხოლოდდამხოლოდ ისტორიული პირის დღიურები, რომანში განსაცვიფრებელი ოსტატობით არის დახატული ისტორიის ერთი მონაკვეთი," - ასე შეაფასა ტომალინის ნაწარმოები ჟიურის თავმჯდომარემ იან ჰისლოპმა, "პრაივიტ აის" რედაქტორმა.

ტომალინმა პეიპსის მესამე ბიოგრაფია შექმნა, მაგრამ ის პირველი მწერალი ქალია, რომელიც ამ თემას შეეჭიდა. "შეუდარებელი, ჰუმანური და მგრძნობიარე პორტრეტი" – ასე დაახასიათეს ნაწარმოები კრიტიკოსებმა.

"პეიპსი მთელი თავისი ცხოვრების განმავლობაში სამყაროსა და საკუთარი თავის შეცნობას ცდილობდა," – ამბობს ტომალინი. "ასეთი თვითშემეცნება დღევანდელი მოქალაქეებისთვის, განსაკუთრებით აუცილებელია," – დასძენენ ჟიურის წევრები.


ლაურეატები: ნორმან ლებრეხტი, კლერ ტომალინი, მაიკლ ფრეინი, ჰილარი მაკკეი, პოლ ფერლი
REUTERS

კლერ ტომალინს საინტერესო ბიოგრაფიული თხზულებები აქვს დაწერილი: "მერი უოლსტოუნკრაფტი", "კეტრინ მენსფილდი" და "ჯეინ ოსტინი".

წელს უაითბრედის ლიტერატურული კონკურსის დაჯილდოების ცერემონიალი ცენტრალურ ლონდონში გაიმართა. მასპინძელი, დიქტორი კირსტი იანგი ცერემონიალზე 50 ათასი გირვანქა სტერლინგის ღირებულების ბრილიანტის სამკაულით მორთული გამოცხადდა.

გასულ წელს უაითბრედის წლის წიგნად ფილიპ პულმანის "ქარვის ბინოკლი" დასახელდა. ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა წლის წიგნი საბავშვო რომანი გახდა. წლევანდელ კონკურსსაც ერთგვარად ორიგინალური ხასიათი ჰქონდა - ფინალი ოჯახურ პაექრობად გადაიქცა - პაექრობად, რომელიც, სკანდალების მაძიებელ ჟურნალისტთა საუბედუროდ, მშვიდობიანად დამთავრდა.

# პარიზში თანამედროვე ქართული საკლუბო მუსიკით დაინტერესდნენ

## "კახუჩელას" პარიზული შთაბეჭდილებები

ვერა ნეფარიძე

*ნიუ-იორკში ქართული დიასპორისთვის გამართული კონცერტის შემდეგ კახა ცისკარიძეს საქმიანი მიმოსვლა ჰქონდა პარიზში. ერთი თვის წინათ დაბრუნებული მუსიკოსი ახლა თბილისშია; ერთდროულად მუშაობს რამდენიმე - ქართულ და ევროპაში "გასატან" პროექტზე, თუმცა პარიზში წასვლას არ ჩქარობს, რადგანაც მშვიდად ელოდება პირველი შვილის დაბადებას.*

ეს სიმშვიდე პარიზული შთაბეჭდილებების დამსახურებაა. საფრანგეთში, თითქმის, ერთთვიანმა გასვლამ მუსიკოსი საკუთარ შესაძლებლობებში მეტად დაარწმუნა და, როგორც თავად გამენდო, სრულიად საფუძვლიანად გაუჩნდა იმედი, რომ მისი პროდუქციის საქართველოს საზღვრებს მიღმა გატანა რეალურად განხორციელებადია. "ჩემთვის მთვარია, რომ ვიზიტმა საკმაოდ კარგად ჩაიარა. შინაგანად დავკმაყოფილდი, როდესაც მივხვდი, რომ ჩემი გაკეთებული მასალა მისაღები და სასიამოვნო მოსასმენი ყოფილა აბსოლუტურად სხვა მენტალიტეტის ხალხისთვის; იქ, სადაც მუსიკა მაღალ დონეზეა", - პარიზული შთაბეჭდილებების შესახებ საუბარს იწყებს ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ინსტრუმენტალისტი, კახა ცისკარიძე.

ქართველი მუსიკოსი პარიზში იქაურმა ქართველმა (ამ ადამიანის ვინაობის გამხელისგან ცისკარიძე თავს იკავებს) სერიოზული პროექტების წამოსაწყებად წაიყვანა. კახა ცისკარიძე საფრანგეთში ბათუმიდან, "სპორტულ დელეგაციასთან" (ლეილა მესხი და აჭარის ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტი, დიანა აბაშიძე) ერთად გაფრინდა. პარიზული ვოიაჟის მთავარი მიზანი იყო შეხვედრები წამყვან პროდიუსერებთან და დუეტი ცნობილ პარიზელ შემსრულებელთან, რაშიდ თახასთან. თამამად შეიძლება ითქვას, რომ საფრანგეთში ქართველმა მუსიკოსმა ორივე მიზანს იოლად მიაღწია. გაიცნო პროდიუსერი, რომელმაც კახა ცისკარიძის მასალები დაიტოვა მსხვილ კომპანიებში წარსადგენად. "სერიოზული პროდიუსერია, ჩემთვის მარტო ამ ადამიანის დაინტერესებაც დიდი მიღწევა იყო. იმის მეშინოდა, საერთოდ მიუღებელი არ ყოფილიყო ჩემი შემოქმედება მათთვის, ან რომ ეპასუხათ, კარგია მაგრამ, ჰო,... მაგრამ... ის, რაც ერთ თვეში ჩემი პარიზში ყოფნისას მოხდა, გაცილებით მეტს მავალდებულებს. ახლა ძალიან ბევრი სამუშაო მაქვს და ვმუშაობ კიდეც", - მეუბნება მუსიკოსი.

ცისკარიძემ პარიზში ჩვენთვის უცნობი ნამუშევრები წარადგინა: თითო-თითო ინსტრუმენტული (ამ ნამუშევარში დუდუკზე დათო ოძელაშვილი უკრავს) და ვოკალური კომპოზიციები. ინსტრუმენტალისტმა წამყვანი პარიზის კლუბების წარმომადგენელთა დიდი ინტერესი დაიმსახურა. ქართველი მუსიკოსისთვის, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ეფექტი, რომელიც ნამუშევარმა პარიზის ახალგახსნილ კლუბ "ნირვანაში" მოახდინა. კლუბი სახელგანთქმული "ბუდა-ბარის" ავტორის, კლოდ შელის დაფუძნებულია და ბოლო დროს პოპულარობით "ბუდა-ბარსაც" გაუტოლდა. "ნირვანა" ევროპის საუკეთესო კლუბებს შორისაა, სადაც შოუ-ბიზნესის წამყვანი ევროპელი მოღვაწეები იკრიბებიან. "ჩემს გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როდესაც კლუბში ჩემი ნამუშევარი ჩართეს. როდესაც საქართველოში ამ მასალას ვამზადებდი, რატომღაც პარიზი-ლონდონისთვის მქონდა გათვლილი, "ბუდა-ბარის" ტიპის კლუბისთვის. "ნირვანაში" შემთხვევით არ ხდება, რომ ვიღაც მივიდეს და მისი მუსიკა დაუკრან და უცებ ჩემი ნამუშევარი პროგრამაში ჩართეს. მაინტერესებდა ხალხის რეაქცია. ამ კომპოზიციაში იყო ენა, რომელიც მათთვის აბსოლუტურად უცნობია, მუსიკა, რომელიც, მართალია, მსგავსი კლუბებისთვისაა გაკეთებული, მაგრამ განსხვავებულია. მოკლედ, ვნახეთ, რომ ხალხი აცეკვდა, მოვიდა დი-ჯეი, კლუბის დამფუძნებელი, თანამშრომლობის სურვილი გამოთქვეს. ეს ყველაფერი ძალიან მნიშვნელოვანია ჩემთვის, რადგანაც ვიცი, უახლოეს მომავალში, როგორც კი წავალ პარიზში, დამხვდება რამდენიმე ადამიანი, მათ შორის, ერთ-ერთი ვარსკვლავი და იოლად შევძლებ თანამედროვე ქართული მუსიკის პოპულარიზაციას", - იმედს გამოთქვამს ქართველი


კახა ცისკარიძე

პოპ-ვარსკვლავი. ცისკარიძის ვარაუდით, იგი, დაახლოებით, ოთხ თვეში უნდა წავიდეს პარიზში, სადაც უკვე მასთან კონტრაქტის გაფორმებაზე იქნება საუბარი. კონკრეტულ კონტრაქტამდე კი ცისკარიძე ხმის ჩამწერი კომპანიის დასახელებისგან თავს იკავებს.

სამაგიეროდ, კახა ამაყად საუბრობს ერთ-ერთ ყველაზე ძლიერ პარიზულ შთაბეჭდილებაზე - პარიზის ალჟირელ ვარსკვლავთან, რაშიდ თახასთან თანამშრომლობაზე. თახა საფრანგეთში პოპულარული შემსრულებელია, რომელიც ორი წელიწადია პარიზში ცხოვრობს და რვა ალბომი აქვს გამოშვებული. როგორც ჩანს, მუსიკოსის პროდიუსერებს სერიოზულად აქვთ გადაწყვეტილი მისი პოპულარიზაცია, რადგანაც ცისკარიძის პარიზში ყოფნისას, ერთი თვის განმავლობაში რაშიდ თახას გასტროლები ჰქონდა რამდენიმე მსხვილ ქალაქში. "თავიდან მეუხერხულებოდა იქაურ ვარსკვლავთან თანამშრომლობა და ვეუბნებოდი კიდეც, - თუ სურვილი არ გაქვს, არ ჩავწეროთ დუეტი მეთქი, მაგრამ თვითონ შემომთავაზა, - დემო-ვერსია მაინც ჩავწეროთო", - ამბობს ცისკარიძე. საბოლოოდ, დემო-ვერსიით თახა ძალიან კმაყოფილი დარჩა. ნამუშევრის იდეა ალჟირელ მუსიკოსს ეკუთვნის, კახუჩელა კი ქართული ტექსტისა და არანჟირების დიდი ნაწილის ავტორია; ასევე უკრავს რამდენიმე ინტსტრუმენტზე. პარიზში ამ კომპოზიციაზე ვიდეორგოლის გადაღებაც დაგეგმილია. მუსიკოსი, სხვა პროექტების პარალელურად, თბილისში ამ კომპოზიციაზეც მუშაობს.

რაც შეეხება კახა ცისკარიძის "აქაურ" გეგმებს, უახლოეს მომავალში დაგეგმილია მისი საკლუბო "ცოცხალი" პროექტი, რომელსაც კახუჩელა ახლა "ნოა-ნოასთვის" ამზადებს; გაზაფხულზე ნავარაუდევი აქვს რიგით მესამე სტუდიური ალბომის გამოშვება; ზაფხულის დასაწყისში კი გამართავს თავის პირველ სოლო-კონცერტებს თბილისსა და ბათუმში. როგორც გავიგეთ, ბათუმური კონცერტის მასშტაბები და რანგი საკმაოდ შთამბეჭდავი იქნება.

## კალენდარი

### 30 იანვარი



ვანესა რედგრეივი, ინგლისელი თეატრისა და კინოს მსახიობი, სცენარისტი და პროდიუსერი, ლონდონში დაიბადა. ლონდონის მუსიკისა და დრამის სკოლის დამთავრების შემდეგ, 1957 წელს, მისი სასცენო დებიუტი შედგა, შემდეგ კი კინოში მიიწვიეს.

მაღალი, ცისფერთვალა, დამახასიათებელი სახის ნაკვთების მქონე ქალმა განსაკუთრებული კეთილშობილებით, უმალვე მიიპყრო მაყურებლის ყურადღება. ძლიერი ნებისყოფა და დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვა ყოველ მის მიერ შექმნილ სახეში იგრძნობოდა.

ევროპული მაშტაბის მსახიობი ის მიქელანჯელო ანტონიონის მიერ ინგლისში გადაღებული ფილმის, "ბლოუ-აპის" წყალობით გახდა. ამ ფილმში რედგრეივმა ახალგაზრდა ფოტოგრაფის მაცდუნებელი იდუმალებით მოცული უცნობის როლი შეასრულა – ქალი, რომელიც მკვლელობის მსხვერპლის ფოტონეგატივების მოპარვას ცდილობს. ამ ფილმში სრულად გამოვლინდა მსახიობის დიდი პოტენციალი, რომელსაც არისტოკრატული ქცევა კიდევ უფრო ხაზგასმით წარმოაჩენდა.

შემდეგი დიდი წარმატება კანის ფესტივალზე ქალის საუკეთესო როლისთვის მიღებული ჯილდო იყო: ფილმში "აისედორა" მან თავისი გმირი, მოცეკვავე აისედორა დუნკანი, "პირველ ჰიპიდ", საზოგადოების გამომწვევ პიროვნებად წარმოაჩინა.

1977 წელს, მეორეხარისხოვანი როლის საუკეთესო შესრულებისთვის ფილმში "ჯულია", ვანესა რედგრეივს "ოსკარი" გადაეცა. მან ითამაშა არისტოკრატული ამერიკული ოჯახიდან გამოსული ქალი, რომელიც 30-იანი წლების დასაწყისში ფაშიზმთან მებრძოლთა რიგებში ჩადგა.

ამ მსახიობის მიერ შექმნილი ნებისმიერი გმირი მნიშვნელოვანი ფიგურაა. ალბათ, არც ისაა შემთხვევითი, რომ რედგრეივი არაერთგზის ასრულებდა გვირგვინოსანთა როლს.

**ვანესა რედგრეივი** 1937 წლის 30 იანვარს დაიბადა.

# ფოლკერ ნოიმანის ალტერნატიული სცენარი

## რა ბედი ელის მსოფლიოს უდიდეს წიგნის ბაზრობას

ანა კორძაია-სამადაშვილი

*წიგნის ბაზრობების დირექტორის, ფოლკერ ნოიმანის წინადადებამ, ტრადიციული ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა მიუნხენში გავმართოთო, დიდი ალიაქოთი გამოიწვია. გერმანელმა ჟურნალისტებმა მომხდარი კრაზანის ბუდის ხელყოფას შეადარეს. ნოიმანის "ალტერნატიული სცენარის" შესახებ მთელი გერმანია ალაპარაკდა.*

ფოლკერ ნოიმანი ძალიან უკმაყოფილო ყოფილა ფრანკფურტში წიგნის ბაზრობისთვის სტენდების გადასახადების ზრდითა და ბაზრობის დროს სასტუმროების არნახულად მაღალი ფასებით (იმისათვის, რომ მისი აღშფოთების საგანი უკეთ გავიგოთ, მოგახსენებთ, რომ ბაზრობის დროს აპარტამენტი 1000 ევრო ჯდება). ფასებით აღშფოთება ნოიმანმა ჯერ კიდევ მაშინ გამოთქვა, როცა ახლანდელი თანამდებობა დაიკავა - 2002 წლის სექტემბერში. "მაგრამ ამას არავინ შეუწუხებია. არც ქალაქი, არც ბაზრობა, არც სასტუმროების მფლობელები" - ჩივის ნოიმანი. "ეს ღვთის მიერ ბოძებულ რამედ ჩათვალეს, რომ ყოველწლიურად ფრანკფურტის წიგნის ბაზრობა იმართება, რომ სასტუმროები სავსეა, რესტორნები სავსეა, და რომ ბაზრობაზე სტენდისთვის საჭირო ფართობი ყველაზე მაღალ ფასებად ქირავდება. არადა, ეს სრულიად დაუშვებელია."

გასულ კვირას, მიუნხენში გამართულ გამომცემელთა შეკრებაზე, ნოიმანმა აზრი გამოთქვა - როგორც შემდეგ განმარტა, უბრალოდ დამსწრეთა რეაქცია აინტერესებდა - წიგნის ბაზრობა მიუნხენში ხომ არ გაგვემართა ხოლმეო. როცა წიგნის ბაზრობების უფროსმა ხმამაღლა გაიფიქრა მიუნხენის შესახებ, ქვეყანა, - გამოთქმას კვლავ გერმანელ ჟურნალისტებს დავესესხებით - აღშფოთების შეძახილმა შესძრა. "ნოიმანი წიხლით შესდგა ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის ათწლეულების განმავლობაში დამკვიდრებულ ტრადიციას", "წიგნების ქალაქ ფრანკფურტის იმიჯს ზიანი მიაყენეს" - გაზეთებში სიტყვა "კატასტროფამაც" კი გაიჟღერა.



ფრანკფურტი 2002

ისე, უკმაყოფილო მხოლოდ ნოიმანი როდია. წიგნის ბაზრობის მესვეურებიც აღშფოთებულან: "ჩვენ ეკონომიკური შესაძლებლობების ზღვარზე ვიმყოფებით," განაცხადა მისმა სპიკერმა, ჰოლგერ ელინგმა, "წიგნის ბაზრობას, როგორც ჩანს, მალე დროშების სამაგრების დაქირავებაც მოუწევს." თურმე მსოფლიოს უდიდეს წიგნის ბაზრობას აქამდე უფასოდ უთმობდნენ პრესისთვის განკუთვნილი დარბაზის ფართობს, 2002 წლიდან კი ეს სიამოვნება ფრანკფურტში 500 ათას ევროდ დაფასდა. ფასიანი გახდა ტრადიციული "სტუმარი ქვეყნების" საპრეზენტაციო დარბაზებიც.

წიგნის ბაზრობის წარმომადგენლებს ფრანკფურტის ბაზრობაზე დარბაზების დანაწილების პრინციპიც კი აღარ მოსწონთ: მეტისმეტად შორიშორსაა განლაგებული, ყველაფერი ახალი, მე-3 დარბაზის ირგვლივ კონცენტრირდა, მე-4 დარბაზი "სვეტების ზღვის" გამო პრობლემატურია და გამოუსადეგარი... მიუნხენში კი თურმე, ყველა დარბაზი ერთნაირია, ახლო-ახლოა და არც სვეტებითაა სავსე. "გარდა ამისა, იქაური ბაზრობისა და დიდი სასტუმროებისგან გარანტიები გვაქვს, რომ მიუნხენში საგრძნობლად უფრო იაფი პირობები გვექნება, რაც ძალიან გვაწყობს," ამბობს ელინგი. ცხადია, აწყობთ: ყველაფერ ამის წყალობით წიგნის ბაზრობას თურმე ოთხიდან ხუთ მილიონამდე ევრო დაეზოგება. სასტუმროების შეღავათიანი პირობების შესახებ უკვე წერილობითი განაცხადიც არსებობს, ფრანკფურტში კი ამაზე წამსვლელი არავინააო, ამტკიცებენ "მიუნხენის ალტერნატივის" მომხრეები.

ბაზრობის მომავალი ბედის შესახებ სასაუბროდ ორშაბათს ყველა მონაწილე მხარე შეიკრიბა - ქალაქი ფრანკფურტი, ფრანკფურტის ბაზრობის საზოგადოება და სასტუმროების გაერთიანება. მათ 1 მარტამდე გარკვეული კონცეფცია უნდა ჩამოაყალიბონ. ჯერჯერობით ყველამ ერთხმად განაცხადა, ორშაბათის საუბარი უაღრესად კონსტრუქტიული იყოო. ისე, უკვე ნათელია, რომ სასტუმროების მფლობელებსა და ბაზრობის საზოგადოებას დათმობა მოუწევთ.

თუმცა ამას ხაზს არავინ უსვამს, გადამწყვეტი მაინც გერმანიის წიგნით მოვაჭრეთა გაერთიანების ხმა იქნება. დიტერ შორმანმა, გერმანიის წიგნით მოვაჭრეთა გაერთიანების თავმჯდომარემ ბრძანა, "წიგნის ბაზრობის კლიენტები, რომლებიც უკმაყოფილო არიან, აუცილებლად უნდა დავაკმაყოფილოთ." ვნახოთ, რა მოხდება, ეს ხომ ჩვენთვისაც მნიშვნელოვანია - მოგეხსენებათ, უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენი გამომცემლებიც ფრანკფურტის წიგნის ბაზრობის მონაწილეები არიან. მათი "წიგნების ქალაქში" მოღვაწეობის შედეგია სწორედ ის, რომ ბოლო დროს საუკეთესო გამოცემების შეძენის საშუალება გვაქვს და საკუთარ თავს შეგვიძლია "წიგნიერი ხალხი" ვუწოდოთ.

# შეავსეთ ანკეტა და გამოგვიგზავნეთ

გთხოვთ, შეავსოთ გარკვევით. ბლანკი უფასოა.

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2" არ არის ვალდებული, გაცნობოთ მიიღებთ თუ არა მონაწილეობას შოუში "ხალხის პირისპირ". თქვენი შერჩევის შემთხვევაში, დაგიკავშირდებათ გადაცემის კოორდინატორი ამ ანკეტის შევსებით თქვენ ეთანხმებით შოუს "ხალხის პირისპირ" წესებსა და პირობებს.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2",
ტელევიქტორინა "ხალხის პირისპირ",
ვაჟა-ფშაველას 45, 300077 თბილისი

კონკურსანტები ტელევიქტორინისთვის "ხალხის პირისპირ" შეირჩევიან ანკეტის საფუძველზე, ამიტომ გთხოვთ, ყურადღებით შეავსოთ ანკეტა.

- სახელი და გვარი
- ოჯახური მდგომარეობა: დაქორწინებული, დაუქორწინებელი, გაყრილი, ქვრივი
- მისამართი:
- შვილები: (თუ გყავთ)
- საფოსტო ინდექსი:
- განათლება: საშუალო, უმაღლესი, ტექნიკური
- საკონტაქტო ტელეფონის ნომრები:
- პროფესია:
- ასაკი:
- სამუშაო ადგილი
- დამხმარე კატეგორია: (მიუთითეთ კატეგორია, რომელშიც კარგად ერკვევით, შეგიძლიათ აირჩიოთ ნებისმიერი. მაგალითად, საფეხბურთო კლუბი "არსენალი" ან ევროპის ქვეყნების დედაქალაქები, ან 60-იანი წლების მუსიკა, და ა.შ.)
- შინაური ცხოველები: (თუ გყავთ)

გთხოვთ, დააკრათ ახლანდელი ფოტოსურათის, სასურველია ზომით 3/4, თუ ამ ზომის ფოტოსურათი არ გაქვთ, შეგიძლიათ დააკრათ ნებისმიერი ზომის, რომელზეც მხოლოდ თქვენ ხართ გადაღებული. ფოტოსურათზე სახე გარკვევით უნდა ჩანდეს. გთხოვთ, ფოტოსურათს უკან მიაწეროთ თქვენი სახელი და გვარი.

- თქვენი ინტერესები და ჰობი:
- შეხვედრიხართ თუ არა, პირადად, ცნობილ ადამიანს? ვის, სად და როდის?
- როგორ გაატარებდით თქვენს იდეალურ დასვენების დღეს?
- გიყვართ თუ არა მოგზაურობა? (თუ გიმოგზაურიათ საქართველოს გარეთ და სად?)
- არჩევანი რომ გქონდეთ, რომელ ცნობილ ადამიანთან ისურვებდით შეხვედრას, სად წახვიდოდით მასთან ერთად და რატომ?
- რომელი სატელევიზიო გადაცემები მოგწონთ და რატომ?
- არჩევანი რომ გქონდეთ, სად წახვიდოდით სამოგზაუროდ და რატომ?
- რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი რამის შეცვლა საკუთარ გარეგნობასა ან ხასიათში, რას შეცვლიდით და რატომ?
- რომელია თქვენი საყვარელი მწერალი და საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები?
- გაქვთ თუ არა მიზანი, რომლის მიღწევაზეც ოცნებობთ?
- რომ შეგეძლოთ მხოლოდ ერთი ნატვრის ასრულება, რას ინატრებდით და რატომ?
- როგორი მუსიკა გიტაცებთ და თავად გაქვთ თუ არა მუსიკალური ნიჭი?
- მიგიღწევიათ ან გაგიკეთებიათ თუ არა ისეთი რამ, რითაც ამაყობთ?
- თქვენი აზრით, რომელ ზღაპრულ პერსონაჟს ჰგავხართ ყველაზე მეტად და რატომ?
- რა ჟანრის ფილმები მოგწონთ და რომელია თქვენი საყვარელი ფილმები?
- გაქვთ ან გქონიათ თუ არა რაიმე მეტსახელი? კონკრეტულად რა?
- ფილმი რომ გადაეღოთ თქვენზე, რომელი ცნობილი მსახიობი შეასრულებდა თქვენს როლს?
- გამოსულხართ თუ არა ტელევიზიით? (თუ კი, როდის და რა ამპლუაში?)
- გაქვთ თუ არა უჩვეულო ნიჭი? (მაგალითად, შეგიძლიათ თუ არა სტვენით ბეთჰოვენის "მთვარის სონატის" შესრულება, ან ასკინკილით მარათონული დისტანციის გავლა?)
- ყველაზე უხერხული სიტუაცია თქვენს ცხოვრებაში:
- რატომ გინდათ მიიღოთ მონაწილეობა ჩვენს თამაშში?
- უჩვეულო ან საინტერესო რამ თუ გადაგხდენიათ თავს? კერძოდ რა?
- ყველაზე ცუდი სამუშაო თქვენს ცხოვრებაში:
- დღეს რომ მოგცენ 2000 ლარი, რას გააკეთებდით?

ფეხბურთი

# შაბათამდე "ბარსელონა" ახალ მწვრთნელს წარადგენს

## კლუბი კარლოს რეშაკისა და ლორენცო სერა ფერერის იმედად რჩება

აკა ტონია

გუშინ "ბარსელონას" ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ ახალი მწვრთნელის დანიშვნის საკითხი მომავალ შაბათამდე გადაწყდება. "გადაწყვეტილება შაბათამდე უნდა მივიღოთ. ყველამ კარგად იცის, რომ ბევრი დრო არა გვაქვს. სწრაფად უნდა ვიმოქმედოთ, რათა სიტუაცია, რაც შეიძლება, მალე გამოვასწოროთ", - თქვა კლუბის გენერალურმა დირექტორმა ხავიერ პერეს ფარკილმა სპორტულ გაზეთ "Marca"-სთან საუბარში.

"ბარსელონას" მწვრთნელის კანდიდატებად უამრავ სპეციალისტს ასახელებენ. თანაც, მათი რიცხვი დღითიდღე იზრდება. პირველად იყვნენ ბერნდ შუსტერი, სეზარ ლუის მენოტი, რადომირ ანტიჩი და ალბერტო ძაკერონი. შემდეგ მათ დაემატათ რონალდ კუმანი და მარსელო პეკერმანი. უკანასკნელად კი არსენ ვენგერის გვარიც ახსენეს. კანდიდატთა სია, მართლაც, შთამბეჭდავია, მაგრამ საქმე ის არის, რომ კანდიდატთა უმეტესობას კატალონიურ კლუბში მუშაობა არ სურს. ბერნდ შუსტერმა განაცხადა, რომ თავის ახლანდელ კლუბ "ხერესში" თავს კარგად გრძნობს და "ბარსელონაში" დაბრუნებას არ აპირებს. სეზარ ლუის მენოტიმ კი, თავის უარყოფით დამოკიდებულებასთან ერთად, "ბარსელონას" მისამართით თითქმის შეურაცხმყოფელი სიტყვებიც კი თქვა. არგენტინელის აზრით, "ბარსა" უსულო გუნდია და იქ სამუშაოდ წასვლა თვითმკვლელობას უდრის. უარზეა რონალდ კუმანიც. კატალონიური კლუბის ხელმძღვანელობას ახლა უკვე არსენ ვენგერის იმედიც აღარ უნდა ჰქონდეს. ვენგერმა სულ ცოტა ხნის წინათ "არსენალთან" გააფორმა ახალი, სამწლიანი კონტრაქტი. გუშინ ფრანგმა მწვრთნელმა განაცხადა, რომ ლონდონურ კლუბთან დადებული ხელშეკრულების დარღვევას არ აპირებს. "არსენალიდან" წასვლაზე რომ მეფიქრა, ახალ კონტრაქტს არ გავაფორმებდი", - ამბობს ვენგერი. ვან გაალის გათავისუფლების შემდეგ "ბარსელონა" იტალიელ ალბერტო ძაკერონის დაუკავშირდა. თავდაპირველად ის, თითქოს, თანახმა იყო, თუმცა, როგორც ესპანური პრესა იუწყება, მხარეები პირობებზე ვერ შეთანხმდნენ და ძაკერონის კანდიდატურაც გამოირიცხა. იმასთან ერთად, რომ მწვრთნელებს "ბარსელონაში" მუშაობა არ სურთ, კლუბის პრობლემა საჭირო სახსრების უქონლობაცაა. "ბარსამ" ვან გაალს 4 მილიონი ევროს ოდენობის კომპენსაცია უნდა გადაუხადოს, ახალი სპეციალისტის დასაინტერესებლად საჭირო თანხა კი აღარ რჩება. იმის მთავარი მიზეზი, რომ ძაკერონისთან საერთო ენა ვერ გამონახეს, სწორედ ფინანსური პრობლემებია. "ბარსელონა", უბრალოდ, ვერ გასწვდა იტალიელი მწვრთნელის მოთხოვნებს.

მაშ ასე, კანდიდატთაგან მხოლოდ იუგოსლავიელი რადომირ ანტიჩი და არგენტინელი პეკერმანი დარჩნენ. მათი აზრი ჯერაც უცნობია. თუმცა, ბოლო დროს ესპანური წყაროები კანდიდატთა შორის ანტიჩის გვარს სულ უფრო იშვიათად ასახელებენ. სავარაუდოა, რომ "ბარსელონას" წინადადებით არც ეს უკანასკნელია დიდად აღფრთოვანებული. მარსელო პეკერმანი - არგენტინის 21 წლამდე ფეხბურთელთა ნაკრების მწვრთნელი. წარმატებული სპეციალისტი, რომელიც ამჟამად დაკავებულ თანამდებობაზე თავს შესანიშნავად გრძნობს. "ბარსელონას" სავარაუდო მწვრთნელთა სიაში მისი გვარი სულ ცოტა ხნის წინათ გამოჩნდა. მისი აზრი, როგორც უკვე ვთქვით, ჯერ კიდევ უცნობია.

ახალი მწვრთნელის დანიშვნამდე "ბარსელონას" კარლოს რეშაკი ავარჯიშებს – "ჩვენი კაცი" ბარსელონაში. 1988-დან 1996 წლამდე ის იოჰან კრუიფის ასისტენტი იყო. მას შემდეგ კი რამდენჯერმე ასრულებდა დროებითი მწვრთნელის მოვალეობას, ისევე როგორც გასულ წელს, ვან გაალის დანიშვნამდე. ახლა ის უკვე მეხუთედ წვრთნის "ბარსელონას". რეშაკი კლუბის "საშტატო დროებით მწვრთნელად" იქცა.

მაშ ასე, 8 თვის წინათ, ვან გაალის "ბარსელონაში" დაბრუნებამდე, კლუბს რეშაკი წვრთნიდა. რეშაკამდე კი გუნდს ლორენცო სერა ფერერი ედგა სათავეში. სწორედ მაშინ დაიწყო "დიადი ბარსას" დაღმასვლა. სწორედ ფერერით დაიწყო კრიზისი, რომელიც რეშაკის დროს კიდევ უფრო თვალსაჩინო გახდა, ხოლო ვან გაალის დაბრუნების შემდეგ პიკს მიაღწია. გუშინ არგენტინის ნაკრების მწვრთნელის, მარსელო ბიელსას სიტყვები მოვიტანე. ის ამბობს, გულშემატკივარს მოკლე მახსოვრობა აქვს, მწვრთნელის დამსახურებას მალე ივიწყებსო. ერთს დავუმატებ: საკმაოდ პატარაა "ბარსას" ხელმძღვანელთა მახსოვრობაც. ხუან გასპარს უკვე დაავიწყდა, რომ ახლანდელ კრიზისს სწორედ ფერერმა და რეშაკმა ჩაუყარეს საფუძველი.


კარლოს რეშაკი



ლორენცო სერა ფერერი

აქვე გეტყვით, თუ რაში დამჭირდა რეშაკთან ერთად ფერერის გვარის გახსენებაც: მას შემდეგ, რაც "ბარსელონას" მწვრთნელობაზე თითქმის ყველამ მტკიცე უარი განაცხადა, კლუბის ხელმძღვანელობა სერიოზულად ფიქრობს ორ "ახალ" კანდიდატზე. პირველი კარლოს რეშაკია. სავსებით შესაძლებელია, რომ "დროებითი მწვრთნელის" ნაცვლად ის "ახალ მწვრთნელად" იქცეს. ამაზე უკვე ბევრს საუბრობენ კლუბშიც და ესპანურ მედიაშიც. ამ კანდიდატურასთან დაკავშირებით "ბარსელონას" პრობლემები არ ექნება. რეშაკი კლუბის მიერ შეთავაზებულ ნებისმიერ პირობებს დათანხმდება, რადგან მას ძალიან უნდა მთავარი მწვრთნელის პოსტის დაკავება. ამის შესახებ ის საჯაროდ საუბრობს. "კარგად ვიცნობ გუნდის მოთამაშეებს, აქაურ ატმოსფეროს. მე "ბარსელონას" ფეხბურთელიც ვიყავი და მწვრთნელიც. ვითარება ნამდვილად მძიმეა, მაგრამ ჩვენ უნდა გამოვიყენოთ არსებული პოტენციალი", - განაცხადა რეშაკმა.

მეორე კანდიდატი - ალბათ, უკვე მიხვდით, თუ რატომ გამახსენდა ლორენცო სერა ფერერი... დიახ, მეორე კანდიდატი სწორედ ფერერია. საკითხისადმი თავად მწვრთნელის დამოკიდებულება ჯერ უცნობია, მაგრამ წინააღმდეგი არც ის უნდა იყოს.

როგორც ფარსილი ამბობს, შაბათამდე "ბარსელონა" ახალ მწვრთნელს წარმოგვიდგენს. შესაძლოა, ჩვენი ვარაუდები არ გამართლდეს და სრულიად მოულოდნელი კანდიდატი ვიხილოთ. შაბათიც გათენდება და ყველაფერს თავად ვნახავთ.

# ბრაზილიამ შემადგენლობა დაასახელა

მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონის, ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა, კარლოს ალბერტო პერეირამ დაასახელა იმ ფეხბურთელთა ვინაობა, რომლებიც მონაწილეობას მიიღებენ ბრაზილიისა და ჩინეთის ნაკრები გუნდების ამხანაგურ მატჩში. ეს შეხვედრა 12 თებერვალს, ჩინეთის ქალაქ გუანჩჟოუში გაიმართება.

გამოძახებულთა შორის, ჯერჯერობით, ყველა "ევროპელია":

მეკარე: დიდა ("მილანი"); მცველები: როკე ჟუნიორი ("მილანი"), ბელეტი ("ვილიარეალი"), კაფუ ("რომა"), ედმილსონი ("ლიონი"), ჟუანი (ლევერკუზენის "ბაიერი"), ჟუნიორი ("პარმა"), რობერტო კარლოსი ("რეალი"); ნახევარდაცვა: ემერსონი ("რომა"), ფლავიო კონსეისაო ("რეალი"), ჟილბერტო სილვა ("არსენალი"), ჟუნინიო პერნამბუკანო ("ლიონი"), ზე რობერტო ("ბავარია"); თავდასხმა: რონალდო ("რეალი"), რივალდო ("მილანი"), ადრიანო ("პარმა"), ამოროზო (დორტმუნდის "ბორუსია"), დენილსონი ("ბეტისი"), რონალდინიო ("პარი სენ-ჟერმენი").

ამ სიას დაემატება ბრაზილიის ჩემპიონატში მოასპარეზე რამდენიმე ფეხბურთელი. მათ გვარებს პერეირა 4 თებერვალს გამოაცხადებს.

# ფრანკო სანსის დისკვალიფიკაცია შეუმცირეს

იტალიის საფეხბურთო ლიგამ "რომას" პრეზიდენტს, ფრანკო სანსის, დისკვალიფიკაციის ვადა შეუმცირა. მის წინააღმდეგ საჯარიმო სანქციები იმის გამო შემოიღეს, რომ მან ლიგის პრეზიდენტი ადრიანო გალიანი გააკრიტიკა. გასული წლის 14 ნოემბერს იტალიური სპორტული პრესისთვის მიცემულ ინტერვიუში სანსიმ გალიანი და ლიგა დაადანაშაულა - მსაჯები "რომას" წინააღმდეგ დაგეშესო. გუშინ სააპელაციო კომისიამ სანსის დისკვალიფიკაცია გაუუქმა და უფლება მისცა, დღეიდან საკუთარი მოვალეობები შეასრულოს.

ისტორიული ფოტო

ეს იყო 21 წლის წინათ...


1982 წლის 10 ივლისი, ალიკანტე, ესპანეთი.
მსოფლიოს ჩემპიონატის მატჩი მე-3 ადგილისათვის,
საფრანგეთი - პოლონეთი (3:2).
ჟან-ფრანსუა ლარიოს და ზბიგნევ ბონიეკის დუელი.

# რომარიო ესპანეთში ბრუნდება

## "სანტანდერის" ოდესელი პრეზიდენტი პიტერმანი ბრაზილიელ ვეტერანთან მოლაპარაკებას აწარმოებს

აკა ტონია

ესპანეთის პრიმერა დივიზიონის კლუბის, სანტანდერის "რასინგის" ახლად არჩეული პრეზიდენტი და მწვრთნელი, წარმოშობით ოდესელი მილიონერი დიმიტრი პიტერმანი ბრაზილიელი ვარსკვლავის, რომარიოს შეძენით დაინტერესდა.

გასულ კვირას დიმიტრი პიტერმანმა შეისყიდა "სანტანდერის" აქციათა საკონტროლო პაკეტი, რის შემდეგაც კლუბის პრეზიდენტადაც დაინიშნა. პიტერმანმა მაშინვე დაიწყო მოლაპარაკება ბრაზილიელ თავდამსხმელთან. ორშაბათს პრეზიდენტი და რომარიო ტელეფონით ესაუბრნენ ერთმანეთს. ბრაზილიელმა განაცხადა, რომ "რასინგის" წინადადებამ ძალიან დააინტერესა და ამ კლუბში მისი გადასვლა სავსებით რეალურია.

ერთი თვის წინათ რომარიომ "ფლუმინენსესთან" გააფორმა ახალი, ერთწლიანი კონტრაქტი, თუმცა, ხელშეკრულებაში არის ერთი პუნქტი, რომელიც ფეხბურთელს სხვა კლუბში დაუბრკოლებლად გადასვლის საშუალებას აძლევს. დოკუმენტში ნათქვამია, რომ თუ რომელიმე ევროპული კლუბი რომარიოს შეძენას მოისურვებს, ფეხბურთელს უფლება აქვს, მიატოვოს "ფლუმინენსე".

რომარიოს "სანტანდერიში" შესაძლო გადასვლაზე მთელი ესპანური პრესა საუბრობს, ოდესელი დიმიტრი პიტერმანი კი ესპანური ფეხბურთის ახალ გმირად იქცა.

პიტერმანი, მართლაც, უაღრესად საინტერესო პიროვნებაა. 13 წლის იყო, როცა ოდესიდან ამერიკის შეერთებულ შტატებში გადაბარგდა. სწავლობდა ბიორკლის უნივერსიტეტში. აქტიურად ვარჯიშობდა მძლეოსნობაში - შესანიშნავი შედეგები ჰქონდა სიგრძეზე ხტომაში. იყო აშშ-ს ოლიმპიური ნაკრების კანდიდატიც. ამის შემდეგ ყოფილი ოდესელი ბიზნესით დაინტერესდა და სულ მალე გახდა მილიონერი. აშშ-დან ესპანეთში გადავიდა და უძრავი ქონების ბიზნესში გააგრძელა საქმიანობა. პრესის ყურადღების ცენტრში კი მაშინ მოექცა, როდესაც კატალონიური საფეხბურთო კლუბი "პალამოსი" შეისყიდა. პიტერმანი "პალამოსის" პრეზიდენტი იყო და გუნდის მწვრთნელის მოვალეობასაც ასრულებდა, თანაც, საკმაოდ წარმატებით. "პალამოსი" მან მესამე ლიგიდან მეორეში გადაიყვანა. ეს


რომარიო


დმიტრი პიტერმანი

კლუბი ახლაც მეორე ლიგაშია, თანაც, - ლიდერებს შორის.

პიტერმანმა იგივე გაიმეორა "რასინგშიც". გასულ კვირას, როდესაც მან სანტანდერული კლუბი შეიძინა, თავი პრეზიდენტადაც დაინიშნა და გუნდის მწვრთნელიც გახდა. მანამდე მსგავსი პრეცედენტი ესპანურ ფეხბურთში არ ყოფილა და პიტერმანი მთელი ქვეყნის ყურადღების ცენტრში მოექცა. განსაკუთრებით პოპულარული გახდა ის 26 იანვრის, "ოსასუნასთან" მატჩის შემდეგ. იმის გამო, რომ პიტერმანს მწვრთნელის ლიცენზია არა აქვს, ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ მას უფლება არ მისცა, სტადიონზე მწვრთნელის ადგილი დაეკავებინა. პიტერმანმა რეგისტრაცია გაიარა, როგორც ფოტორეპორტიორმა და "ოსასუნასა" და "რასინგის" მატჩს სწორედ ფოტორეპორტიორის რანგში ესწრებოდა. მატჩის შემდეგ კი მან თქვა სიტყვები, რომლებმაც განსაკუთრებული აღიარება მოუტანეს. "ყველა სულელს აქვს უფლება, რომ ქვეყანა მართოს, ხოლო იმისთვის, რომ საფეხბურთო გუნდს უხელმძღვანელო, საბუთებს გთხოვენ", - განაცხადა პიტერმანმა.

დავუბრუნდეთ რომარიოს. გუშინ ბრაზილიური ფეხბურთის სუპერ-ვარსკვლავი 37 წლის გახდა. ასაკის მიუხედავად, ის, ძველებურად, ჩინებულ ფორმაშია და არც ამბიციები დაუკარგავს. შარშან, დეკემბერში, კატალონიურ "ბარსელონას" სურდა მისი დაბრუნება, თუმცა, მოლაპარაკება, რატომღაც, არ შედგა.

ესპანეთში დღემდე დიდად აფასებენ რომარიოს. მისი "ბარსელონაში" თამაში ახლაც კარგად ახსოვთ. თუ პიტერმანი, მართლაც, შეძლებს რომარიოს ესპანეთში დაბრუნებას, ის ნამდვილ გმირად იქცევა. წესით და რიგით, მას პრობლემები არ უნდა შეექმნას. ფინანსური კრიზისი "რასინგს" არ შეხებია. რომარიო ხშირად იმეორებს, რომ სურს, კარიერა ევროპაში, უფრო კონკრეტულად კი, ესპანეთში დაასრულოს.

# რუსეთის ნაკრებმა კოკა-კოლას პეპსი არჩია

*31 იანვარს რუსეთის საფეხბურთო კავშირი კომპანია "ტელეკომთან" გააფორმებს ოთხწლიან ხელშეკრულებას, რის მიხედვითაც, ეს კომპანია მიმდინარე შესარჩევ ციკლში საქართველოს ნაკრების მეტოქის, რუსეთის ეროვნული გუნდის გენერალური სპონსორი გახდება. კონტრაქტის ღირებულება 10 მილიონი დოლარია. რუსეთის საფეხბურთო კავშირი სხვა სპონსორულ პოზიციებზეც გეგმავს ტენდერის გამოცხადებას.*

მიხეილ აბაიშვილი

რუსული რეალობისთვის ამ სარეკორდო თანხის - 10 მილიონი დოლარის სანაცვლოდ, რასაც რუსეთის ნაკრები ეტაპობრივად მიიღებს, კომპანია "ტელეკომი" ქვეყანაში საკუთარ სარეკლამო და მარკეტინგულ პოლიტიკას, მომდევნო ოთხ წელიწადში მხოლოდ ფეხბურთს და რუსეთის ეროვნულ გუნდს დაუკავშირებს.

არითმეტიკა ასეთია: რუსი ექსპერტების გათვლით, ოთხი წლის განმავლობაში რუსეთის ეროვნული გუნდის შენახვას (საკვალიფიკაციო ტურნირში და ფინალურ ეტაპზე მონაწილეობის, შეკრებებისა და ამხანაგური მატჩების ხარჯის გათვალისწინებით) 6-7 მილიონი დოლარი სჭირდება. დარჩენილი 3-4 მილიონი პრემიალურებზე და ახალგაზრდულ ნაკრებ გუნდებზე დაიხარჯება. ასეთი ხარჯთაღრიცხვით ევროპაში ბევრი ვერ დაიკვეხნის.

ცნობილი გახდა ისიც, რომ რუსეთის საფეხბურთო კავშირსა და ნაკრების ერთ-ერთ სპონსორს, "კოკა-კოლას" შორის სერიოზული კონფლიქტი მოხდა. კონფლიქტის მიზეზები არ სახელდება, თუმცა, მოსალოდნელია, რომ ამ ორ ორგანიზაციას შორის გაფორმებული ხელშეკრულება დაირღვევა. რუსეთის საფეხბურთო კავშირი გამაგრილებელი სასმელების კომპანიას ადანაშაულებს. ამ უწყების მიერ გავრცელებული ოფიციალური ინფორმაციით, "კოკა-კოლა" ნაკისრ ფინანსურ ვალდებულებებს პირნათლად არ ასრულებს.

საერთაშორისო პრაქტიკა ისეთია, რომ ეროვნულ გუნდს, გენერალურ სპონსორთან ერთად, 4-5 სხვა სპონსორი კომპანია აფინანსებს. რუსეთის ნაკრებს მსგავსი ურთიერთობის მრავალწლიანი გამოცდილება აკავშირებს ისეთ ტრანსნაციონალურ ფირმასთან, როგორიცაა LG. ასევე, მას წლების განმავლობაში აფინანსებს რუსული "Старый мельник". 31 იანვარს, "ტელეკომის" შემატებით, ეს დუეტი ტრიოდ გარდაიქმნება, თუმცა, რუსეთის საფეხბურთო კავშირს ამ სამეულის დაფინანსება არ აკმაყოფილებს და კვლავაც ახალი სპონსორების ძიებაშია. ამ მიზნით კავშირში რამდენიმე მიმართულებით მუშაობენ. პირველი მიმართულება საბანკო-საფინანსო სფეროა, მეორე - ნავთობის ბიზნესი, ხოლო მესამე - კომპანიები, რომლებიც სამომხმარებლო პროდუქციის შექმნით არიან დაკავებულნი. და რადგან რსკ-სა და "კოკა-კოლას" კონტრაქტი უკვე ჩაშლილად არის მიჩნეული, მოსალოდნელია, რომ კავშირის მენეჯერთა ყურადღება გადაინაცვლებს ამ კომპანიის მთავარ კონკურენტ "პეპსიკოზე". საერთო ჯამში, რუსეთის საფეხბურთო კავშირი, დაახლოებით, 5-მილიონიანი წლიური ბიუჯეტის დაფინანსების წყაროს გამოძებნას გეგმავს.

ფეხბურთი

# იორკშირული ევაკუაცია

პაატა თოთაძე

*არცთუ დიდი ხნის წინათ დაწყებული "ლიდსის" ფინანსური კრიზისი გრძელდება და თუ არ დასრულდა, გუნდი, თითქმის, ყველა წამყვანი მოთამაშის გარეშე დარჩება. ლი ბოიერისა და ოლივიე დაკურის ბედი, შესაძლოა, ახლო მომავალში ჯონათან ვუდგეიტმა და რობი ფაულერმა გაიზიარონ.*



რობი ფაულერი

დიდი ხანია, ვრცელდება ინფორმაცია რობი ფაულერის იორკშირული კლუბიდან წასვლის შესახებ. მისი მსურველი კლუბებიც დაასახელეს, თუმცა, რეალურად არაფერი მომხდარა. ფაულერი დღესაც "ლიდსის" საკუთრებად რჩება, თუმცა, ბოლო დღეებში განვითარებულმა მოვლენებმა, შესაძლოა, ყველაფერი შეცვალოს.

ფაულერის შემდგომი ნავსაყუდელი, სავარაუდოდ, "მანჩესტერ სიტი" გახდება. მას შემდეგ, რაც კევინ კიგანმა ფრანგული "ბორდოდან" პორტუგალიელი ფორვარდი, პაულეტა ვერ იყიდა, რობი ფაულერს დაადგა თვალი. უფრო სწორად, თავის პირვანდელ არჩევანს დაუბრუნდა. პაულეტამდე კიგანს სწორედ ფაულერის ყიდვა უნდოდა, მაგრამ მაშინ კლუბი და მოთამაშე ზოგიერთ საკითხზე ვერ შეთანხმდნენ. თანაც, "ლიდსის" ხელმძღვანელობასაც ფინანსური კრიზისის დაძლევისა და მოთამაშეთა შენარჩუნების იმედი ჰქონდა.

იორკშირელებმა კრიზისი ვერ დაძლიეს და ამის გამო წამყვანი მოთამაშეების გაყიდვაც განაგრძეს, რომ იქიდან შემოსული ფულით ვალები გაისტუმრონ. მოლაპარაკება "სიტისა" და "ლიდსს" შორის ორი დღის წინათ დაიწყო და გუშინ, გარკვეულწილად, დადებითად დამთავრდა. ინგლისური სააგენტოების მიერ გავრცელებული ინფორმაციით, იორკშირელები კიგანის წინადადებას დათანახმდნენ და მზად არიან, ფაულერი "სიტიში" 6,5 მილიონ გირვანქად გაუშვან.

ახლა ყველაფერი თავად ფეხბურთელზეა დამოკიდებული. საქმე ის არის, რომ ფორვარდი "ლიდსში" კვირაში 50 000 გირვანქას იღებდა გასამრჯელოდ, "სიტიში" კი მას მხოლოდ 35 000-ს სთავაზობენ. კიგანის თქმით, თუ ფაულერს "სიტიში" თამაში სურს, შეთავაზებულ წინადადებას უნდა დათანახმდეს, რასაც, ალბათ, გააკეთებს კიდეც. ასე რომ, თებერვლიდან ფაულერმა, შესაძლოა, ახალი გუნდის მაისურით დალაშქროს მეტოქეთა კარი.

ჭადრაკი

# ამჯერად - ყაიმი

ნიუ-იორკში გრძელდება გარი კასპაროვისა და კომპიუტერული პროგრამა "Deep Junior"-ის დაპირისპირება. შეგახსენებთ, რომ ამ მატჩის პირველ, 4-საათიან პარტიაში, 27-ე სვლაზე, გარი კასპაროვმა გაიმარჯვა. მეორე პარტიაში მეტოქეებმა 30 სვლა გააკეთეს და ყაიმზე შეთანხმდნენ. ანგარიში გახდა 1,5:0,5 ადამიანის სასარგებლოდ. მესამე პარტია დღეს, გვიან ღამით გაიმართება.

შავი ფიგურებით მოთამაშე კასპაროვმა სიცილიური დაცვა აირჩია. გადამწყვეტ მომენტში ინიციატივა მოიპოვა. მან მოულოდნელად ხარისხი შესწირა და, ამის ხარჯზე, უდიდესი უპირატესობა მიიღო, მაგრამ ნაჩქარევმა ქიშმა მანქანას საშუალება მისცა, დედოფლის შეწირვით ნახევარი ქულა გადაერჩინა. "არადა, უკვე ვფიქრობდი, რომ ფორსირებულად ვიგებ", - განაცხადა კასპაროვმა. სპეციალისტები ყველაზე მაღალი რეიტინგის მქონე მოჭადრაკის თამაშით აღფრთოვანებული დარჩნენ. ზოგიერთმა ამ პარტიას დაუმთავრებელი შედევრი უწოდა.

ეს პარტია შეიძლება სახელმძღვანელოში შეიტანო. ის შესანიშნავად ახდენს ადამიანის კომპიუტერთან ბრძოლის ოპტიმალური მეთოდის ილუსტრირებას. დახურულ მდგომარეობაში გარი კასპაროვი ინარჩუნებდა პოზიციას და თან ცდილობდა, თავისი ფიგურები უკეთეს პოზიციებზე განელაგებინა. შემდეგ მან შესანიშნავ სტილში შესწირა ხარისხი - ღორმუცელა მონსტრს სატყუარა გადაუგდო - და თეთრების არაკოორდინირებული დაცვის ფონზე უძლიერესი შეტევის საშუალება მიიღო. მაგრამ დასანანმა უყურადღებობამ ადამიანს საშუალება არ მისცა, თავისი სტრატეგია ლოგიკურ დასასრულამდე მიეყვანა. კომპიუტერმა, იგივე ფიგურის შეწირვით, ეტიუდური შვება იგრძნო, რაც გადარჩენისთვის საკმარისი აღმოჩნდა - ასე შეაფასეს ჭადრაკის სპეციალისტებმა გარი კასპაროვისა და კომპიუტერის მატჩის მეორე პარტია.





კასპაროვი - "Deep Junior"-ი 1.5:0.5

ჩოგბურთი

# მაიკლ ჩანგი შემოდგომაზე კარიერას დაასრულებს



მაიკლ ჩანგი

საჩოგბურთო ტურნირზე, რომელიც თებერვალში სან-ხოსეში (კალიფორნიის შტატი) გაიმართება, მაიკლ ჩანგიც მიიღებს მონაწილეობას. ამერიკელი ჩოგბურთელისთვის ეს ტურნირი არის გამოსამშვიდობებელი ტურნეს პირველი ეტაპი, რომელიც 10 ეტაპისგან შედგება. ბოლო აკორდი იქნება აშშ-ის ღია ჩემპიონატი, რომელზეც ჩანგს გულშემატკივრები კორტზე უკანასკნელად შეხვდებიან.

"მაიკლმა ჩოგბურთისთვის ბევრი გააკეთა და მიხვდა, რომ მისი საუკეთესო წლები უკვე წარსულს ჩაბარდა", - განმარტა ტომ როსმა, ჩანგის სამენეჯერო ფირმა "ოქტაგონის" წარმომადგენელმა. თუმცა, როსის სიტყვებით, "ჩოგბურთელი ფიქრობს, რომ მიმდინარე სეზონში მას კიდევ შეუძლია, რომელიმე ტურნირი მოიგოს".

მომავალი გამოსამშვიდობებელი ტურნე - ეს არის შანსი, დამსახურებისთვის საკადრისი პატივი მიეზღოს მაიკლ ჩანგს. 30 წლის სპორტსმენის აქტივშია პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის 34 ტურნირის მოგება და 19 მილიონი დოლარის ოდენობის საპრიზო თანხა.

ჩანგი 7-ჯერ იყო პროფესიონალ ჩოგბურთელთა რეიტინგის საუკეთესო ათეულში, ერთხანს კი მეორე საფეხურზეც დამკვიდრდა. 1989 წელს 17 წლის ჩანგი საფრანგეთის ღია ჩემპიონატის ყველაზე ახალგაზრდა გამარჯვებული გახდა. თუმცა, ამომავალ ვარსკვლავს წინსვლაში ხელს უშლიდა მუხლის სერიოზული ტრავმა, რომელიც 1998 წელს ინდიანა-უელსის ტურნირში მიიღო.

2000 წლიდან ჩანგს არც ერთი ტურნირი აღარ მოუგია, შარშანდელი სეზონის 13 შეჯიბრებაში კი ასპარეზობას პირველივე წრიდან გამოეთიშა. ამჟამად ჩანგი პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციის რეიტინგში 122-ე ადგილზეა, ანუ 1988 წლის შემდეგ (პროფესიონალად ჩამოყალიბების დროიდან) ყველაზე უარეს შედეგს აჩვენებს.

მძლეოსნობა

# "ვაღიარებ, იგი რეკორდსმენია"

*თანამედროვეობის ერთ-ერთი უდიდესი ვარსკვლავი, ამერიკელი მორის გრინი, რომელსაც შარშან ჩავარდნა ჰქონდა, ახალ სეზონში ახალი მწვერვალების დაპყრობას აპირებს. ვიდრე ამერიკელი მძლეოსანი სარბენ ბილიკებს დაუბრუნდებოდეს, მძლეოსნობის სამყაროში დღეს შექმნილ ვითარებასა და თავის სამომავლო გეგმებზე სასაუბროდაც მოიცალა, მით უმეტეს, რომ ჟურნალისტები მოსვენებას არ აძლევენ.*

ბიბა ბურასაშვილი

რა მნიშვნელობა აქვს, მსოფლიო რეკორდის გასწვრივ ვისი სახელი ეწერება, თუ პლანეტის უსწრაფეს მორბენლად ისევ 100 მეტრზე რბენაში მსოფლიოს ყოფილი რეკორდსმენი მორის გრინი მიიჩნევს საკუთარ თავს. გრინის ორი დღის წინანდელი განცხადებით თუ ვიმსჯელებთ, იგი აინუნშიც არ აგდებს ახლანდელი მსოფლიო რეკორდსმენის, თანამემამულე ტიმ მონტგომერის ამგვარ მიღწევას, არც ის ანაღვლებს, სამომავლოდ ვისი მეთვალყურეობით გამოიწრთობა ეს უკანასკნელი.

"მსოფლიო რეკორდები იმისთვისაა, რომ დაემხოს. ასე იყო მონტგომერის მიერ ჩემი რეკორდის დამხობის შემთხვევაშიც. მაგრამ საქმე ის არის, რომ მე უფრო სწრაფადაც შემიძლია რბენა. რაც მთავარია, ვიცი, რომ მასზე სწრაფი ვარ", - თავდაჯერებულია გრინი.

ერთი სიტყვით, წარუმატებელი 2002 წლის შემდეგ, გრინს ამბიცია და ძველი დიდების დაბრუნების სურვილი მოსძალებია. თუმცა, ყურებჩამოყრილი არც 14 სექტემბერს, პარიზში გათამაშებული გრან-პრის ფინალისას ყოფილა, როდესაც მონტგომერის სარეკორდო გარბენს ტრიბუნიდან ადევნებდა თვალყურს. მეტიც, როგორც ახლა აცხადებს, როდესაც მონტგომერმა მის მიერ 1999 წელს დამყარებული მსოფლიო რეკორდი 0.01 მეასედი წამით გააუმჯობესა, მას სიცილი წასკდომია.

"ვაღიარებ, იგი რეკორდსმენია, მაგრამ ვერ დავიჯერებ, რომ მსოფლიოში უსწრაფესი მორბენალია. როდესაც მე "პლანეტის უსწრაფესი მორბენლის" სახელი მიწოდეს, მსოფლიო ჩემპიონიც გავხდი. ახლა კი რა ხდება? მონტგომერს ჯერ არც მსოფლიო ჩემპიონობა უზეიმია, არც ოლიმპიური ჩემპიონის გვირგვინი დაუდგამს. ასე რომ, მე მას ვერ ვუწოდებ "მსოფლიოს უსწრაფეს კაცს", - საკუთარ თვალთახედვას გვამცნობს გრინი.

რაც შეეხება შარშანდელ ჩავარდნას, გრინს ამისთვის რამდენიმე საპატიო მიზეზი აქვს. სარბენ ბილიკებზე განვითარებული მოვლენების გარდა, რომელსაც იგი არ აკონკრეტებს, მის ოჯახს ახლობლებიც გამოაკლდა. ახლა კი, როგორც თავად აცხადებს, მისთვის ყველაზე მნიშვნელოვანია მსოფლიო ჩემპიონის ტიტულის ხელმეორედ დაუფლება და მსოფლიო რეკორდის დაბრუნება.

"უამრავი რამ გადავიტანე. ყველაფერი წარსულს ჩაბარდა. ახლა თავს ისე ვგრძნობ, როგორც არასდროს. წლის ამ დროის გათვალისწინებით, ბრწყინვალე ფორმაში ვარ... ვიყავი მსოფლიო რეკორდსმენი და კვლავაც ვიქნები, მაგრამ ახლა ყველაზე მნიშვნელოვანი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულია. ეს არის ის, რითაც ხალხს თავს დაამახსოვრებ", - აცხადებს გრინი.

გულშემატკივრებს კი ახსოვთ დეკემბრის მოვლენებიც, რომლებიც ისევ და ისევ ტიმ მონტგომერს უკავშირდება. "როიტერის" ფოტორეპორტიორის მიერ ტორონტოს უნივერსიტეტის მანეჟში გადაღებულმა ფოტომ, რომელზეც ტიმ მონტგომერი, მისი მეგობარი გოგონა, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი მერიონ ჯონსი და მძლეოსნობის სამყაროდან მოკვეთილი კანადელი მწვრთნელი ჩარლი ფრანსისი არიან აღბეჭდილი, მაშინ დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია, თუმცა, ეს აჟიოტაჟი არც ახლა მინავლებულა.

ფრანსისი, რომელმაც 1988 წლის სეულის ოლიმპიურ თამაშებზე საკუთარ შეგირდს, კანადელ ბენ ჯონსონს, ჩემპიონობა მსოფლიო რეკორდით მოაპოვებინა, აკრძალული პრეპარატის – სტეროიდის ხმარებაში ამხილეს. ბუნებრივია, ჯონსონს ოლიმპიური ჩემპიონის წოდება ჩამოერთვა, ხოლო მწვრთნელს, რომელიც ჯონსონს, როგორც შემდეგ გაირკვა, შეგნებულად ჭყეპდა დოპინგით, სამწვრთნელო კარიერა აეკრძალა. ეს იმას ნიშნავს, რომ ჩარლი ფრანსისთან საქმის დაჭერა ყველას ეკრძალებოდა. ამიტომაც იყო, რომ მონტგომერის ფრანსისთან ხილვამ ასეთი ხმაური გამოიწვია. ამ საქმით, ბუნებრივია, მძლეოსანთა ფედერაციების საერთაშორისო ასოციაციაც (IAAF) დაინტერესდა. ამასთან დაკავშირებით საკუთარი აზრი გამოთქვა გრინმაც: "ნაკლებად მაინტერესებს, რას აკეთებს ტიმ მონტგომერი და სულაც არ მანაღვლებს, ვისთან ვარჯიშობს. ეს ჩემი საქმე არ არის. იგი IAAF-ის გასარჩევია".

ამასობაში IAAF-ის პრეზიდენტი, ლამინ დიაკი, ტიმ მონტგომერისა და მერიონ ჯონსისგან მომხდარის გამო ახსნა-განმარტებებს ელის.

ფორმულა 1

# აირტონ სენას საქმე ბრძელდება



აირტონ სენა

იტალიის უმაღლესმა სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, განაახლოს ლეგენდარული ბრაზილიელი მრბოლის აირტონ სენას საქმე. შეგახსენებთ, რომ აირტონ სენა 1994 წელს სან-მარინოს გრან-პრიზე გარდაიცვალა. მის სიკვდილთან დაკავშირებით სასამართლომ სარჩელი აღძრა Williams-ის წინააღმდეგ. თუმცა, ამან მართლმსაჯულებას ხელჩასაჭიდი ვერაფერი მისცა. Williams-ის ტექნიკური დირექტორი პატრიკ ჰედი და ყოფილი კონსტრუქტორი ედრიან ნიუი სასამართლომ ორჯერ უკვე გაამართლა და უნებლიე მკვლელობაში ყოველგვარი ბრალდება მოუხსნა. თუმცა, სააპელაციო სასამართლომ 1997 წლის საქმის მსვლელობაში შეცდომები აღმოაჩინა, რის გამოც პატრიკ ჰედსა და ედრიან ნიუის თავიდან მოუწევთ მთელი პროცესის გავლა.

"ამას შეიძლება მხოლოდ ფორმალობისთვის ჰქონდეს მნიშვნელობა. ჩვენთვის კი არაფერი შეიცვლება. ჩვენ მშვიდად ველოდებით პროცესს, რომელიც უკვე ორჯერ მოვიგეთ. ვერ ვხედავ მიზეზს, რის გამოც შეიძლება განმეორებითი პროცესის შეგვეშინდეს", - განაცხადა Williams-ის ადვოკატმა რობერტო კაუზომ.

Williams-ის ხელმძღვანელობის წინააღმდეგ ბრალდება იმიტომ გაჩნდა, რომ, ზოგიერთი წყაროს მიხედვით, სენას დაღუპვის მიზეზი ბოლიდის ტექნიკური გაუმართაობა იყო. თუმცა, ეს სასამართლომ დღემდე ვერ დაამტკიცა.

კალათბურთი

# ჯორდანი - ვარსკვლავთა გუნდში

მაიკლ ჯორდანი "ყველა ვარსკვლავის" წლევანდელ მატჩშიც მიიღებს მონაწილეობას. ეს იქნება ჯორდანის მე-14 თამაში პლანეტის უძლიერეს კალათბურთელთა კამპანიაში. არადა, რამდენიმე დღის წინათ, ჯორდანმა, რომელიც სასტარტო ხუთეულში ვერ მოხვდა, განაცხადა, კიდევ ერთ თამაშს რამდენიმე დღით დასვენება მირჩევნიაო. ასეა თუ ისე, მწვრთნელებმა "მფრინავი მაიკლის" თამაში მიზანშეწონილად მიიჩნიეს.

სამაგიეროდ, საუკეთესოთა შორის, პირველად 1987 წლის შემდეგ, ვერ მოხვდა იუტელი კარლ მელოუნი. თუმცა, ამას კალათბურთელი დიდად არ ნაღვლობს. "მე არ ვფიქრობ, რომ ეს ბევრს ნიშნავს, - ამბობს მელოუნი, - მე "ყველა ვარსკვლავის" 14 მატჩში მივიღე მონაწილეობა. ამჯერად არ ამირჩიეს. რა გაეწყობა?" საუკეთესოთა შორის, მელოუნის გარდა, ვერ მოხვდნენ ჯერი სტეკჰაუსი და ჯეილენ როუზი.

აღმოსავლეთ კონფერენციის საბოლოო შემადგენლობა ასე გამოიყურება: ვინს კარტერი (ტორონტო), ალენ აივერსონი (ფილადელფია), ტრეისი მაკგრეიდი (ორლანდო), ჯერმეინ ო`ნილი, ბრედ მილერი (ორივე - ინდიანა), ბენ უოლესი (დეტროიტი), ილგაუსკასი (კლივლენდი), მაიკლ ჯორდანი (ვაშინგტონი), ჯეისონ კიდი (ნიუ-ჯერსი), ჯამალ მეშბერნი (ახალი ორლეანი), პოლ პირსი, ენტონი უოკერი (ორივე - ბოსტონი).

მოკლედ

**ოლიმპიზმი.** ამერიკის შეერთებული შტატების სენატმა მიიღო გადაწყვეტილება, მოახდინოს ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის რესტრუქტურიზაცია. სამშაბათს გამართულ სხდომაზე აშშ-ის ოლიმპიური კომიტეტი აღიარეს დისფუნქციურ ორგანიზაციად, რომელიც გადახალისებას მოითხოვს. სენატორ რონ უაიდენის (ორიგონის შტატი) თქმით, "აშშ-ის ეროვნულ ოლიმპიურ კომიტეტს სკანდალები ისე დასდევს, როგორც ძაღლი - ხორცით სავსე საბარგულს". კომიტეტის მოღვაწეობით უკმაყოფილონი არიან ზედა პალატის სხვა წარმომადგენლებიც.

■ ■ ■

**ჰოკეი.** "ყველა ვარსკვლავის" მოახლოებულ მატჩზე დასავლეთ კონფერენციის გუნდის კაპიტნად აირჩიეს "დალასის" ცენტრფორვარდი მაიკ მოდანო. ეს NHL-ის ვარსკვლავთა შეხვედრაში მოდანოს მეხუთე მატჩი იქნება, მაგრამ სასტარტო ხუთეულში პირველად გამოჩნდება. პირველ ხუთეულში მოდანოს დაეხმარება მისი თანაგუნდელი, დალასელი ბილ ერინი, ხოლო მეკარე მარტი ტურკო დასავლეთის გუნდის სათადარიგო გოლკიპერი იქნება. მოდანოს თქმით, მისთვის დიდი პატივია მოედანზე კაპიტნის სამკლაურით გამოჩენა, "მაგრამ განსაკუთრებით სასიამოვნოა ის, რომ გუნდში ჩემი ორი თანაკლუბელი ითამაშებს", - განაცხადა მოდანომ.

კალენდარი

## 30 იანვარი



ბორის სპასკი

1930 - დაიბადა ნიკოლაი პუჩკოვი. საბჭოთა ჰოკეისტი, მეკარე. 1954 და 1956 წლების ოლიმპიური ჩემპიონი. პირველი საბჭოთა ჰოკეისტი, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატის საუკეთესო მეკარედ იქნა აღიარებული (1959 წელს).

1937 - დაიბადა ბორის სპასკი. ცნობილი საბჭოთა მოჭადრაკე. მსოფლიოს მე-10 ჩემპიონი.

1952 - დაიბადა ვიქტორ კრატასიუკი. 1972 წლის ოლიმპიური ჩემპიონი 2-ადგილიანი ბაიდარებით ნიჩბოსნობაში.



მეუღლე ნანა ლეჟავა, შვილები გიგა, მაკა, მამუკა, ძმა შოთა, რძალი დოდო მაცაბერიძე, სიძე ლაშა ამირეჯიბი, რძლები ნინო საყვარელიძე, ირმა იოსელიანი, შვილიშვილები თიკო, სიმონიკო, ნიკოლოზი, მარიამი, ძმისშვილები ნიკა, ხათუნა, მძახლები ჭაბუა ამირეჯიბი, თემურ საყვარელიძე, მარინა ხეიძე, ლეილა ხუსკივაძე, თამარ ჯავახიშვილი, ცოლისძმა გურამ ლეჟავა ოჯახით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**კონსტანტინე (კოტე) სიმონის ძე ჩხეიძე**

პანაშვიდი 30, 31 იანვარს 16 სთ-ზე
გამოსვენება 1 თებერვალს 14 სთ-ზე
მის: ჯანაშვილის ქ. 3

გაზეთი 24 საათი

უფასო განცხადებების კუპონი

30.01.03 N-28

## ბინები

### იყიდება

იყიდება ერთი ოთახი ალმაშენებლის 82-ში იტალიურ ეზოში I სართულზე, გამოდგება საოფისედ,. ფას: 5600$. ტელ: 34-06-65, 34-85-40, 899 266 221.

იყიდება ბუდაპეშტის ქ. 10-ში 2-ოთახიანი ბინა ლოჯით, რემონტით, მე-5 სართ. ფასი 18 000. ტელ: 899 901729

იყიდება 2-ოთახიანი, ლოჯიანი, არასტანდარტული ბინა საბურთალოზე, ტაშკენტის ქუჩაზე 4/4 სართულზე. ფასი 17 000$. ტელ: 23-18-79.

შევიძენ ოროთახიან ბინას განვადებით. 77 73 54 (22 სთ-ის შემდეგ)

იყიდება ერთოთახიანი ბინა ბულაჩაურის ქუჩაზე, 25 კვ.მ. II სართული. 37 17 83

სასწრაფოდ იყიდება კარგად გარემონტებული 5-ოთახიანი ბინა ვაკეში, II-III სართული. ფასი 75 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება გარემონტებული სამოთახიანი ბინა ა/ფარეხით ფალიაშვილის ქუჩაზე. მე-2 სართული. ს/ფასი 50 000. 8(99) 51 58 54

სასწრაფოდ იყიდება სამოთახიანი ბინა ახალ კორპუსში რუსთაველზე, I სკოლასთან. 50 000. 8(99) 51 58 54

## მიწის ნაკვეთი

სასწრაფოდ, იაფად და განვადებით იყიდება 2700 კვ.მ. მიწის ნაკვეთი 2-სართულიანი სახლის კარკასით. ს.ფ. 3200 $. 39 68 63 რამაზი, 8(93) 35 88 31, 79 43 17 ავთო (საღამოს), 8(93) 36 37 23 თამაზი

იყიდება ბაზალეთის ტბის პირას საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი შეთანხმებით. ტელ: 95-52-92.

## კომერც. ფართი

ქირავდება გრიბოედოვზე ქუჩისპირა სარდაფი საკომერციოდ ან დაწყობად. 98-86-01.

## ბინები

### ქირა, გირაო

**ქირავდება!**

სახლი აღმაშენებლის გამზ. №151 (24-ე სკოლასთან); ევრორემონტით. საერთო ფართი 200 კვ.მ. 6 ოთახი, 2 სველი წერტილით, ტელეფონით, გათბობით, ცხელი წყლით. 2 შესასვლელით. II სართული. გამოდგება საოფისედ.

ტელ: 37-28-77;
93-16-11; 899 539097

**სასწრაფოდ!** ქირავდება ფართი საოფისედ მეტრო "რუსთაველის " უკან, "მაგდონალდსის" ეზოში, 120 კვ.მ, I სართ., მუდმივი დენი, ბ/ა. გარემონტებული. ფასი: 400$.

ტელ: 31-41-91 ნუგზარი. 899 974212.

ქირავდება საოფისედ გრიბოედოვზე, ბელეტაჟზე ოროთახნახევრიანი იზოლირებული პარკეტიანი, კაფელიანი ბინა. 98 86 01

## მანქანები

სასწრაფოდ! იყიდება მაღალი კლასის ავტომანქანა "ჰუნდაი სონატა" სრული ელპაკეტით (ტყავის სალონით) 1995წ. 877 44 45 13

ვიყიდი ავარიულ ოპელს „VECTRA“ ან „OMEGA“. 8(99) 53 57 51

## სწავლება

შევასწავლი გერმანულ ენას. 32 03 71, 8(99) 29 88 05

ინგლისში სტაჟირებული პედაგოგი შეგასწავლით ინგლისურ ენას თქვენი მიზნების გათვალისწინებით. აგრეთვე, მიიღებთ კონსულტაციებს დიდ ბრიტანეთში სწავლა-განათლების შესახებ. ტელ: 95-20-34, 96-64-12

მოვამზადებ ფიზიკა-მათემატიკაში სკოლის მოსწავლეებს, აბიტურიენტებს, მოსამზადებლის სტუდენტებს. 38 44 43 საღამოს, 61 29 76

## სხვადასხვა

სალონ „იმიჯს“ ესაჭიროება მანიკურის სპეციალისტი და კოსმეტოლოგები. ასევე სტილისტები აიყვანენ მოსწავლეებს. 25 26 87

ნათელმხილველი შეგილოცავთ თვალს, გაგიხსნით ბარაქას, მოგიხსნით ჯადოს, გიწინასწარმეტყველებთ და დაგეხმარებათ პრობლემების მოგვარებაში. 94 11 62

შევიძენ „ვიატკას“ ნებისმიერ მდგომარეობაში. 61 20 65

ვეძებ სპონსორს კერძო საბავშვო ბაღის პანსიონისთვის. 75 15 04

ვისესხებ თანხას ბინის და ავტომანქანის მყარი გარანტიით. 37 96 46

ყურადღება! სამუდამოდ გაგათავისუფლებთ ჭარბთმიანობისგან. ვარჩენთ ნებისმიერი სირთულის თმას. 1 საათი – 12 ლარი. ტ. 93-19-52, 899 168 168 ნინო

იყიდება ბილიარდები: რუსული, კარამბოლი და პული. 34 84 85, 8(77) 42 50 82

ვთარგმნი გერმანულიდან, ინგლისურიდან, რუსულიდან სამედიცინო და ნებისმიერი სირთულის ტექსტს. 75 53 55

ფირმების რეგისტრაცია უმოკლეს ვადაში.
96-17-35
899 16 11 03

# აფიშა

## თეატრები

**რეზო გაბრიაძის თეატრ-სტუდია**

ყოველ პარასკევს, შაბათს და კვირას გაიმართება სპექტაკლი "ჩემი გაზაფხულის შემოდგომა"
დას: 19.00. ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში 11 - 16 სთ-მდე. (შავთელის ქ. №13). ტელ: 98-65-90, 98-65-93.

**მარჯანიშვილის თეატრი**

"სასიყვარულო ბარათები", რეჟ: თემურ ჩხეიძე, მთავარ როლებში: გია ბურჯანაძე, ნანი ჩიქვინიძე
დას: 18: 00 სთ; ფასი 3-5 ლარი

**ერთი მსახიობის თეატრი „ვერიკო„**

"ხმა იდუმალი", რეჟ. თემურ შავლაძე, მთავარ როლში ელდინო სალარაძე
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი

**თავისუფალი თეატრი**

"ჭინსების თაობა (დაგვიანებული რექვიემი)", რეჟ. დათო დოიაშვილი
დას: 19:00 სთ; ფასი 3,7,10 ლარი

**თეატრალური სარდაფი**

"ბალზამინოვის ქორწინება", რეჟ. ნინო ლიპარტიანი
დას: 20:00 სთ; ფასი 5 ლარი

**„ძველი სახლი - მეტეხის თეატრი„**

დავით კლდიაშვილი, რეზო კლდიაშვილი "როსტომ მანველიძე", რეჟ. სანდრო მრევლიშვილი
დას: 18:00 სთ; ფასი 3 ლარი(მოსწავლეებისათვის და სტუდენტებისათვის 2 ლარი)

## საგამოფენო დარბაზები

**ეროვნული გალერეა**

ირაკლი გაბაშვილის ნამუშევრების მემორიალური გამოფენა

**ხელოვნების საერთაშორისო ცენტრი**

მაკა ასათიანისა და გუგა კოტეტიშვილის ნამუშევრების პერსონალური გამოფენა

**„ქარვასლა„**

ფოტოგამოფენა ფოკის მამათა მონასტრის დასახმარებლად

## კინოთეატრები

**„ამირანი„**

"ბეჭდების მბრძანებელი", რეჟ. პიტერ ჯექსონი
დას: 10:30; 14:00; 17:30; 21:00 სთ; ფასი 5,6,9,10 ლარი

**„რუსთაველი„**

"ქალაქი ზღვასთან"
დას: 15:00 სთ; ფასი 5 ლარი
"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 16:30; 19:00; 21:30 სთ; ფასი 5,7 ლარი

**„ელისო„**

"ჯეიმს ბონდი, მოკვდი სხვა დღეს", რეჟ. ლი ტომახორი; როლებში პირს ბროსნანი, ჰალი ბერი
დას: 15: 00; 18:00სთ; ფასი 5 ლარი
"ქალაქი ზღვასთან"
დას: 21:00 სთ; ფასი 5 ლარი

# TV პროგრამა 30 იანვარი

### რუსთავი - 2

07.00 მუსიკა
07.30 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
08.00 დილა მშვიდობისა
09.40 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
10.40 სერიალი „ალფი“
11.10 ხალხის პირისპირ
12.00, 15.00 კურიერი
12.15 სერიალი „მაცდური სიყვარული“
13.30 მხ. ფილმი
15.20 მხ. ფილმი
17.05 სერიალი „ქალთა ქვეყანა“
18.00, 21.00, 02.20 კურიერი
18.20 მულტსერიალი „პაწაწინა ონავრები“
18.50 ჰერაკლე
19.30 სერიალი „მედისონის სკოლა“
20.05 სერიალი „მაცდური სიყვარული“
22.00 ვის უნდა ოცი ათასი?
22.50 ღამის კურიერი
00.20 მხ. ფილმი „თეგერანი 43“ მთ. როლში ალენ დელონი
02.30 კლასიკა

### პირველი არხი

07.30 ალიონი
09.45 მულტსერიალი „თოვლის პაპა“
10.15 მხ. ფილმი „ბანყენების მომენტში“
12.00, 15.00, 20.00 მოამბე
12.15 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
13.00 დოკ. ფილმი „კომპლიქტები ბუნებაში“
14.00 ინგლისური ენის გაკვეთილი
14.30 „თბილისი და თბილისელები“
15.15 მხ. ფილმი „ბუნების შვილები“
17.10 „მიწის პროექტი საქართველოში“
17.25 რამაა
17.30 შემეცნებითი ფილმი „მოგზაურობა დედამიწის გარშემო“ (კუბა)
18.00 ვესტნიკი
18.20 დოკ. სერიალი „ავიაშოუ“
18.30 ბასტი-ბუბუ
18.50 „ჯანმრთელობა“
19.20 ტელეთამაში „იმღერე რამე“
20.55 ტელესერიალი „ეშმაკუნა“
21.45 „მიამბეთ თქვენზე“ - ე. შენგელაია
22.30 „საქართველო არის ესე“
23.00 „დღის ბოლოს“
00.00 მხ. ფილმი „დანაშაულის გენეალოგია“
01.45 ქართული ენის გაკვეთილი

### პირველი სტერეო

08.00 ტოროლა
11.00 გან. ქართულ-უცხოური მუსათეული
11.45 მუსიკა
13.00 სმს შოუ
16.00 ფილმი „ლამაზმანი“
19.00 ინფორმატორი
19.15 ქართული მუსიკა
19.30 ვიდეორადიო
21.00 მუსათეული მიქსი
22.00 ინფორმატორი
22.30 ქართული მუსიკა
23.00 სველი ხაზი
00.00 ფილმი ბრავო „გოსფორდ პარკი“
01.45 ფილმი ღამურა „ჰელოუინი: აღდგომა“
03.45 პაუზის გარეშე

### მეორე არხი

19.00, 22.00 „მოამბე“ მეორე არხზე
19.10 მულტფილმი
19.40 სერიალი „ოჯახური ურთიერთობები“
20.30 ისტორიანი
21.00 შვიდეული
22.10 ჰიტ. პარადი
22.20 მხ. ფილმი „აფრიკელი“

### იბერია

08.00 ანონსი, მულტფილმი
08.20 აღსავალი
08.25, 10.15, 12.30, 17.20, 17.50, 21.55, 23.50, 01.25 მუსიკა
08.30, 13.00, 15.00, 17.00, 19.00, 22.00 ახალი ამბები
09.30 მხ.ფ. „უცნობი ქალის საიდუმლო“ 1-ლი სერია
10.20 მხ.ფ. „უცნობი ქალის საიდუმლო“
13.10, 18.00 მულტფილმი
14.10 დოკ. ფილმი
17.30 დოკ. სერიალი
18.45 ბუნების ფერები
19.30 კონცერტი
21.00 ტელე-სინე-ვიდეო (განმეორებით)
22.30 მხ.ფ. „განგსტერები“
23.55 მხ.ფ. „ოჰ, ეს მშვენიერი ნიმფები“
01.30 ღამის ფილმი

### კავკასია

12.00 მხ. ფილმი „დიდი ბიზნესი“
13.30 მხ. ფილმი „აფეთქება“
15.00 მხ. ფილმი „ვარსკვლავური დესანტი“
17.00, 19.00, 20.30, 00.00 „დღეს“
17.15 მხ. ფილმი „მაიკლი“
19.20 სპექტრი
21.00 მხ. ფილმი „სულელები“
22.30 მხ. ფილმი „უკვდავნი“

### მეცხრე არხი

10.00, 14.30, 17.30, 20.30, 00.00 დღის ამბები
10.05 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“
10.50 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი“
11.10 მხ. სერიალი „მოჯადოება“
12.00 მხ. სერიალი „ადვოკატი პორტა“
12.50 მხ. ფილმი „წითელი აგენტი“
14.20, 18.50, 19.50, 21.40, 23.50, 02.15 მუსიკა
14.45 მხ. ფილმი „მადა“
16.30 მულტფილმი „სინდბადი“
17.45 მხ. სერიალი „ზურგის ქარი“
18.30 მულტფილმი „ოზის ჯადოქარი“
19.00 მხ. სერიალი „მოჯადოება“ 104-ე სერია
20.00 დოკ. ფილმი „მსოფლიო ფერწერის ისტორია“ „ფერთა ანაბეჭდი“
21.00 დოკ. ფილმი „დილდის ფსალმუნი“
22.10 მხ. ფილმი „პირველი ცხრანახევარი კვირა“
00.20 მხ. ფილმი „გენერალი“

### აჭარა

08.00, 12.00, 03.00 საინფორმაციო დაიჯესტი
008.40 მუსიკა
09.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00 „დღეს“
09.20 კომედია „მე ვერ ვლაპარაკობ ინგლისურად“
10.50 ერთი მსახიობის თეატრი. სპექტაკლი „მონატრება“
12.10 მელოდრამა „პონეტი“
13.50 მხატვრული ფილმი „მკვლელები“
16.10, 19.30, 22.50, 00.50 საინფორმაციო გამოშვება ინგლისურ ენაზე
16.15 მულტფილმი „ქალლები ლას-ვეგასიდან“
17.25 კომედია „ოპერაცია „ი“ და შურიკის სხვა თავგადასავლები“
19.20, 22.30, 00.30 „ნოვოსტი“
19.40 „პირისპირ“
20.25 სათავგადასავლო ფილმი „ახალი საჰაერო თავგადასავლები“
23.00, 01.00 საინფორმაციო გამოშვება გერმანულ ენაზე
23.05, 01.05 საინფორმაციო გამოშვება ფრანგულ ენაზე
23.10 დოკუმენტური ფილმი
01.10 ისტორიული ფილმი „ციმბირელი დალაქი“ 1 სერია
03.30 მხატვრული ფილმი „ქალბატონის პორტრეტი“

### VII არხი

09.10 მელოდია
09.35 „აჩიკუდა“
09.55 მობილურები
10.40 სპორტული პროგრამა - „ევროპული ფეხბურთი“
11.15 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
11.40 „ბიორითმი“ - ალსუ.
12.00 აუდიო-ვიდეო-ტელე
12.40 დისნეი და მისი მეგობრები
13.15 კომპიუტერული ტექნიკა
18.20 საყოფაცხოვრებო ტექნიკა
19.00 „აჩიკუდა“
19.40 აუდიო-ვიდეო-ტელე
20.20 ღამის კაპრიზი“ - თემა: ექსტრასენსები.
21.25 მობილურები
22.05 „კინოკლუბი „ - „უძინარი სიეტლში“.
23.45 კომპიუტერული ტექნიკა
00.30 „ბიორითმი“ - ალსუ.

### ОРТ

07.00 „Доброе утро!“
10.00, 13.00, 16.00,
19.00 Новости
10.15 Сериал „Земля любви, земля надежды“
11.10 Сериал „Ермак“
12.05 „Смехопанорама“
12.35 Дисней-клуб: „Черный плащ“
13.15 Комедия“Деловые люди“
14.50 „Ералаш“
15.00 „Новый день“. „Русский экстрим“
15.30 „Новый день“. Новые чудеса света
16.15 Сериал „Атомный поезд“
17.00 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов“
18.00 „Большая стирка“
19.30 „Сами с усами“
20.00 Сериал „Земля любви, земля надежды“
21.00 „Слабое звено“
22.00, 00.30 Время
22.40 Худ.фильм „Русские в Городе Ангелов“
23.45 Человек и закон
00.50 „Новый день“. „Крылья“
01.20 „Новый день“. „Гении и злодеи“. В.Набоков
01.50 „Апология“
02.55 Боевик „Неудержимый: Вопрос чести“

### РТР

06.45 Доброе утро Россия!
09.45 Сериал „Леди босс“
10.40 Сериал „Дневник убийцы“
11.35 Экспертиза
11.45, 18.45, 20.50 Вести. Дежурная часть
12.00, 15.00, 18.00, 21.00 Вести
12.20 Сериал „Пуаро Агаты Кристи. Двойной грех“
13.10 Худ.фильм „Адвокат“
14.30 Вся Россия
14.45 Вести-Москва
15.20 „Что хочет женщина“
16.10 Сериал „Трое против всех“
17.15 Сериал „Простые истины“
17.45 Экспертиза
18.20 Дорожный патруль
18.35 Вести-спорт
19.20, 21.30 Местное время. Вести-Москва
19.50 Сериал „Комиссар Рекс“
21.50 Спокойной ночи, малыши!
21.55 Сериал „Леди босс“
22.50 Комедия „Самогонщики“ и „Пес Барбос и необычный кросс“
23.30 „Вести +“
00.00 Вести-спорт
00.10 Худ.фильм „Лолита“
02.45 Синемания
03.10 Дорожный патруль

### НТВ

09.35 Утро на НТВ
10.05 Сериал „Скорая помощь 6“
11.00 Сегодня утром
11.25 Чистосердечное признание
12.00, 13.00, 15.00, 18.00, 20.00 Сегодня
12.05 „Квартирный вопрос“. „Итальянский пейзаж в интерьере“
13.05 Детектив „Таможня“
14.40 Криминал
15.05 Путешествия натуралиста
15.35 Детектив „Она написала убийство“
16.30 „От любви до ненависти...“. Ток-шоу „Принцип „Домино“
18.05 Боевик „Кодекс чести“
19.20 Док. драма „Преступление и наказание“
20.40 Сериал „Право на защиту“
21.45 Боевик „Кодекс чести“, 4 с.
23.00 „Сегодня вечером“
23.35 Сериал „Секс в большом городе“
00.15 Детектив „Право на защиту“
01.20 Гордон
02.15 Сериал „Солдаты удачи“
02.55 Кома

**ESM-თბილისის სკოლა-ლიცეუმი**
**ცხადდება მიღება მოსამზადებელ ჯგუფებში**

V-VI-VII-VIII-IX კლასების იმ მოსწავლეთათვის, რომლებიც სწავლის გაგრძელებას აპირებენ ESM-თბილისის სკოლა- ლიცეუმში.

მეცადინეობა ჩატარდება მათემატიკასა და უცხო ენაში - კვირაში 3-ჯერ 15[00] საათიდან. სწავლება დაიწყება 15 იანვარს.

განცხადებები მიიღება ყოველდღე 9[30] -დან 15[00] -საათამდე.

მისამართი: ნუცუბიძის 223. (საქართველოს ბანკის შენობასთან).
ტელეფონი: 32 97 83 (9.00-15.00) სკოლა-ლიცეუმი, 877 425286.















# სხეული - სულიერების გადაშლილი წიგნი


"ფიქრის სწავლა"


"შინაგანი ადამიანები"


"უცხო"

თამარ ბაბუაძე

*ვისაც ახსოვს კონკურსი – ევროპის კულტურული დედაქალაქი და ბრიტანული ქალაქის, გეიტსჰედის ამბიციები – მოიპოვოს ეს პრესტიჟული ტიტული, მაშინ "ჩრდილოეთის ანგელოზიც" ემახსოვრება. ფოლადის ეს უზარმაზარი ქანდაკება, რომელსაც ანგელოზურზე მეტი აშკარად მიწიერი აქვს, გეიტსჰედის თანამედროვე ხელოვნების ცენტრ "ბალტიკთან" ერთად, ქალაქის მთავარ სიამაყეს წარმოადგენს. "ჩრდილოეთის ანგელოზის" ავტორი, ბრიტანეთში აღიარებული მოქანდაკე ენტონი გორმლი დიდი ხანია, ანგელოზებზე აღარ ფიქრობს, თავის საწყისს წერტილს – ადამიანის გამოძიებას უბრუნდება და ახალ პროექტსაც ეჭიდება, სახელწოდებით "დომეინის ველი".*

"მოდუნდით, მიიღეთ თავისუფალი პოზა, თუნდაც ძალიან უცნაური", - ეს მოწოდება ექსტრასენსის გამხნევებას უფრო ჰგავს, მაგრამ ფაქტია, რომ ამ სიტყვებით ეგებებიან იმ მოხალისეებს, რომელთაც გორმლის ახალი პროექტისთვის ნიღბებს უღებენ. მენატურეებს ეს პროცესი მოსწონთ და შედეგად მართლაც უცნაურად და ძალიან თავისუფალ პოზებში დუნდებიან. სწორედ ამ თავისუფლების გამო ვარაუდობენ "ბალტიკის" წარმომადგენლები, რომ გორმლის ახალი პროექტი ძალიან შთამბეჭდავი გამოვა... თავად ავტორისთვის მთელი ეს პროცესი – ნიღბების აღებით დაწყებული, 200-მდე ქანდაკების ჩამოსხმით დამთავრებული სულიერი თავგადასავალი უფროა. გორმლი ამბობს: "თავს ისე ვგრძნობ, თითქოს, ხელახლა ვიბადებოდე"...

გეიტსჰედის ხელოვნების ცენტრში, რომელიც "ხელოვნების ქარხნის" სახელითაც არის ცნობილი, მენატურე ინგლისელების შერჩევა თებერვალშიც გაგრძელდება. 240-მდე მსურველს ცენტრში შეკრებენ, გააშიშვლებენ, ნიღაბს აუღებენ და შემდეგ უჟანგავი ფოლადისგან ჩამოასხამენ ათობით ქანდაკებას, რომელთაც მუზეუმში დაახლოებით 880 კვ.მ. ფართობზე განათავსებენ. რაც ყველაზე საინტერესოა, "ხელოვნების ქარხნის" (შეგახსენებთ, რომ ის 50-იანი წლების წისქვილის შენობაშია მოთავსებული) სტუმრები უშუალოდ მიადევნებენ თვალს მენატურეების შერჩევას, სამუშაო პროცესს და 17 მაისს დაესწრებიან გამოფენის გახსნასაც, რომელიც 25 აგვისტომდე გასტანს. ერთი სიტყვით, ყველაფერი იქვე, გეიტსჰედში მოხდება. ეს იმიტომ, რომ "ბალტიკი" "ხელოვნების ქარხანაც" გახლავთ და ხელოვანებს საკუთარ ბაზაზე მუშაობის საშუალებას აძლევს.

ალბათ, გორმლის ნამუშევრების ხილვის შემდეგ თქვენც ასეთი შთაბეჭდილება დაგრჩებოდათ – რომ ეს მოქანდაკე ადამიანის სხეულის იქით ვერაფერს ხედავს, რომ მისთვის ამოსავალი წერტილი სხეულია. არც შეცდებით. მის პროექტებში ხომ ხშირად ასობით შიშველი სხეული, გახმდარი და გრძელი, წვრილი და დაბალი, მარტოსული და მასაში გადახლართული, მონაწილეობს.

"სხეული მაინტერესებს, რადგანაც ის გახლავთ ადგილი, სადაც ადამიანური განცდები "რეგისტრირდება". შიშს, სიხარულს, ბედნიერებას, იმედგაცრუებას – ამ ყველაფერს სხეული აირეკლავს".

"სხეული არის ენა, რომელიც არსებობდა ენამდე. სკულპტურად ქცეული სხეული შეიძლება გახდეს სიცოცხლის მოწმე".

"სხეული არის კოსმოსური ხომალდი და მაქსიმალური სინაზის ინსტრუმენტი. ის ამყარებს კონტაქტს გარესამყაროსთან, გაიაზრებთ ამას თქვენ თუ არა". – აი, ამ მოსაზრებებით იმართლებს თავს გორმლი, რომელიც თავის სათქმელს, როგორც ხელოვანი, ადამიანის სხეულის გავლით ამბობს.

სკულპტორის ამ სენტენციების მოსმენის შემდეგ უფრო იოლი აღსაქმელი იქნება მისი Insiders ("შიდა ადამიანები") – მაღალჭერიან, თეთრკედლიან დარბაზში გაფანტული ათობით წვრილი და ტანდაბალი ქანდაკება. გორმლის ეს პატარა კაცუნები მიგვანიშნებს სწორედ იმ უცხო მოწმეზე, რომელიც თითოეულ ჩვენგანში ცხოვრობს, როგორც რაღაც შეუცნობელი, როგორც ვიღაც მესამე. ანუ, გორმლი ამბობს: "შეიძლება ასეც მოხდეს: ყველაზე ინტიმური რამ ადამიანში შეიძლება, ყველაზე უცხოც იყოს"...

მისთვის ქანდაკება არის რწმენა სიცოცხლის, მისი მუდმივობის. ქანდაკება ცოცხალი არსებაა, რომელიც, უბრალოდ, კი არ დგას მოცემულ ადგილზე, არამედ სწავლობს, როგორ დადგეს. ბოლოსდაბოლოს, ქანდაკება ხომ ფიზიკური საშუალებაა სულიერებაზე სასაუბროდ, წონა, სიმძიმე – უწონადობასა და სიმსუბუქეზე სალაპარაკოდ, სინათლე – სიბნელის აღსაქმელად, ვიზუალური ხერხი – უსხეულო საგნების დასანახად.

ასე ფიქრობს გორმლი და ქმნის მეორე, არანაკლებ საინტერესო ნამუშევარს "ტოტალური უცნობები" – ექვსიოდე შიშველი სხეულის სკულპტურას, გაფანტულს შენობის შიგნით და გარეთ. შიშველი სხეული – უზარმაზარ ნათელ დარბაზში, ფანჯარასთან ცხვირით მიბჯენილი (თითქოს შიგნით შესვლას ლამობს), ტროტუარზე ძირს გართხმული, ქუჩაში ეულად მდგომი... ყველგან ეს ტოტალური უცნობები არიან, როგორც ადამიანური მარტოსულობის და ისევ იმ შინაგანი უცხო მოწმის სიმბოლოები...

გორმლი ათობით ასევე საინტერესო პროექტის ავტორია. თითოეულ მათგანს თავისი ფილოსოფია და განცდა აქვს ისევე, როგორც მის 1996 წლის შთამბეჭდავ ნამუშევარს – ჭერში თავით შერჭობილ შიშველ სხეულებს. ამ პროექტს "ფიქრის სწავლა" ჰქვია... დანარჩენზე თავად იფიქრეთ...

# პერგამონის საკურთხევლის ახალი ბრწყინვალება

*ეს უმნიშვნელოვანესი ბერძნული მონუმენტური საკურთხეველი ჩვენს წელთაღრიცხვამდე 160 წელს, მცირე აზიაში შეიქმნა. პერგამონის საკურთხეველი აღმოაჩინეს გათხრების შედეგად, მე-19 საუკუნის ბოლოს, ხოლო 1901 წელს ბერლინელებმა მისი მუზეუმში აღმართვა იზეიმეს.*

ბერლინის პერგამონის მუზეუმში დაცულმა განთქმულმა საკურთხეველმა ახალი სახე შეიძინა. რესტავრირებული სამხრეთი ნაწილი საზოგადოებამ გასულ კვირას უკვე იხილა, დანარჩენი სამი მხარის ნახვას კი უახლოეს მომავალში შევძლებთ. ბერლინის სახელმწიფო მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა, პეტერ-კლაუს შუსტერმა პერგამონის საკურთხევლის რესტავრაციას უწოდა "უდიდესი წვლილი, რომელიც ქალაქმა ბერლინმა მსოფლიო კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სფეროში შეიტანა."

ბერლინის ანტიკური ხელოვნების კოლექციის ამ უდიდეს და უმნიშვნელოვანეს პროექტს მიუნხენელი სილვანო ბერტოლინი უძღვება. წარმოშობით იტალიელი რესტავრატორი 1994 წლიდან მუშაობს პერგამონის საკურთხევლის ფრიზებზე.

მთელი საკურთხევლის რესტავრაცია სამი მილიონი ევრო დაჯდება. ყველაზე მეტად დაზიანებული და ამჟამად უკვე რესტავრირებული სამხრეთ ფრიზის აღსადგენად 500 ათასი ევრო იყო გამოყოფილი. "ნამდვილად ღირდა," თვლის მუზეუმის დირექცია.

სამხრეთ ფრიზი 29 მეტრის სიგრძისაა და დაახლოებით ორი მეტრის სიმაღლისა. 31 ქვის ფილაზე სინათლისა და დღის ღმერთები არიან გამოსახული, ანთებული ჩირაღდნებით მიემართებიან საბრძოლველად. მაგრამ სინათლის ღმერთების ბრწყინვალება რესტავრაციამდე ამდენად თვალსაჩინო არ იყო: დაჟანგულმა რკინის სამაგრებმა დააზიანა, ფილებს შორის ბზარები გაჩნდა და მთელ ფრიზს შეუქმნა საფრთხე.

აღდგენითი სამუშაოების შემდეგ ფრიზში ახალი ფრაგმენტები ჩაჯდა: ზევსის არწივს მარჯვენა ფრთის წვერი დაუბრუნდა, ქალღმერთ ეოსს – მარჯვენა ტერფი...

ბერტოლინმა და მისმა თანამშრომლებმა საკურთხევლის დარბაზის უკან დაიდეს ბინა – ამჟამად ისინი საკურთხევლის აღმოსავლეთ ნაწილის აღდგენაზე აგრძელებენ მუშაობას. მუზეუმში ამ დარბაზს "ანტიკური ხანის საავადმყოფოს" უწოდებენ. თეთრ სამოსში გამოწყობილი მეცნიერები "პაციენტს" თავს დასტრიალებენ: ანტიკურ მებრძოლს ხელ-ფეხი დაკარგული აქვს, ყბა - გატეხილი. მას ფრთხილად წმენდენ წყლითა და პატარა, მაგრამ რთული ხელსაწყოებით. "ლითონის დეტექტორით ვეძებთ ჭანჭიკებს, რომლებიც უწინ ქვაში ჩახრახნეს," ყვება ბერტოლინი. რესტავრატორებმა ასი წლის წინათ ლითონის დაჟანგული სამაგრებით და ცემენტით შეერთებული ნაწილები უნდა დააცალკევონ, ხოლო გაწმენდის შემდეგ ისინი ახალი, კეთილშობილი ლითონების სამაგრებით და საგანგებო წებოთი შეერთდება. "ეს საქმე საათობით, ზოგჯერ კი კვირაობით გრძელდება ხოლმე," აღნიშნავს ბერტოლინი. დღეისათვის აღმოსავლეთ ფრიზის აღდგენითი სამუშაოები საბოლოო ფაზაშია შესული.

ბერლინის პერგამონის მუზეუმს არც საკურთხევლის რესტავრაციის დროს განუცდია დამთვალიერებლების ნაკლებობა: ყოველთვიურად მუზეუმების კუნძულს 80 ათასი სტუმარი ჰყავს, რომელთა მთავარი ინტერესის საგანიც მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი ანტიკური კოლექციაა.


პერგამონის საკურთხეველი

# ვარსკვლავები გამოძახებით

მდიდარი ადამიანების წრეში მიღებულია წვეულებების და საღამოების გამართვა პოპ-მუსიკის ვარსკვლავების მონაწილეობით. უკეთესი რა შეიძლება სქელჯიბიანმა მამიკომ უსახსოვროს თინეიჯერ ქალიშვილს, ვიდრე არასრულწლოვანი შვილის საყვარელი მომღერლის მცირე საკონცერტო პროგრამით ოჯახში მიწვევაა?! ხშირ შემთხვევაში კი, შვილები არც არაფერ შუაში არიან – ბიზნესმენებს თავადაც მოსწონთ გოგონების პოპ-ჯგუფების შინ მიპატიჟება.

ეს ყველაფერი კარგი და საკმაოდ ძვირადღირებული ნეტარებაა. მომღერალთა ასეთი დაქირავება ცხადია კიდევ უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე მათი საკონცერტო დარბაზებში მიწვევა. გაგაცნობთ Аргументы и факты-ის მიერ ახლახანს გავრცელებულ მასალებს იმის შესახებ, თუ რუსული მუსიკალური სცენის ვარსკვლავებიდან, ვინ რამდენს იღებს ასეთ კერძო წვეულებებში და შევეცდებით მათი ჰონორარები ქართველი შემსრულებლებისას შევადაროთ.

ჩვენს ჩრდილოელ მეზობლებს ყველაზე ძვირი თურმე ალა პუგაჩოვას დაპატიჟება უჯდებათ. რაც არც ისე ძნელი წარმოსადგენია – ეს ქალბატონი არ ვიცი, რისი წყალობით, ათეულობით წელიწადია პოპ-დივას სტატუსის შენარჩუნებას ახერხებს. არასაზოგადო, შინაურულ გარემოში სიმღერაზე "სტაჟიანი" ვარსკვლავი 25 ათას ამერიკულ დოლარზე ნაკლებად არავის თანხმდება, რასაც ვერ ვიტყვით მის მეუღლეზე; კირკოროვთან ვაჭრობა 15 ათასიდანაც შეიძლება; დაახლოებით, იგივეს იღებს უკვე საერთაშორისო სარბიელზე გაჭრილი ლესბოსური დუეტი "ტატუ". "ალსუსთან" დაკავშირებით ცოტა უნცაურადაა საქმე – ყოფილა შემთხვევები, როდესაც მისთვის 50 ათასიც გადაუხდიათ, მაგრამ მისი დათანხმება თურმე 15 ათასადაც შესაძლებელია. ჩამოთვლილი "სექსუალური ვარსკვლავები" "სახლში მიწვევით" ორჯერ მეტი ჯდება, ვიდრე სხვა შემსრულებლები. ამ შემთხვევაში რუსულ შოუ-ბიზნესში მამაკაცებს ნაკლებად გაუმართლათ: "ლუბე" და "პრემიერ-მინისტრი" შვიდი ათასზე თანხმდებიან; "სტრელკი", როგორც წესი, ხუთი ათასს იღებენ; ლოლიტა, დიმა მალიკოვი და ანდრეი გუბინი თანახმანი არიან ოჯახურ გარემოში ოთხი ათასადაც იმღერონ. ყველაზე "იაფს" 1500 დოლარს, ჩვენთვის ნაცნობი მომღერლებიდან სხვებთან ერთად, დიანა ღურწკაია იღებს.


დუეტი "ტატუ"

რამდენადაც ჩვენთვის გახდა ცნობილი, საქართველოში გაცილებით დაბალ ფასებზეა საუბარი. ჭორის დონეზე გავიგეთ, რომ აქ ყველაზე ძვირადღირებულ ვარსკვლავებად მერაბ სეფაშვილი და ლელა წურწუმია რჩებიან, იმის მიუხედავად, რომ თანხა, რომელსაც ისინი "სახლში სიმღერისთვის" იღებენ, არც ისე შთამბეჭდავია – დაახლოებით 4-5 აშშ დოლარი.

## კალეიდოსკოპი

### ისევ "ტოსკა"

ერთწლიანი შესვენების შემდეგ, სავარაუდოდ ივნისში, ლუჩანო პავაროტი ოპერის სცენას დაუბრუნდება. 67 წლის ტენორი პუჩინის "ტოსკაში" მარიო კავარადოსის პარტიას იმღერებს. მისი ლონდონელი პრეს-აგენტის ცნობით, სპექტაკლი 28 ივნისს ბერლინის ოპერის თეატრში გაიმართება. პავაროტის პარტნიორობას გაუწევენ კაროლ ვანესი და ხუან პონსი.

ტენორი ბოლოს სცენაზე 2002 წლის 22 იანვარს, ლონდონში, ქოვენთ გარდენის სამეფო ოპერაში იხილეს. მაშინაც, ის "ტოსკაში" მონაწილეობდა. თუმცა, ამავე სპექტაკლის ორი ნიუ იორკული წარმოდგენა მან გაციების გამო გადადო. უკვე დიდი ხანია, ყველამ იცის, რომ ტენორი ოპერიდან 2005 წლის 12 ოქტომბერს წავა – თავის 70 წლის იუბილეზე.

### ჰიუსტონი ირლანდიაში

სექტემბერში გალვეიში გაიხსნება კინო-სკოლა, რომელსაც ამერიკელი რეჟისორის ჯონ ჰიუსტონის სახელს დაარქმევენ. ირლანდიელები ამით შეეცდებიან, პატივი მიაგონ რეჟისორს, რომელსაც ირლანდია განსაკუთრებით უყვარდა და თავისი ფილმებისთვის შთაგონებას სწორედ იქ პოულობდა. მეტიც, ჰიუსტონი 50-იან წლებში ქვეყნის დასავლეთ ნაწილში ცხოვრობდა კიდეც.

პროექტის განსახორციელებლად კი მაისში, ლოს ანჯელესში იგეგმება საქველმოქმედო ბანკეტი, რომელზეც შეგროვებულ თანხას სკოლის ფონდში გადარიცხავენ. რეჟისორის ქალიშვილის, ანჟელიკას განმარტებით, "ჰიუსტონის კინო-სკოლა იქნება იმის გარანტი, რომ ირლანდია მსოფლიოს კინემატოგრაფს ახალ ტალანტებს მომავალშიც გაუზრდის". შეგახსენებთ, რომ ჰიუსტონის ბოლო ფილმი, The Dead ჯეიმს ჯოისის "დუბლინელების" მიხედვით არის გადაღებული და მასში ანჟელიკა ჰიუსტონი თამაშობს.

### "პოლარის" ერთი ლაურეატი

ამერიკელმა პიანისტმა კეიტ ჯარეტმა "პოლარის" მუსიკის პრიზი და 117 ათასი დოლარის ფულადი ჯილდო მიიღო. ის ამ პრესტიჟული პრიზით "მუსიკის სამყაროში საზღვრების გადალახვისთვის" დააჯილდოვეს. ჯარეტს სიგელს 12 მაისს პირადად შვედეთის მეფე კარლ XVI გადასცემს. ის გახლავთ პირველი პიანისტი, რომელიც პრიზს მარტო დაეპატრონა – მანამდე "პოლარს" და შესაბამისად საპრიზო ფონდსაც კლასიკურ მუსიკოსთა და პოპ-შემსრულებელთა შორის ყოფდნენ. ამერიკელ პიანისტს მუსიკალურ ჟანრებს შორის თავისუფალი იმპროვიზაცია, ანუ ჯაზის, პოპის, გოსპელისა და კლასიკური მუსიკის ერთმანეთთან ჰარმონიულად შეზავება დაუფასეს. წლების განმავლობაში ჯარეტი მრავალ დიდ მუსიკოსთან ერთად უკრავდა. 60-70-იან წლებში ის ჩარლზ ლოიდის კვარტეტთან ერთად მოგზაურობდა მსოფლიოს გარშემო, შემდეგ კი – მაილს დევისის ბენდთან ერთადაც. მისი ჩანაწერებიდან აღსანიშნავია: "ლა სკალა", Facing You.

ცნობისთვის: "პოლარი" 1989 წელს ჯგუფ ABBA-ს მენეჯერმა, სტიგ ანდერსონმა შვედეთის მუსიკის სამეფო აკადემიის თანხებით დააფუძნა. შარშან ჯილდო სამხრეთ აფრიკელ მომღერალს, მირიამ მაკებას და რუს კომპოზიტორს სოფია გუბაიდულინას გადაეცათ.

### "ოუშენის 12"

ბოლოს მეტ დეიმონი სტივენ სოდერბერგთან ფილმ "ოუშენის 11 მეგობარზე" თანამშრომლობდა. ახლა ისინი კვლავ გაერთიანდებიან და ფილმზე "ინფორმატორი" დაიწყებენ მუშაობას. თუმცა, მანამდე სოდერბერგი "ოუშენის" მეორე ნაწილის გადაღებას გეგმავს. ფილმს "ოუშენის 12 მეგობარი" ერქმევა და გადაღებები 2004 წელს დაიწყება. ჯორჯ კლუნისა და მეტ დეიმონის გარდა ფილმში ძველი გმირებიც დაბრუნდებიან. ასე რომ, სურათი კვლავაც ნაცნობი და საყვარელი სახეებით იქნება სავსე.

**დღეს**
**ხუთშაბათს, 30 იანვარს**




1835 წელი: პრეზიდენტი ენდრიუ ჯექსონი ტერაქტს გადაურჩა. ეს გახლდათ პირველი შემთხვევა, როდესაც აშშ-ს პრეზიდენტს მოკვლის მიზნით დაესხნენ თავს.

1958 წელი: დიზაინერმა ივ სენ ლორანმა მოაწყო მოდის პირველი პარიზული ჩვენება.

1972 წელი: ჩრდილოეთ ირლანდიაში კათოლიკეთა უფლებების დასაცავად გამართული არასანქცირებული დემონსტრაციის დროს ბრიტანელმა ჯარისკაცებმა 13 დემონსტრანტი მოკლეს. ინციდენტი ისტორიაში "სისხლიანი კვირა დღის" სახელით შევიდა.

1993 წელი: კენიაში, მატარებლის მდინარეში გადაჩეხვის შედეგად 133 ადამიანი დაიღუპა.

2001 წელი: ევროკავშირმა ცხიმოვანი წყლულით დაავადებული საქონლის შესასყიდად და გასანადგურებლად 1 მილიარდი დოლარი მოითხოვა.

© GRAPHIC NEWS

# დამელოდეთ!


"როგორ მოვიპაროთ მილიონი"

"მე ჯერ კიდევ ვთამაშობ და შემიძლია, ჯილდო ისედაც მოვიპოვო. ასე რომ, იქნებ კინო-აკადემიამ ცოტაც მომიცადოს და ჩემთვის განკუთვნილი პრიზი გადაინახოს, სანამ 80 წლის გავხდები" – ეს ცინიკური ფრაზა, რომელიც "ოსკარის" ისტორიაში აუცილებლად შევა, 70 წლის პიტერ ო`ტულს ეკუთვნის – იმ ცნობილ ირლანდიელ მსახიობს, რომელიც "ოსკარზე" შვიდჯერ იყო წარდგენილი, მაგრამ ვერც ერთხელ მიიღო და რომლის საპატიო "ოსკარით" დაჯილდოებაც კინო-აკადემიამ წელს გადაწყვიტა.

თუმცა, როგორც ხედავთ, პიტერ ო`ტული უარზეა. ეს იმიტომ, რომ ის ჯერ კიდევ არ დაბერებულა, ექსცენტრიული ხასიათი, რომლითაც ყოველთვის იყო ცნობილი, არ შეცვლია და ძველებურად არც სხვათა მოწყალებას იღებს. მოწყალების ავტორად კი მას ამჯერად აშშ-ს კინო-აკადემია წარმოუდგენია. საპატიო ჯილდოს გასაპროტესტებლად მან ამერიკელებს ხელნაწერი წერილი მისწერა. მართალია, ცინიკურ თხოვნას – დამელოდეთ, სანამ 80 წლის გავხდებიო, ზრდილობიანადაც დასძინა – აღფრთოვანებული ვარ თქვენი პატივისცემითო, მაგრამ ცხადია, ეს სიტყვებიც მის ფარულ დაცინვას შეიცავდა.

ბუნებრივია, კინო-აკადემიაში ო`ტულის საქციელმა ყველა დააბნია. პრეზიდენტმა პირსონმა განაცხადა: "გაოცებული და დამწუხრებული ვარ. ძალიან მინდა, რომ მან აზრი შეიცვალოს და 23 მარტს ცერემონიალზე შემოგვიერთდეს. "ოსკარს" მისთვის მართლაც გადავინახავთ და თუ გადაწყვეტს ჯილდოს წაღებას, შესანიშნავი იქნება".

ო`ტულს კი საპასუხო წერილში მისწერა: "საბჭომ, ანონიმური კენჭისყრით, თქვენ ერთსულოვნად აგირჩიათ. რაც შეეხება "თამაშს", არც არავის უფიქრია, რომ სცენა დატოვეთ. საპატიო "ოსკარს" კინოში გაწეული ღვაწლისთვის გადასცემენ და არა კინოდან წასვლისთვის. ამიტომაც თქვენს ჯილდოს აკადემიაში შევინახავთ და დაგელოდებით, თუნდაც სანამ 80 წლის გახდებით ან საერთოდ იმ დრომდე, როდესაც ჯილდოს შინ წაღებას გადაწყვეტთ".

ო`ტულის დასამშვიდებლად პირსონმა ორი შემთხვევაც გაიხსენა, როდესაც პოლ ნიუმანმა და ჰენრი ფონდამ "ოსკარი" კონკრეტული როლისთვის მას შემდეგ მიიღეს, რაც კინო-აკადემიამ მათ საპატიო ჯილდო უსახსოვრა.

ასეა თუ ისე, "ოსკარის" ორგანიზატორები მაინც ვერ მოსულან გონს. ასეთი პრეცედენტი ხომ აკადემიის ისტორიაში არასდროს ყოფილა. მართალია, წლების წინ მარლონ ბრანდომ და ჯორჯ სკოტმა თქვეს უარი საკუთარ ჯილდოზე, მაგრამ საპატიო ჯილდოს არც ერთ ნომინანტს მსგავსი რამ არ გაუკეთებია. საქმეს ართულებს ის ფაქტიც, რომ რიგითი "ოსკარისგან" განსხვავებით, საპატიო "ოსკარის" ქანდაკებას მფლობელის სახელი და გვარი ამოტვიფრული აქვს,...

უცნობია, დაითანხმებს თუ არა ჯიუტ ირლანდიელს "ოსკარის" დირექტორთა საბჭო. ის კი ფაქტია, რომ ო`ტული ჯერაც მხნედ "თამაშობს". მალე მისი მონაწილეობით ორი ფილმი უნდა გამოვიდეს – "უკანასკნელი ფარდა" და სტივენ ფრაის Bright Young Things, ეველინ ვოს რომანის მიხედვით.

ოსკარის საპატიო ჯილდოს კი პიტერ ო`ტულამდე მორჩილად ეუფლებოდნენ: გრიფიტი, ბობ ჰოუპი (თანაც ორჯერ), ჯინ კელი, ჟან რენუარი, ალექს ნორტი, ფედერიკო ფელინი, ჩაკ ჯონსი და სიდნეი პუატიე.


## სწავლა ლონდონში
ხელმისაწვდომ ფასად

ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლა (ლონდონი) გიწვევთ ხარისხის მისაპოვებლად მიმდევრ პროგრამების ფარგლებში. ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის (ლონდონი) კამპუსი მდებარეობს ლონდონ ბრიჯთან. ეს ის ადგილია, სადაც ლონდონის ღირსშესანიშნაობებია თავმოყრილი. პროგრამები მაგისტრის ხარისხის მისაპოვებლად ხორციელდება სანდერლენდის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად; ხოლო პროგრამები ბაკალავრის ხარისხის მისაპოვებლად ხორციელდება ისტ ლონდონის (გაერთიანებული სამეფო) უნივერსიტეტთან ერთად. პროგრამები იწყება წელიწადში სამჯერ (ნოემბერი / აპრილი / აგვისტო). მომდევნო კურსის დაწყების თარიღია 2003 წლის 3 აპრილი.

MBA
მარკეტინგი / ფინანსები / IT
ელექტრონული კომერცია / HRM
პროექტის მენეჯმენტი

MSc
საინფორმაციო ტექნოლოგიები
კომპიუტერული სისტემის ინჟინერია
ინტერნეტის ინჟინერია

სრული კურსის ფასი $5950

ბიზნესის ან ბიზნეს ინფორმაციის ტექნოლოგიის პროგრამების ფარგლებში ბაკალავრის ხარისხის მისაპოვებლად 2-წლიანი დაჩქარებული კურსის - BA (Hons) მთლიანი ღირებულებაა 10 950$ (£ 6950 ეკვივალენტი).
3-წლიანი კურსის ინჟინერიის ბაკალავრის ხარისხის მისაპოვებლად B. Eng (Hons) მთლიანი ღირებულებაა £ 10 950

ზემოთ აღნიშნული თანხის გადახდა შესაძლებელია ეტაპობრივად

იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც ზემოაღნიშნული პროგრამებით ისწავლიან, ერთწლიანი ინტენსიური ინგლისური ენის კურსის გავლა შესაძლებელია დამატებითი 1600$-ის (£ 1000) გადახდის შემდეგ.
იმ სტუდენტებისთვისაც, რომლებსაც მაღალი აკადემიური მიღწევები არა აქვთ, ხელმისაწვდომია მოსამზადებელი პროგრამები.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით: ნიგარ მუსაბეკოვას, ტექნოლოგიისა და მენეჯმენტის სკოლის ბაქოს წარმომადგენლობაში
მისამართი: 12 Bul Bul Ave., Student Travel International (STI).
Tel/Fax: +994 12-989906, 98 99 08, +994 50 - 201 01 69
E-mail: stmgeorgia@hotmail.com; nm@sti.az
ან ადგილობრივ წარმომადგენელს: ნინო მესხიშვილს
ტელ.: 34 61 62, 8-93 35 20 67


## სკანდინავიური კროსვორდი




თქვენი რეკლამა
ჩვენს გაზეთში
20-24-24
20-00-24



## წამალი "სალხინო"
ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.
წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.


